პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 დეკემბერი ოთხშაბათი 2011

№294 (13591) ფასი 80 თეთრი



# ახალი ესე იგი, ჰეიგი

## მწვრთნელი ზელანდიიდან



# ეეჰ...

## არმია ვერ გადაჯგუფდა

↳12

# დიდი მატჩი როგორც აბანო



## დღეს ზესტაფონში ბევრი რამ გამოჩნდება

↳4



# ამოდი, ჯანო, ამოდი

## კარპინის ტექსტი და ქვეტექსტი: რამე რომ იყოს, სპარტაკი თანახმაა

## ჩვენი სურვილი: ანანიძეს ახალი ესკალატორი, ახალი კლუბი სჭირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი



# ამოდი, ჯანო, ამოდი

## კარპინი: ანანიძის იჯარა სავსებით რეალურია

გუშინ მოსკოვის "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **ვალერი კარპინმა** სოციალურ ქსელ "ფეისბუქის" მეშვეობით ინტერნეტპრესკონფერენცია გამართა და გულშემატკივართა უამრავ კითხვას უპასუხა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, ბუნებრივია, ის კითხვა იყო, რომელიც **ჯანო ანანიძეს** ეხებოდა.

*"თუ ვარიანტი კლუბისთვისაც და ჯანოსთვისაც სასარგებლო იქნება, მისი იჯარით გაშვება სავსებით რეალურია"*, - განაცხადა კარპინმა.

იმედია, მწვრთნელის სიტყვები გამართლდება და სულ მალე ჯანოს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ექნება. ბოლო დროს ხომ მას "სპარტაკში" იშვიათად ენდობოდნენ და მისთვისაც და საქართველოს ნაკრებისთვისაც უმჯობესი იქნება, დროებით თუნდაც შედარებით სუსტ გუნდში, ითამაშოს, რათა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მიეცეს.

ინტერვიუ

# რა გაუძლებს გურულის ძმაკაცებს...

## მადლიერ კაცს გაუმარჯოს: მადლობა ქეცბაიას და კალაძეს

უკრაინული პრემიერლიგის 20 ტურში სანდრო გურულმა მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა, აქედან შეუცვლელად – მხოლოდ ერთი. 26 წლის ქართველი შემტევი, რომელიც ახლო წარსულში ლვოვის "კარპატის" შეუცვლელი ფიგურა იყო, დღესდღეობით სათამაშო პრაქტიკის მწვავე დეფიციტს განიცდის და კლუბის შეცვლაზეც ფიქრობს.

"ლელო" გურულს უკრაინაში შეეხმიანა და საკლუბო პრობლემების გარდა, სანაკრებო თემაზეც ესაუბრა.

**- როგორ ფიქრობ, უთამაშებლობის მიზეზი უფრო შენშია თუ სხვა გარემოებების ბრალია?**

- საკუთარი თავის მიმართ ყოველთვის ძალიან მომთხოვნი ვარ. შრომა არასოდეს მეზარება და ყოველდღიურად ვცდილობ, მოედანზე უფრო და უფრო მეტი შევძლო. საკუთარ თავზე მუშაობას ძველებურად განვაგრძობ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მიფასდება და მოედანზე გასვლა იშვიათად მიწევს. ვცდილობ, სიმშვიდე შევინარჩუნო და ჩემს შანსს დაველოდო, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ძალიან მიჭირს.

**- გუნდის მთავარ მწვრთნელ პაველ კუჩეროვთან ამ თემაზე არ გილაპარაკია?**

- როგორ არა, არაერთხელაც, ყოველთვის მეუბნება, რომ კარგი თვალით მიყურებს და ჩემი იმედი აქვს. კუჩეროვთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ არცთუ ხშირად მენდობა. მხოლოდ ვარჯიშით კი შორს ვერ წავალ, მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰაერივით მჭირდება.

**- შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლად რა გესახება?**

- უახლოეს დღეებში კლუბის პრეზიდენტს დაველაპარაკები და გავიგებ, რა გეგმები აქვთ ჩემთან დაკავშირებით. თუ მეტყვიან, რომ ვჭირდები, დავრჩები და ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად ვიბრძოლებ, თუ არა და ჩემს გზას მოვნახავ. "კარპატიში" თავს კარგად ვგრძნობ, ძალიან მეგობრული გუნდია, მაგრამ ასე გაგრძელება ჩემს კარიერას ძალიან დააზარალებს.

**- თუ პრეზიდენტმა წასვლის საშუალება მოგცა, სად ვარაუდობ კარიერის გაგრძელებას?**

- მგონია, რომ გამიშვებენ, რადგან "კარპატისთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და ჩემს სანაცვლოდ თანხას აილებენ. რაც შეეხება ჩემს სამომავლო ადგილსამყოფელს, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უგუნდოდ არ დავრჩები. ვიცი, რომ ჩემით დაინტერესებულნი არიან როგორც უკრაინული, ასევე დასავლეთევროპული კლუბები, რომელთა დაკონკრეტებისგანაც ჯერ თავს შევიკავებ.

**- ხომ არ ფიქრობ, რომ სხვა ქვეყანაში საკუთარ შესაძლებლობებს უკეთ გამოავლენ?**

- შესაძლოა, ასეც იყოს. უკრაინაში აქცენტს სწრაფ და აგრესიულ თამაშზე აკეთებენ. მართალია, არც აქაურ სტილთან ადაპტაცია გამჭირვებია, მაგრამ შესაძლოა, სხვა ქვეყანაში უფრო შედეგიანად ვითამაშო – ტექნიკურ ფეხბურთელად ვითვლები, ფიზიკურადაც კარგად ვარ მომზადებული და იქნებ სხვა გარემოში მიჯობდეს ძალების მოსინჯვა.

**- დათანხმდები ისეთ კლუბში წასვლას, სადაც ნაკლებს გადაგიხდიან, ვიდრე "კარპატიში"?**

- მთავარია, კლუბი იყოს ამბიციური, თორემ თამაში ისე მომენატრა, ხელფასის ოდენობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ნამდვილად აღარ მივანიჭებ.

**- საფრანგეთში დაბრუნებას გამორიცხავ?**

- არ ვიცი, გამორიცხული არაფერია. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საფრანგეთში, ოჯახთან საახალწლოდ ჩავალ. საქართველოში ჩამოსვლაც ძალიან მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საამისო დრო აღარ მრჩება.

**- ნაკრებსაც შევეხოთ. რომ არა "კარპატიში" შექმნილი პრობლემები, ეროვნულ გუნდში, ალბათ, მეტ მატჩს ჩაატარებდი.**

- წარმატებაზე ლაპარაკი, ალბათ, უადგილოა, მაგრამ ცალკეული მატჩები მაღალ დონეზე ჩავატარეთ და რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. შემიძლია ვთქვა, რომ გუნდმა ბოლო ტურებშიც ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშა და, უიღბლობის გარდა, ვერაფერს დავაბრალებ იმ ფაქტს, რომ ნაკრები ბოლოსწინა ადგილს ვერ გასცდა.

**- რამდენიმე დღის წინ ნაკრებიდან წასვლის შესახებ კახა კალაძემ განაცხადა.**

- ეს ამბავი მამაჩემისგან გავიგე და ზუსტად არც ვიცი, რატომ გადადგა კახამ ეს ნაბიჯი. გული დამწყდა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. კალაძე ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იქნება. იგი ნამდვილი კაპიტანი და ნამდვილი კაცია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფეხბურთის ლეგენდაა. კახასთან ურთიერთობამ სულ რამდენჯერმე მომიწია, მაგრამ მისი მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები, რადგან ნაკრებთან ადაპტაციაში ძალიან დამეხმარა.

**- და რას უნდა ველოდოთ მომდევნო ციკლისგან?**



სანდრო გურული

- სწორედ ამის გამო მწყდება გული, რომ საკლუბო უსიამოვნებებმა ჩემს სანაკრებო კარიერაზეც იმოქმედა. არადა, კარგად დავიწყე, სლოვენიაში ჩატარებულ სადებიუტო შეხვედრაში გოლი გავიტანე, მაგრამ შემდეგ სანაკრებო საქმეები აღარ ამეწყო. ყველაფრის მიუხედავად, თემურ ქეცბაიას მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მან ჩემი შესაძლებლობების ირწმუნა და ვიცი, რომ შრომას არც მომავალში დამიკარგავს. მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მალე დავიბრუნო და მჯერა, ნაკრებსაც დავუბრუნდები. გულით მინდა, ეროვნულ გუნდს გამოვადგე და მზად ვარ, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო.

**- მთლიანობაში, დასრულებული შესარჩევი ციკლი ნაკრებისთვის რამდენად წარმატებული გამოდგა?**

- მთავარია, ნაკრებს პროგრესი შეეტყოს, რისი დიდი იმედიც მაქვს. შეუძლებელი კი არაფერია. თუკი ბელარუსის ნაკრებმა საფრანგეთს სტუმრად მოუგო, მოედანზე უიმედოდ არც ჩვენ უნდა გავიდეთ. ჯგუფიდან გასვლაზე ხელი არ უნდა ჩავიქნიოთ, მინიმუმ კი ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე უკეთესი პოზიცია დავიკავოთ.

**- საფრანგეთის ნაკრებში თუ თამაშობენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებთან ერთადაც "ლიონის" ახალგაზრდულ გუნდში გამოდიოდი?**

- როგორ არა, ქარიმ ბენზემა და ლოიკ რემი ჩემი ბავშვობის მეგობრები არიან და თუ იმ დროისთვის ნაკრებში თამაშის ღირსი ვიქნები, მათ და მთლიანად საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ უდიდესი შემართებით ვითამაშებ.

ლეგიონი

# თამამ, შოთა, თამამ, ზურა

გუშინწინ "ქაისერისფორმა" შინ "ქარაბუქსფორი" 2:0 დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუმჯობესა. **შოთა არველაძის** გუნდის შემადგენლობაში **ზურაბ ხიზანიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, "ქაისერი" თურქულ სუპერლიგაში დღეისთვის 22 ქულით მერვე ადგილზეა. ეს, მართალია, კლუბის მიერ წინა სეზონში ნაჩვენებ შედეგს საგრძნობლად ჩამოუვარდება, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, როგორ დაიწყო "ქაისერისფორმა" მიმდინარე ჩემპიონატი, მაშინ მერვე ადგილს ურიგო შედეგი აღარ ეთქმის.

ალსანიშნავია, რომ არველაძისა და ხიზანიშვილის გუნდმა ბოლო სამი მატჩიდან სამივე მოიგო.

"სამსუნსფორის" რიგებში მოედანზე 90 წუთი დაჰყო **აკაკი ხუბუტიამ**, რომლის გუნდიც სტუმრად "მერსინთან" 0:1 დამარცხდა. "სამსუნი" ბოლოსწინა, მე-17 პოზიციაზე.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ტურნირი




ბურთით ლევან ჟორდანია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# სახალისო და სასარგებლო დიდ-პატარასთვის

გუშინ საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" სტადიონ "ბენდელაზე" "ფოლკსვაგენის თასის" გათამაშება დაიწყო. ამ საერთაშორისო, ახალგაზრდულ (1996 წელს დაბადებულთა) ტურნირში მონაწილეობენ "საბურთალო", ქუთაისის "ტორპედო", "სახალისო ფეხბურთი" (მისი ეგიდით "ნორჩი დინამო" ითამაშებს) და არნემის "ვიტესი".

ტურნირის ინიციატორები არიან "ლევან ჟორდანიას ფონდი" (პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია**), "საბურთალო" და "სახალისო ფეხბურთის" ქართული ფილიალი.

*"საქართველოში მოზარდთა საერთაშორისო ტურნირებით განებივრებულები არ ვართ და უცხოური გუნდის ჩამოსვლა იშვიათი ამბავია. ეს "ლევან ჟორდანიას ფონდის", "სახალისო ფეხბურთის" ხელმძღვანელ ვალერი ჩოლარიასა და განსაკუთრებით "ვიტესის" პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას დამსახურებაა, რომელიც ქართულ ფეხბურთს ჰოლანდიიდანაც ემსახურება.*

*"ფოლკსვაგენის თასთან" დაკავშირებით გეტყვით, რომ ჩვენი კომპანია ტურნირის მასშტაბების გაზრდას აპირებს და იმედია, მომავალში "ლევან ჟორდანიას ფონდის" დახმარებით უფრო მეტ უცხოურ და ქართულ კლუბს მოვიწვევთ. ეს ისევ ჩვენი ბავშვების გაზრდას წაადგება. "ფოლკსვაგენის თასი" არის "საბურთალოს" ერთგვარი ტესტი და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორ ჩავაბარებთ მას.*

*"საბურთალოს" "ვიტესთან" პარტნიორობის გაფართოებაც სურს, რადგან ეს არის ჰოლანდიაში ერთ-ერთი საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე კლუბი. არნემელთა გამოცდილების გაზიარება კი ნამდვილად არ აწყენდა ჩვენი სკოლის მენეჯმენტს და მწვრთნელებს.*

*მახარებს, რომ ამ ტურნირით ქართული ფეხბურთის ყველა თაობა დაინტერესდა, თაობათა ერთობა და მათი გამოცდილების გაზიარება კი ქართულ ფეხბურთს ძალიან სჭირდება,"* – თქვა "საბურთალოს" და "იბერია ბიზნეს ჯგუფის" დამფუძნებელმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა.**

"ფოლკსვაგენის თასის" კენჭისყრა სასტუმრო "ბატესტაში" გაიმართა, გუშინ კი პირველი მატჩები ჩატარდა: "საბურთალომ" 1:0 მოუგო "სახალისო ფეხბურთს", ქუთაისის "ტორპედომ" კი დაძაბულ ბრძოლაში "ვიტესს" 4:2 სძლია.

არნემელთა შემადგენლობაში ითამაშა 15 წლის **ლევან ჟორდანიამ**, ის გუნდის კაპიტანი და ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველია. თბილისში არ ჩამოსულა არნემელთა პრეზიდენტი, თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელი **მერაბ ჟორდანია.**

"ვიტესს" ჩამოჰყვა ლაინსმენიც, რომელმაც ორგანიზატორებს დახმარება შესთავაზა, რაზეც სიამოვნებით დათანხმდნენ.

დარჩენილი მატჩების განრიგი ასეთია: 14 **დეკემბერი:** "სახალისო ფეხბურთი" – "ტორპედო" (14:00), "ვიტესი" – "საბურთალო" (16:00); 15 **დეკემბერი:** "საბურთალო" – "ტორპედო" (14:00), "ვიტესი" – "სახალისო ფეხბურთი" (16:00); **16 დეკემბერი** მატჩი მე-3 ადგილისთვის (14:00), ფინალი (16:00).

ლეგიონერები

# ჭირს, ლიტვაშიც ჭი...

## კაკულიას კი კარგი ვარიანტი გამოუჩნდა: სუდუვა

**დავით კაკულია** კარიერას ლიტვაში გააგრძელებს. წლეულს 19 წლის ნახევარმცველი მოლდოვის ჩემპიონატში "სფინტულ გეორგეში" თამაშობდა, მაგრამ ზაფხულში კონტრაქტი გაწყვიტა და საქართველოში დაბრუნდა.

ერთი ხანობა დათო ფოთის "კოლხეთში" ვარჯიშობდა, მაგრამ მიზეზთა გამო კლუბში დარჩენა არ ისურვა. ივარჯიშა, მაგრამ ასევე არ დარჩა "გაგრაშიც", რადგან თვალი მაინც უცხოეთზე ეჭირა და შეთავაზებაც მიიღო - კაკულიათი ლიტვური "სუდუვა" დაინტერესდა და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.




დავით კაკულია

"სუდუვამ" ლიტვის ჩემპიონატი მესამე ადგილზე დაასრულა და მომავალ წელს ევროპის ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. როდესაც მის შემადგენლობას გადავხედეთ, ცოტა უცნაურად გვეჩვენა, რომ კლუბში ექვსიდან სამი ლეგიონერი ჩინელი იყო.

ახლახან ბრესტის "დინამოდან" წამოსულ **ზაზა ჭელიძესთან** ერთად თბილისში მისი მეგობარი, ლიტვური "კაუნასის მეკარე **ჟიუგას** ბარტკუსი იმყოფებოდა. მისი თქმით, ლიტვაში უწინ ბევრი ქართველი თამაშობდა, ახლა კი ორნი თუ სამნილა დარჩნენ, რადგან ბალტიისპირეთშიც სერიოზული ფინანსური პრობლემებია.

*"არ მიკვირს, ქართველები რომ აღარ ჩამოდიან. ახლა ლიტვურ საკლუბო ფეხბურთს ძალიან გაუჭირდა და თავად ლიტველები ვცდილობთ ქვეყნიდან სხვაგან წასვლას. არადა, იყო დრო, ჩვენთან კარგი ფეხბურთელები ჩამოდიოდნენ. მაგალითად, ჩემს ამჟამინდელ კლუბში გია კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტია თამაშობდნენ. თუმცა კრიზისი ყველა კლუბს არ შეხებია, მათ შორის, არც "სუდუვას" და ვფიქრობ, ახალგაზრდა ქართველისთვის იქ თამაში ურიგო არ უნდა იყოს,"* – ამბობს ბრატკუსი.

# ბელარუსშიც დაიწყო...

## კრიზისი ბურთსაც ურტყამს




ზაზა ჭელიძე

**ზაზა ჭელიძე** ბრესტის "დინამოდან" წამოვიდა. 24 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა კლუბი სეზონის დასრულების შემდეგ დატოვა. რა გახდა მიზეზი, თავად ფეხბურთელის მონათხრობიდან შეიტყობთ:

*"გუნდთან კონტრაქტი 10 თებერვალს მიმთავრდებოდა, ბრესტელები ახალ, 2-წლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ დარჩენა და თუნდაც ორი თვის ხელფასის აღება არ მილირდა. ამიტომ "დინამოს" ხელმძღვანელობას მოველაპარაკე, რომ დარჩენილ ხელფასს არ მოვთხოვდი და ორმხრივი შეთანხმებით კონტრაქტი გავწყვიტეთ, გათავისუფლების ფურცელი ავიღე და თავისუფალი აგენტის სტატუსი მივიღე.*

*წამოვედი იმიტომ, რომ ბელარუსში სერიოზული ფინანსური კრიზისი დაიწყო, რის გამოც "დინამო" ბევრმა ლეგიონერმა დატოვა. როგორც ბელარუსული კლუბების უმრავლესობას, „დინამოსაც" სახელმწიფო აფინანსებდა. გუნდის ბიუჯეტი 5 მილიონი დოლარი იყო, ჩვენ თანხა, ცხადია, ბელარუსულ რუბლებში გვერიცხებოდა. წლეულს კი ადგილობრივი ფული ისე გაუფასურდა და ისეთი ინფლაცია დაიწყო, თუ ადრე 100 დოლარის ეკვივალენტურ თანხას ვიღებდით, ახლა იგივე ხელფასი 10 დოლარს თუ გაუტოლდებოდა,"* – გვითხრა ჭელიძემ.

მისი თქმით, შესაძლოა, კარიერა უკრაინაში გააგრძელოს, მაგრამ ჯერ კონტრაქტის გაფორმების სრული გარანტია არ აქვს და კლუბის დასახელებისგან თავს იკავებს. ქართულ კლუბებთაგან კი ჯერ არავინ შეხმიანებია.

ბელარუსის დასრულებულ ჩემპიონატში ზაზამ 18 მატჩი ჩაატარა, ერთი გოლი გაიტანა და ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გამოცემა "პრესბოლმა" რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელა.

ინფრასტრუქტურა

# მინდორი და რას მინდორზეა

## ტორპედოს ორიენტირი ხარისხია, ასე რომ, ელოდეთ ცვლილებებს

ქუთაისის „ტორპედოს" მეპატრონეები სტადიონის განახლების შემდეგ საღორიის ბაზის რეკონსტრუქციასაც შეუდგნენ და ამ დღეებში ახალი, ბუნებრივსაფრიანი მოედნის მოწყობა დაიწყეს.



ფოტოები: www.fctorpedo.ge



სტანდარტული ზომის მოედანზე ადგილობრივ ბალახს დააგებენ, რასაც ათი დღე დასჭირდება და იმედოვნებენ, რომ სამ თვეში მინდორი სასურველ კონდიციაში იქნება. ამის მერე მოედანი სრული სამუშაო რეჟიმით დაიტვირთება.

*„მომავალი წლის სექტემბერს განახლებული აკადემიით, მინდვრებითა და ინფრასტრუქტურით შევხვდებით. ეს უნდა გახდეს დასაწყისი იმ წარმატებებისა, რომლებზეც ქუთაისის „ტორპედო" და მისი გულშემატკივრები ოცნებობენ. უკვე გაკეთებული საქმეები და ახლაც მიმდინარე სამუშაოები კი არის საფუძველი იმისა, რომ ხვალ და ზეგ ჩვენი მიზნები განხორციელდება.*

*ბუნებრივია, ჩვენი მიზანი გუნდის განვითარებაა, რაც ინფრასტრუქტურის განახლების გარეშე წარმოუდგენელია. საკმაო დრო დასჭირდა პროექტის მომზადებას, სწორი კონცეფციის ჩამოყალიბებას. ამ ხნის განმავლობაში შემუშავდა კონცეფციის რამდენიმე ვარიანტი და მიმაჩნია, რომ საბოლოოდ ყველაზე სწორ მოდელზე შევჩერდით.*

*ბაზაზე მოეწყობა სტანდარტული ზომის 6 მოედანი, საიდანაც 1 ან 2 ხელოვნურსაფრიანი იქნება, დანარჩენები კი - ბუნებრივი. გარდა ამისა, საფეხბურთო სკოლის განვითარებაზეც ვზრუნავთ"* - თქვა „ტორპედოს" პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ**.

ქუთაისური კლუბის პრეზიდენტმა გუნდის თაობაზეც ილაპარაკა და არ დამალა, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ტორპედოში" დიდი საკადრო ცვლილებები მოხდება: *"მიმაჩნია, რომ პროცესი გამართულად მიდის. მიუხედავად იმ უიღბლობისა, რომელიც ახლახან ზესტაფონში სათასო შეხვედრისას ვინვნიეთ, გუნდმა ღირსეულად ითამაშა და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა.*

*დარწმუნებული ვარ, „ტორპედო" გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით წარმატებებს მიაღწევს. წინ ზამთრის სატრანსფერო პერიოდია, ის დრო, როდესაც გუნდის სუსტი წერტილები უნდა გავაძლიეროთ, რათა მომავალი წლიდან უფრო ხარისხიანად ითამაშოს".*

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

**საქართველოს ჩემპიონატი** | XV ტურის გამოტოვებული მატჩების წინათქმა

# ცხრილებთან თამაში

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 15 | 11 | 2 | 2 | 30 | 14 | 35 | 8 | 5 | 1 | 2 | 13 | 8 | 16 | 7 | 6 | 1 | 0 | 17 | 6 | 19 |
| 2 | ტორპედო | 16 | 11 | 1 | 4 | 23 | 11 | 34 | 8 | 6 | 1 | 1 | 16 | 5 | 19 | 8 | 5 | 0 | 3 | 7 | 6 | 15 |
| 3 | დინამო | 16 | 10 | 3 | 3 | 32 | 15 | 33 | 9 | 6 | 2 | 1 | 18 | 7 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 14 | 8 | 13 |
| 4 | მერანი | 15 | 8 | 2 | 5 | 19 | 16 | 26 | 7 | 6 | 1 | 0 | 13 | 2 | 19 | 8 | 2 | 1 | 5 | 6 | 14 | 7 |
| 5 | რუსთავი | 16 | 7 | 5 | 4 | 20 | 18 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 10 | 3 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 10 | 15 | 10 |
| 6 | ბაია | 17 | 7 | 2 | 8 | 18 | 19 | 23 | 8 | 4 | 0 | 4 | 13 | 9 | 12 | 9 | 3 | 2 | 4 | 5 | 10 | 11 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 5 | 6 | 17 | 20 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 13 | 9 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 4 | 11 | 6 |
| 8 | სპარტაკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16 | 23 | 19 | 8 | 2 | 2 | 4 | 9 | 14 | 8 | 8 | 3 | 2 | 3 | 7 | 9 | 11 |
| 9 | გაგრა | 17 | 5 | 3 | 9 | 17 | 23 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 8 | 5 | 11 | 9 | 2 | 1 | 6 | 9 | 18 | 7 |
| 10 | დილა | 16 | 4 | 2 | 10 | 20 | 25 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 7 | 10 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 13 | 15 | 7 |
| 11 | კოლხეთი | 16 | 3 | 5 | 8 | 14 | 24 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 7 | 12 | 7 | 8 | 1 | 4 | 3 | 7 | 12 | 7 |
| 12 | სიონი | 16 | 1 | 4 | 11 | 10 | 28 | 7 | 8 | 1 | 2 | 5 | 9 | 16 | 5 | 8 | 0 | 2 | 6 | 1 | 12 | 2 |

### ვირტუალური სატურნირო მდგომარეობა 14 დეკემბრისთვის

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტალურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 13 | 9 | 20 |
| 2 | ზესტაფონი | 8 | 6 | 1 | 1 | 18 | 7 | 19 |
| 3 | დინამო | 10 | 5 | 2 | 3 | 18 | 13 | 17 |
| 4 | მერანი | 9 | 5 | 1 | 3 | 12 | 8 | 16 |
| 5 | ტორპედო | 10 | 5 | 1 | 4 | 10 | 8 | 16 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 11 | 2 | 3 | 6 | 6 | 14 | 9 |
| 7 | სპარტაკი | 10 | 2 | 1 | 7 | 9 | 19 | 7 |
| 8 | ბაია | 10 | 2 | 1 | 7 | 7 | 17 | 7 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

*1. მოგებათა მეტი რაოდენობა;*
*2. ურთიერთშეხვედრები;*
*3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*
*4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*6. ფეარ პლეი;*
*7. წილისყრა.*

**გუშინ** წინა ტურის მიმოხილვა შემოგთავაზეთ, დღეს კი უკვე... მომდევნოს წინათქმაა; რას ვიზამთ, უამინდობამ საქართველოს ჩემპიონატში სერიოზული კორექტივები შეიტანა და ამიტომაც არის, დეკემბერი „საფეხბურთო თვედ" რომ ვაქციეთ — ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ოფიციალური მატჩებია. საბედნიეროდ, მართლაც უტყუარი პროგნოზით გამორჩეული ქართველი სინოპტიკოსებისაგან დღეს... დიდთოვლობას არ უნდა ველოდოთ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოტოვებული, XV ტურის დარჩენილი ხუთი შეხვედრა დღეს ჩატარდება და ცხრილ(ებ)იც მეტ-ნაკლებად სრულ სახეს მიიღებს. თუმცა, ერთი რამის თქმა წინდაწინვე შეიძლება: ბევრად აქტუალური და ჩვენ მიერ ვირტუალურად „მონათლული" ცხრილი „თავდაყირა აღარ დადგება"; ანუ, დღევანდელი ხუთი მატჩიდან სამი შეხვედრის შედეგმა, შესაძლოა, ამ ვირტუალურ ცხრილში გარკვეული გადაადგილებები მოახდინოს, მაგრამ საუკეთესო რვა გუნდს „მყუდროებას" ვერავინ დაურღვევს. მიზეზი კი მარტივია: „დილა"-„კოლხეთის" მატჩში რომელმა გუნდმაც უნდა გაიმარჯვოს, მერვე ადგილზე მყოფ „სპარტაკს" მაინც ვერ გადაუსწრებენ; რაც შეეხება „ჩვეულებრივ ცხრილში" მეცხრე ადგილზე მყოფ „გაგრას", შეგახსენებთ, რომ 27 ნოემბერს დანიშნულ იმ მართლაც „სუსხიან და თოვლიან" XV ტურში ერთადერთი შეხვედრა ჩატარდა: „გაგრა" მინიმალური ანგარიშით (0:1) „ბაიასთან" დამარცხდა. მოკლედ, საუკეთესო რვა გუნდში ახლახან (თანაც, პირველად) აღზევებულ „სპარტაკს", სულ მცირე, ამ კვირის ბოლომდე „ვირტუალურ ცხრილში" ყოფნა გარანტირებული აქვს...

დღევანდელი ხუთი მატჩიდან ორი ისეთი შეხვედრაა, რომლის შედეგიც ჩვენ მიერ უკვე არაერთგზის ნახსენებ „ვირტუალურ ცხრილში" არანაირ ცვლილებას არ მოახდენს: „ვიტ ჯორჯია"-„სიონისა" და „დილა"- „კოლხეთის" დაპირისპირებას ვგულისხმობთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ორივე შეხვედრაში რომელიმე გუნდმა გარკვეული სტრატეგიული გათვლები გააკეთოს: ჩვეულებრივ ცხრილში მეშვიდე ადგილის გასამყარებლად „ვიტ ჯორჯიას" აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროება; რაც შეეხება „დილასა" და „კოლხეთს", მართალია ეს ორივე გუნდი იმ „გადამრჩენელ" მერვე ადგილზე მყოფ „სპარტაკს" ხუთ-ხუთი ქულით ჩამორჩება, მაინც ნაადრევად გვეჩვენება იმაზე ლაპარაკი, რომ გორელებსაც თუ ფოთელებსაც საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის შანსი გადაწურული ჰქონდეთ. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი მეტოქეების ბოლოდროინდელ წარმატებულ ასპარეზობას: უკანასკნელ ორ მატჩში (თასზე და ჩემპიონატში) „დილამ" მეტოქეთა კარში 8 (!) გოლი გაიტანა, „კოლხეთმა" კი სულ ახლახან სტუმრად თბილისის „დინამოსთან" ფრედ ითამაშა. მოკლედ, ეს ორი მატჩიც დიდ ინტერესს იწვევს, რომ აღარაფერი ვთქვათ დანარჩენ სამ შეხვედრაზე, რომელთა შედეგებიც ორივე ცხრილში (ჩვეულებრივშიც და ვირტუალურშიც) სერიოზულ გადადგილებებს მოახდენს.

**დილა–კოლხეთი**
bwin: 2.10 3.10 3.30
14.12. გორი. ქართლი
14:00

**ზესტაფონი–დინამო**
bwin: 2.15 3.10 3.10
14.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
17:00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე

**სპარტაკი–მეტალურგი**
bwin: 2.30 3.20 2.80
14.12. თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა
14:00

**ვიტ ჯორჯია–სიონი**
bwin: 1.57 3.70 5.00
14.12. მცხეთა. მცხეთა პარკი
14:00

**ტორპედო–მერანი**
bwin: 1.60 3.60 5.00
14.12. ქუთაისი. ცენტრალური
15:00



დინამო-ზესტაფონი 2:2. თბილისურ მატჩში დინამო ნაგებას ბოლო წუთზე ჩისკომ (ბურთით) გადაარჩინა

## ორმაგი მოტივაცია

ზედიზედ სამი გამარჯვებით „სპარტაკმა" სრულიად დამსახურებულად „შეაბიჯა" საუკეთესო რვაგუნდიან ცხრილში; გამოცდილი სპეციალისტის **ვლადიმერ ხაჩიძის** დამოძღვრილი გუნდის პროგრესი აშკარაა და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ამ სამიდან „სპარტაკმა" ორი ისეთი შეხვედრა მოიგო, პირველი ტაიმის მერე რომ აგებდა. ანუ გუნდს თამაშ(ებ)ის „შემობრუნებაც" შეუძლია, თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ „სპარტაკს" დღეს მეტად სერიოზული მეტოქე ეყოლება. აღარ დავიწყებთ ამ სეზონის „ნოვატორული" ფორმატის საკმარისზე მეტ უცნაურობებზე საუბარს; ჰო, გუშინაც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ, რომ „ჩვეულებრივ ცხრილში" რუსთავის „მეტალურგი" მეხუთე ადგილზეა, მაშინ როცა „ვირტუალურში" პირველობას კვლავაც... **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი ინარჩუნებს. თუმცა, „სპარტაკის" მერვე ადგილზე დამკვიდრებით დღეს „მეტალურგი" „სტრატეგიულ გათვლებზე" ვეღარ იფიქრებს და მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულის მოსაპოვებლად ბრძოლა მართებს. იმის გარდა, რომ, დიდი ალბათობით, „სპარტაკიც" საუკეთესო რვა გუნდში შეიძლება მოხვდეს (ანუ, ამ გუნდთან ურთიერთშეხვედრებს გაზაფხულისათვის მნიშვნელობა ექნება), ნურც მომავალი ტური დაგვავიწყდება („მეტალურგმა" ქვეყნის ჩემპიონსა და ამ გათამაშების ერთ-ერთ რეალურ ფავორიტს „ზესტაფონს" უნდა უმასპინძლოს).

საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასას" მსგავსად ასევე მნიშვნელოვანი მატჩი ჩატარდება ქუთაისშიც, სადაც ორმაგად მოტივირებული „ტორპედო" ამ სეზონის უდავო აღმოჩენას - „მერანს" უმასპინძლებს. იმის გათვალისწინებით, რომ „ტორპედოსაც" (თითქმის ასი პროცენტით) და „მერანსაც" (დიდი ალბათობით) საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა გარანტირებული აქვთ, დღევანდელი მატჩის შედეგს მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თანაც, **გია გეგუჩაძის** გუნდი „ვირტუალურ ცხრილში" არცთუ დიდი სხვაობით, მაგრამ მაინც ჩამორჩება ჩემპიონატის დანარჩენ ფავორიტებს („ზესტაფონს", „დინამოს", „მეტალურგს"). არანაკლებ მნიშვნელოვანია რევანშის ფაქტორიც: ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში, უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მერანმა" **ელგუჯა გრიგალაშვილის** ერთადერთი გოლით თავისზე ბევრად გამოცდილი მეტოქე დაამარცხა. თუმცა, ამის შემდეგ ქუთაისელთა გუნდში ბევრი რამე თუ ვინმე შეიცვალა და „ტორპედოც" დღესდღეობით სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად.

## დიდი მატჩის მოლოდინი

ტურის კი არა, ლამის პირველი ეტაპის ცენტრალური მატჩი ზესტაფონში ჩატარდება, სადაც ბოლო წლების ორი გამორჩეული ქართული გუნდი, „ზესტაფონი" და „დინამო" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. დღევანდელი მეტოქეების პაექრობათა ისტორია 2004-05 წლების სეზონიდან იწყება და ამ ურთიერთდაპირისპირებაში უპირატესობა „დინამოს" მხარეს არის (22 მატჩი: 11 მოგება, 5 ფრე, 6 ნაგება). ჰოდა, ამის გამოც იყო, რომ ამ 7 წლის განმავლობაში სატურნირო ცხრილში „დინამო" უფრო მაღალ ადგილს იკავებდა, ვიდრე მისი დღევანდელი მეტოქე. ერთადერთი გამონაკლისი წინა სეზონი იყო, „ზესტაფონის" სრულიად დამსახურებული საჩემპიონო ტრიუმფით რომ დამთავრდა. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ „ზესტაფონის" გაჩემპიონებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სწორედ „დინამოსთან" გამარჯვებამ (IV წრის შეხვედრას ვგულისხმობთ): პრინციპული მეტოქეების მატჩის ბედი მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გადაწყდა, როცა 20 წლის **საბა ლომიას** პასით 19 წლის **გიორგი ჭანკოტაძემ** მართლაც „ოქროს გოლი" გაიტანა (აღსანიშნავია, რომ ეს ორივე ახალგაზრდა ფეხბურთელი „ზესტაფონის" იმდროინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** შეცვლაზე შეიყვანა). 2011 წლის 10 აპრილს ჩატარებული ამ შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდის შემადგენლობაში გარკვეული საკადრო ცვლილებები მოხდა (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ზესტაფონსა" და „დინამოს" ახალი მწვრთნელები ჰყავთ); ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ **გიორგი ჭიაბრიშვილისა** („ზესტაფონი") და **ალექს გარსიას** („დინამო") პირველი დაპირისპირება უხვგოლიანი ფრით (2:2) დასრულდა. თუმცა, ამა წლის 28 აგვისტოს ჩატარებულ იმ მატჩში პრინციპულმა მეტოქეებმა... არაოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზეს, — მიზეზი კი იმ დროისათვის ევროტურნირებზე გამოსვლა იყო. აი, დღეს კი ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მატჩია: „ზესტაფონის" მოგების შემთხვევაში გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდი თავის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს 5 ქულით ჩამოიტოვებს, თანაც ისე, რომ ორი თამაშით ნაკლები ექნება ჩატარებული (ვირტუალურ ცხრილს ვგულისხმობთ); აი, „დინამოს" გამარჯვების შემთხვევაში კი ორივე ცხრილში სიტუაცია დაიძაბება, აშკარად რბილად ნათქვამი იქნება...

**გია ტუხაშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუპერ თასი კითხვა სად და როდის?

„ლელოსთვის" ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სუპერთასისთვის ქვეყნის ჩემპიონი „ზესტაფონი" თასის მფლობელ „გაგრას", შესაძლოა, 25 დეკემბერს შეხვდეს.

ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციაში დაგვიდასტურეს, მაგრამ ისიც გვითხრეს, რომ მატჩის გამართვის საბოლოო თარიღი და ადგილი ჯერაც დასაზუსტებელია.

რაც შეეხება შეხვედრის ადგილს – ფედერაციამ მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით ფოთის სტადიონზე ახალი საფარი უკვე დააგო და „ფაზისის" საზეიმო გახსნა სუპერთასის გათამაშებით სურს.

საფარი იმ ბერძნულმა კომპანიამ დააგო, რომელმაც ანალოგიური სამუშაოები ჩაატარა ქუთაისის „ტორპედოს" და თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონებზე. ფოთში მინდვრის დაგება 10 დღის წინ დასრულდა და 25 დეკემბრისთვის მოედანი მზად იქნება, მაგრამ პრობლემა „ფაზისზე" ინფრასტრუქტურის არარსებობაა - ინდივიდუალური სკამები აღებულია, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა და დელეგატთა ოთახები მოსაწყობია, მოკლედ, არ არის ის კეთილმოწყობილი გარემო, სადაც ასეთი რანგის მატჩი უნდა ჩატარდეს.

როგორც ჩანს, ფედერაცია სწორედ ამის გამო არ ჩქარობს სუპერთასის მატჩის გამართვის ადგილისა და თარიღის დასახელებას.

**მერაბ მამულაშვილი**

● დაბრუნება

## კემუხტაშვილი: ისევ ტორპედო

ბოლნისის „სიონში" განათხოვრებული **ლაშა კემუხტაშვილი** მეორე წრის ბოლოს „ტორპედოს" დაუბრუნდება.

ახალგაზრდა შემტევის ქუთაისიდან წასვლის საკითხი მას შემდეგ დადგა, რაც „ტორპედოს" **კიკნაძე-ზამთარაძის** ტანდემი ჩაუდგა სათავეში, მათ კი აქცენტი გამოცდილ შემადგენლობაზე გააკეთეს. იყო ლაპარაკი, რომ კემუხტაშვილი კარიერას უცხოეთში გააგრძელებდა, მაგრამ საბოლოოდ, სათამაშო პრაქტიკის მიზნით, ოთხი თვით „სიონში" აღმოჩნდა.

18 დეკემბერს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დასრულდება, 19 დეკემბერს ლაშა „ტორპედოს" კრებას დაესწრება, 10 იანვარს კი თანაგუნდელებს შეუერთდება და მათთან ერთად ივარჯიშებს.

შეგახსენებთ, რომ კემუხტაშვილმა ბოლნისელთა ხუთ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა.

**მაგდა კლდიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება



# კოულს გვირაბში უჩხუბია

ორშაბათს, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსისა“ და „მანჩესტერ სიტის“ უკიდურესად დაძაბული შეხვედრის დამთავრების შემდეგ გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში „ჩელსის“ 30 წლის მცველ **ეშლი კოულს** ჩხუბი აუტეხავს. შეგახსენებთ, რომ თამაშს თავიდან მანჩესტერელები იგებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა იყოჩაღეს და ანგარიში ჯერ გაათანაბრეს, შემდეგ კი, შეცვლაზე შესული ვეტერანი ვარსკვლავის, 33 წლის **ფრენკ ლემპარდის** დარტყმული პენალტით გაიმარჯვეს კიდეც. ლემპარდმა, რომელსაც წინა ორი პენალტის დროს ხელი მოეცარა, შეხვედრის დასრულებამდე 8 წუთით ადრე გაიტანა. სტუმრები მატჩის ბოლო 32 წუთის განმავლობაში უმცირესობაში იყვნენ — ორი გაფრთხილების გამო მოედნიდან **გაელ კლიში** გააძევეს — და საბოლოოდ, მიმდინარე ჩემპიონატში პირველი მარცხი ივნიეს.

„სიტის“ შეხვედრის არბიტრ **მარკ კლეტენბერგთან** პირველ ტაიმშივე გაუჩნდა პრეტენზია. მსაჯმა სტუმართა სასარგებლოდ არ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომლის გატანის შემთხვევაში ანგარიში 2:0 გახდებოდა და დასავლეთლონდონელებს თამაშის შემოტრიალება ერთიორად გაუძნელდებოდათ. როგორც ვთქვით, ასე არ მოხდა, „ლურჯებმა“ ბოლო 10 დღეში ზედიზედ მესამე მნიშვნელოვანი შეხვედრა მოიგეს და საფინალო სასტვენის შემდეგ ზეიმით შევიდნენ გვირაბში, სადაც ეშლი კოულს „სიტის“ ოთახთან გამომწვევი ქცევა დაუწყია. მცველი, დაახლოებით ამას ყვიროდა - „წაიღეთ, რაც გეკუთვნოდათო“ რამაც ისტლენდელების გაღიზიანება და საპასუხო რეაქცია გამოიწვია. პრესკონფერენციაზე „სიტის“ მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა:

*„არ ვიცი რა თქვა კოულმა, ინგლისურ ჟარგონს ასე კარგად ვერ ვფლობ, მაგრამ, „ჩელსის“ მოთამაშეები თავისი ყველა შეძახილითა და ქცევით ადასტურებდნენ, რომ ჩვენ უძლიერესი გუნდი გვყავს. მათი დიდი ეიფორია სწორედ უძლიერესის დამარცხებამ გამოიწვია და, მე თუ მკითხავთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს იყო“.*

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა „ლურჯების“ გამარჯვების გოლის ავტორმა, ფრენკ ლემპარდმაც, რომელმაც გასახდელებთან ამტყდარი შეხლა-შემოხლა დაძაბული მატჩის ემოციით ახსნა.

*„ხანდახან ადამიანებს ზედმეტი მოსდით. როდესაც ერთმანეთს დიდი ფეხბურთელები, დიდი გუნდები ხვდებიან და დათმობა არავის უნდა, ემოცია ზღვარს გადადის. ასეთ ინცინდენტებში ადრეც მოვხვედრივარ და მინდა გითხრათ, რომ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ორივე გუნდი ერთმანეთს დიდ პატივს სცემს და აფასებს“.*

ზემოთ არ გვითქვამს: ანგარიში ისტლენდელთა 21 წლის იტალიელმა ფორვარდმა, **მარიო ბალოტელიმ** გახსნა, „ჩელსის“ პორტუგალიელმა ნახევარმცველმა, 28 წლის **რაულ მეირელეშმა** კი გაქვითა.

რაც შეეხება ლემპარდს, მოგეხსენებათ, გაზეთებმა სწორედ იმ დღეს დაწერეს, რომ მისი შეძენა „რეალის“ თავკაცს, „ჩელსის“ ყოფილ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოს** სურს. მას მერე, რაც დასავლეთლონდონელებს სათავეში **ანდრე ვილაშ-ბოაში** ჩაუდგა, ლემპსი „ლურჯების“ ძირითადში ველარ ხვდება და მისი ტრანსფერის თემაც ბუნებრივად წამოვიდა წინა პლანზე. ლემპარდმა თქვა:

*„მე „ჩელსიში“ მინდა თამაში და ვგრძნობ, რომ როდესაც მოედანზე ვარ, მაქსიმუმს ვაკეთებ. დიდი ხნის განმავლობაში შესანიშნავ ფორმაში ვიყავი და რეგულარულად მათამაშებდნენ. ახლა, შემადგენლობაში ხან ვარ, ხან არა. რა შემიძლია ვილონო? მესმის, უკვე 33 წლის გავხდი, მაგრამ ჯერ კიდევ მსურს და შემიძლია თამაში. კონტრაქტის თანახმად „სტემფორდ ბრიჯზე“ კიდევ 18 თვე უნდა გავატარო და მე ამ ვადის ბოლომდე ამოწურვას ვაპირებ“.*

მანჩინიმ დასძინა, რომ შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი პირველ ტაიმში იყო, როდესაც **ჟოზე ბოსინგვამ** საჯარიმოში **დავიდ სილვა** წააქცია, მსაჯმა კი თერთმეტმეტრიანი დარტყმა არ დანიშნა.

გამარჯვებამ „ჩელსი“ „სიტის“ შვიდ ქულამდე მიუახლოვა. „ლურჯების“ გახარებულმა მწვრთნელმა, ვილაშ-ბოაშმა თქვა: „შვიდქულიანი ჩამორჩენა, როდესაც პირველობისთვის ამდენი გუნდი იბრძვის, არაფერია. ახლა ბევრი რამ ჩვენი ფორმის სტაბილურობაზე იქნება დამოკიდებული“.

გამოძალვა

# რუნების ოჯახური სცენები



ამ დღეებში მანჩესტერის სასამართლოში იხილავდნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის, 26 წლის **უეინ რუნის** მეუღლისთვის, **კოლინ რუნისთვის** მოპარული ფოტოაპარატის სანაცვლოდ ფულის გამოძალვის საქმეს. 25 წლის კოლინს კამერა 2010 წლის მაისში, ამერიკულ პოპ-ჯგუფ Black Eyed Peas-ის კონცერტზე მოჰპარეს. კონცერტიც მანჩესტერში, MEN ARANA-ზე გაიმართა. აპარატში ინახებოდა რუნების ოჯახური ცხოვრების ამსახველი უამრავი ფოტო. აქ იყო უეინის, კოლინის, მათი ბიჭუნა **კაის** და სხვა სურათები.

სასამართლომ მოისმინა, რომ კამერა ხელში ჩაუვარდა მავან **ლი პლატს,** რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ კლუბის ოფისში დარეკა და ფეხბურთელის აგენტი, **პოლ სტრეტფორდი** იკითხა. პლატს ასისტენტი **როზი ნიქსონი** დაელაპარაკა. საუბარი იწერებოდა და სასამართლოზე ჩანაწერი წარმოადგინეს კიდეც. პლატმა ნიქსონს უთხრა:

*„ჩვენ უეინ რუნის ფოტოკამერის მეხსიერება გვაქვს. აქ უნიკალური ფოტოებია. გადაღებულია ოჯახური წვეულებები, სახლი, ბავშვის დაბადების პერიოდი, კოლინის სიმთვრალე...“*

პლატმა თქვა, რომ აგენტმა სტრეტფორდმა აპარატის სანაცვლოდ 200 გირვანქა შესთავაზა, მან კი თითო სურათში 100 გირვანქა ითხოვა. ამის შემდეგ, სასამართლომ მოისმინა, რომ პლატმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებთან ურთიერთობის მენეჯერ **ბერი მურჰაუსსაც** დაურეკა და კამერის სანაცვლოდ, თავიდან 1 000 გირვანქა სტერლინგი ითხოვა, შემდეგ კი 5 ათასზე ავიდა. მურჰაუსმა თქვა, რომ წინაალმდეგ შემთხვევაში, სურათების ყვითელი პრესისთვის მიცემით იმუქრებოდა.

პოლიცია შანტაჟისტთა რამდენიმე ზარის შემდეგ გამოიკვლია მათი ვინაობა და მოსალაპარაკებლად, შეხვედრაზე, თავიანთი აგენტი, ვინმე **ჯეიმსი** გაუშვა. პირველ შეხვედრაზე დაითქვა მეორე შეხვედრა, ამჯერად მავან **სტივენ მალკოლმთან** მანჩესტერის „მერიოტში“, სადაც მალკოლმმა მიიტანა „ჩიპი“, რომელზეც ოთხასზე მეტი ფოტო იყო ჩაწერილი. საინტერესოა, რომ პლატი დანაშაულს აღიარებს, მალკოლმი კი უარყოფს. სასამართლო გრძელდება.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ასე იქადნება მაიკლ ქერიკი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 30 წლის ნახევარმცველი, **მაიკლ ქერიკი** ამბობს, რომ მისი გუნდი მზად არის, პრემიერლიგის ცხრილს საახალწლო შტურმი მოუწყოს. ის დარწმუნებულია, რომ „იუნაიტედი“ დღეს გაცილებით უკეთეს ფორმაშია, ვიდრე შარშან ამ დროს იყო და „ხმაურიან მეზობელს“, „მანჩესტერ სიტის“ ემუქრება.

*„რასაკვირველია, „სიტი“ მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობს და ძალიან ცოტა ქულას კარგავს, მაგრამ უკან უამრავი გუნდი მოსდევს და მის ფეხის დაცდენას ელოდება. ერთი სიტყვით, შექმნილი სიტუაცია ძალიან გვაძლევს ხელს. რა თქმა უნდა აჯობებდა პირველ ადგილზე ვყოფილიყავით, მაგრამ თუ გავიხსენებთ ერთი წლის წინანდელ ამბებს, ვნახავთ, რომ წლეულს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ და იმედი მაქვს, გაზაფხულზე მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ მოტრიალდება კიდეც“.*

მართლაც, წლეულს „მანჩესტერ იუნაიტედს“ შარშანდელთან შედარებით ხუთი ქულით მეტი აქვს, არადა შარშან მე-19დ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის ტიტული. ჩავხედოთ მიმდინარე პირველობის შედეგებსაც: „მანჩესტერ სიტისთან“ 6:1 დამარცხების შემდეგ „იუნაიტედმა“ პრემიერლიგის ექვს შეხვედრიდან ხუთი მოიგო და ერთი, „ნიუკასლთან“ ფრედ ითამაშა. ერთი სიტყვით, ლიდერს, „მანჩესტერ სიტის“ კვალში სწორედ მაიკლ ქერიკის გუნდი უდგას, მაგრამ ნახევარმცველი ამბობს, რომ არც სხვა კონკურენტების დავიწყება შეიძლება:

*„შეხედეთ ცხრილს, მის ზედა ნაწილში ბევრი ძლიერი გუნდია. „ტოტენჰემი“ დიდებულად თამაშობს, „არსენალი“ უმატებს და უმატებს და არც „ლივერპულია“ ხელწამოსაკრავი. არ გაგიკვირდეთ, გაზაფხულზეც ასე რომ გაგრძელდეს. თუ თებერვალსა და მარტში ტიტულისთვის ბრძოლას კვლავ ოთხი-ხუთი გუნდი განაგრძობს, შეგიძლიათ ორი გუნდის დოლზე ფიქრს დაემშვიდობოთ“.*

კიდევ, ქერიკმა იანვრის დასაწყისში, ფეხბურთის ასოციაციის თასზე დანიშნული მანჩესტერული დერბი ახსენა. როგორც ჩანს, მისთვის ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

*„შესაძლოა გაგიკვირდეთ, მაგრამ მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანი ვარ, რომელსაც ფეხბურთის ასოციაციის თასი არ მოუგია. ჩვენთან, გასახდელში, სერიოზული განწყობაა. არავის ეგონოს, რომ ამ შეჯიბრებას მსუბუქად ვუყურებთ, მით უფრო, რომ ბედმა მეტოქედ „მანჩესტერ სიტი“ გვარგუნა“.*



მოსაზრება



# ვუდიმ დეზებს მოჰკრა თვალი

„სტოკ სიტის“ 31 წლის ფეხბურთელი, ინგლისის ნაკრების ყოფილი წევრი, **ჯონათან ვუდგეიტი** ამბობს, რომ ერთადერთი გუნდი, რომელმაც შეიძლება „ტოტენჰემ ჰოთსპური“ შეაჩეროს, „მანჩესტერ სიტია“. უცნაური განცხადებაა, არა? წესით, პირიქით უნდა ეთქვა, „სიტის“ გამჩერებელი „დეზების“ მეტი არავინ არისო, მაგრამ ვუდგეიტი პრემიერლიგის მიმდინარე ჩემპიონატს თავისებურად ხედავს.

*„ლონდონელებს საოცარი გუნდი ჰყავთ. ისინი მთელ მოედანზე ცეცხლს ანთებენ, საოცრად სწრაფად გადაადგილდებიან. მათ წინააღმდეგ თამაში შემაძრწუნებელია. მერედა, სისწრაფე მათი ერთადერთი ღირსება ხომ არ არის. მათ დიდი ოსტატობაც მოსდევთ. დღეს „მანჩესტერ სიტის“ გვერდით თუ ვინმეს დავასახელებ, „ტოტენჰემ ჰოთსპურია“. დარწმუნებული ვარ, რომ თუ ეს გუნდი წლეულს ვერ მოახერხებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას, გაისად მას ვერავინ შეეცილება“.*

ვუდგეიტის აზრით, მიმდინარე ჩემპიონატში პირველ და მეორე გუნდებს შორის განსხვავება შესაძლოა „სტოკის“ ტიპის გუნდებთან დაკარგულმა ქულებმა განაპირობოს.

*„არასდროს ვყოფილვარ ჩემპიონი და ამიტომაც ვერ გეტყვით, რა ინგრედიენტია საჭირო, ტიტული რომ მოიპოვო. შესაძლოა, თუკი ჩემპიონობა გინდა, სტოკში რომ ჩამოდიხარ, მსაჯმა კაცი რომც გაგიგდოს, მაინც უნდა მოახერხო 2:2-ის თამაში“.*

მოგეხსენებათ, კვირას, სტოკში კაცნაკლულმა „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ 2:1 წააგო.

ნიუკასლი

# პერდიუს იმედი

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელ **ალან პერდიუს** იმედი ჩაესახა — დაცვისა და ნახევარდაცვის ბურჯები, 29 წლის არგენტინელი, **ფაბრისიო კოლოჩინი** და 25 წლის კოტ დ'ივუარელი, **ჩეიკ ტიოტე** გამოჯანმრთელდნენ და შაბათს, „სუონსისთან“ ითამაშებენ.

გუშინ, „ბოლტონის“ წინაალმდეგ შეხვედრაში, „კაჭკაჭთა“ სარეზერვო გუნდში გამოჩნდა აგვისტოში დაშავებული ცენტრალური მცველი, 28 წლის **მაიკლ უილიამსონიც.**

პერდიუ „ნორვიჩთან“ 4:2 დამარცხების შემდეგ ცვლილებას ეშურებოდა. მას განსაკუთრებით დაცვის ცენტრში უჭირდა, სადაც კოლოჩინისა და **სტივენ ტეილორის** არყოფნაში **ჯეიმს პერჩი** და **დენი სიმპსონი** გამოდიოდნენ. შეგახსენებთ, რომ ტეილორი აქილევსის მყესის ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ფაბრისიო კოლოჩინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ფრანგული ამბები

# საუკეთესო ფრანგი



ფრანს ფუტბოლმა ქარიმ ბენზემა აღიარა

"ფრანს ფუტბოლმა" მადრიდის "რეალის" 23 წლის (24-ისა 19 დეკემბერს ხდება) თავდამსხმელი **ქარიმ ბენზემა** საფრანგეთის 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მიმდინარე სეზონში ის სამეფო კლუბის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელად იქცა. ნაკრებში კი ნამდვილი ლიდერივით თამაშობს. "სამფეროვანთა" შემადგენლობაში ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის 7 მატჩში მის ანგარიშზე 3 გოლი იყო, რითაც დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ **ლორან ბლანის** გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი არავის დაუთმო. რაც შეეხება საკლუბო წარმატებებს, პრიმერა დივიზიონის 13 შეხვედრაში მის ანგარიშზე 8 ბურთია. მართალია, მისი გოლი "სუპერკლასიკოში" "რეალს" ვერაფერში წაადგა, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ "ბარსას" კარში მის მიერ 22-ე წამზე გატანილი ბურთი სარეკორდო აღმოჩნდა ესპანური გრანდების დაპირისპირებათა ისტორიაში.

გარდა ფეხბურთელისა, "ფრანს ფუტბოლმა" 2011 წლის საუკეთესო მწვრთნელიც დაასახელა. მიუხედავად ჩემპიონთა ლიგაში "ლილიეს" წარუმატებლობისა, აღნიშნული ტიტული არავის დაუთმო "ძაღლების" დამრიგებელმა **რუდი გარსიამ**.

ახლა ორიოდე სიტყვით ფრანგულ სატრანსფერო ბაზარს შევეხოთ: როგორც ფრანგული სპორტული ვებგვერდები წერენ, "სოშოდან" მალელი **მოდიბო მაიგას** წასვლა უკვე გადაწყვეტილია. მეტიც, ისინი ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელი ამ დღეებში ნიუკასლში იმყოფებოდა, რათა სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ "კაჭკაჭებთან" კონტრაქტი გაეფორმებინა. ფეხბურთელით ზაფხულზე "სანდერლენდი" იყო დაინტერესებული, თუმცა "შავმა კატებმა" სათანადო სახსრები ვერ გამონახეს და ფეხბურთელი საფრანგეთში დარჩა. ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ "ნიუკასლს" ფეხბურთელის გადაბირება 7 მილიონი გირვანქა (8,3 მილიონი ევრო) დაუჯდება. მთავარია, აფრიკელი მუხლმა არ დაალალატოს, რომელიც მას ხანდახან სტკივა ხოლმე. ბუნებრივია, თავდამსხმელი ჯორდებში ოფიციალურად იანვრიდან გამოჩნდება. იქამდე კი ის "სოშოს" "ბორდოსთან" (18 დეკემბერი) და "აიაჩოსთან" (21 დეკემბერი) მატჩებში დაეხმარება.

"არსენალის" მაროკოელი თავდამსხმელის **მარუან შამახის** აგენტმა კიდევ ერთხელ (ვინ იცის მერამდენედ) უარყო ხმები, თითქოს მისი კლიენტი სათამაშოდ საფრანგეთში დაბრუნებას აპირებდეს. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთთან ინტერვიუში ფეხბურთელმა აღნიშნა, არ ვიქნები წინააღმდეგი, თუკი ოდესმე კარიერას ისევ "ბორდოში" განვაგრძობ. ფეხბურთელის წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მარუანს "მეთოფეთა" დატოვება უკვე ძალიან უნდა, მოლაპარაკება საფრანგეთის რომელიმე კლუბში მის გადასვლაზე არ მიდის. *"მისი უახლოესი გეგმები ასეთია: წარმატებით გამოვიდეს აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშებაში და "არსენალთან" ერთად მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიოს ყველა ფრონტზე. ამის შემდეგ კი დავსხდებით და მოვიფიქრებთ, თუ რა გზას დავადგეთ. შემოთავაზებები მრავლად გვაქვს, მაგრამ საფრანგეთში დაბრუნება ამ ეტაპზე ნაკლებად მოსალოდნელია,"* – განუცხადა აგენტმა გამოცემა Sud-Ouest-ს.

"ნიცასა" და **დავიდ ტრეზეგეს** შორის მოლაპარაკებები ზაფხულზეც მიმდინარეობდა. აგვისტოში კლუბის ახლადარჩეული პრეზიდენტი **ჟან-პიერ რივე** ამაოდ ცდილობდა 33 წლის ვარსკვლავის მოხიბვლას. დავიდმა კარიერის "ბანიიასში" გაგრძელება არჩია, თუმცა ტრავმის გამო საამიროების კლუბთან კონტრაქტი მალე გაწყვიტა და ახლა უკლუბოდაა. რივე გამოჯანმრთელებულ ტრეზეგეს ხელშეკრულებას ხელახლა სთავაზობს. "ნიცას" მით უფრო სჭირდება გამოცდილი მეგოლის დამატება, რომ ლიგა 1-ის აუტსაიდერს "ნანსის" შემდეგ ყველაზე სუსტი თავდასხმა ჰყავს ელიტურ გუნდებს შორის – 17 ტურში გუნდს სულ 15 ბურთი აქვს ანგარიშზე, 3-ით მეტი, ვიდრე ლიგის ბომბარდირ **ოლივიე ჟირუს**.

სულ უფრო ცხადი ხდება, რომ დღედღეზე "მონაკოს" გაჭირვებულ ყოფას ბოლო მოეღება. "ფრანს ფუტბოლის" მტკიცებით, მეორე ლიგის კლუბში რუსი მილიარდერის **დმიტრი რიბოლოვლევის** მისვლა დროის საკითხია. ამ ინფორმაციას არც თავად ბიზნესმენის პრესსამსახურში უარყოფენ. ორშაბათს მონაკოს პრინცი **ალბერი** და რიბოლოვლევი ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდნენ. მხარეებმა კლუბის სამომავლო პერსპექტივებზე იმსჯელეს. ამჟამად "მონაკოში" უმძიმესი ფინანსური პრობლემები მძვინვარებს. დიდი ტრადიციების კლუბში ისეთ ლეგენდებს უთამაშიათ, როგორებიც იყვნენ **მანუელ ამორო, ფაბიენ ბარტეზი, იური ჯორკაეფი, ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგე, ემანუელ პეტი, ლილიან ტურამი** და სხვები. ახლა კი ის პრაქტიკულად გაკოტრების ზღვარზეა. სწორედ გაუსტუმრებელი გადასახადები გახდა იმის მიზეზი, რომ კლუბის ხელმძღვანელობა საფრანგეთის ფინანსურ პოლიციაშია დაბარებული. ბიზნესმენი მზადაა ამ შეხვედრას თავადაც დაესწროს და აუწყოს კანონის დამცველებს, რომ ის ამ თანხებს უახლოეს ხანებში დაფარავს. პირველ ეტაპზე რიბოლოვლევი "მონაკოსთვის" 200 მილიონის დახარჯვას აპირებს.

ფრანგული ფეხბურთის მიმოხილვას დღეს **კლოდ პიუელის** "ლიონთან" დავის შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით დავასრულებთ. "ლომების" 50 წლის ყოფილი თავკაცი კლუბისგან კონტრაქტის ბოლომდე გათვალისწინებული ხელფასის სრულად ანაზღაურებასა და "საქმიანი რეპუტაციის" შელახვის გამო სოლიდურ კომპენსაციას 4.9 მილიონ ევროს ითხოვდა. ორშაბათს პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განსახილველადაც კი არ მიიღო.

**ლევან ბიბილაშვილი**

### აიაქსი

# ბურინტერი უკვე ჯანზეა



დერკ ბურიხტერი

"აიაქსის" ბოლო თამაშებმა ნათლად დაგვანახვა, რომ მიუხედავად ტალანტისა, **ლორენცო ებესილიოს,** თუნდაც ასაკის გამო, არ შეუძლია **დერკ ბურიხტერის** ღირსეულად შეცვლა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამსტერდამელთა ბანაკში სიხარულით მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ "აიაქსის" მარცხენა თავდამსხმელი მწყობრში ჩადგა და თამაშს უახლოეს მატჩებშივე შეძლებს. ჰოლანდიის ნაკრების კანდიდატმა (მიუხედავად იმისა, რომ უკვე მიიწვიეს, "ნარინჯისფერთა" რიგებში ჯერ მას არ უთამაშია) ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრა ფეხის ტრავმის გამო გამოტოვა. ის არ იყო ჩემპიონთა ლიგაში "რეალის" წინააღმდეგ გადამწყვეტ შეხვედრაშიც. **ფრანკ დე ბურს** იმედი აქვს, რომ დერკი მას "დენ ჰააგისა" (ერედივიზიე) და "ალკმაარის" (ჰოლანდიის თასის 1/16-ფინალი) წინააღმდეგ მატჩებში დაეხმარება. ამ შეხვედრებში "აიაქსს" შეიძლება დაუბრუნდეს **ტეო იანსენიც**, ვინც ტრავმის გამო "ვაალვაიკთან" ვერ ითამაშა. შეძლებს თუ არა იანსენი მინდორზე გამოსვლას, ამას ფრანკ დე ბური და ექიმები რამდენიმე დღეში გადაწყვეტენ. რაც შეეხება სხვა ტრავმირებულებს: **სიმ დე იონგი, ტობი ალდერვეირელდი, ნიკოლაი ბოილესენი, კოლბეინ სიტგორსონი** და **ანდრე ოოიერი** ფეხბურთს იანვარში თუ დაუბრუნდებიან.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ამბები

## ყველა ტრანსფერზე!

სერბეთის ჩემპიონატის პირველი წრე ბელგრადის "ცრვენა ზვეზდამ" ჩააგლო. შეუძლებელია სხვანაირად შეფასდეს ის, რომ გუნდმა 15 ტურში 32 ქულა მოაგროვა და ლიდერ "პარტიზანს" უკვე 10-ით ჩამორჩება. შეგირდების უნდილმა გარჯამ მთავარი მწვრთნელი, ხორვატი **რობერტ პროსინეჩკი** იმდენად აღაშფოთა, რომ ტრანსფერზე ერთბაშად 11 ფეხბურთელი დააყენა. *"ჩვენ ნამდვილად გვჭირდება ახალი სისხლი. ესენი იქნებიან პატარა ბიჭები ჩვენი აკადემიიდან, - განუცხადა მან "როიტერს". – ჩვენივე სკოლის აღზრდილები "ცრვენა ზვეზდას" მომავალს შექმნიან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია. ახალი გუნდის ჩამოსაყალიბებლად დრო დაგვჭირდება. ასე რომ, ყველამ გაითვალისწინოს, ჩემპიონობაზე მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ თუ ვიფიქრებთ".*

გარდა წარუმატებელი თამაშისა ტრანსფერზე ფეხბურთელების დაყენების მიზეზი ისიც გახდა, რომ ბელგრადულ კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები აწუხებს.

## თურქული გულმოწყალება

თურქულ კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებამ გარიგებული საფეხბურთო მატჩების საქმეზე განსასჯელთა დიდ ნაწილს თავისუფლება აჩუქა. თუმცა თემიდას მსახურებმა მათ გარკვეული დროით ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს. ცვლილება მართლაც რევოლუციური გამოდგა. 12-წლიანი მაქსიმალური სანქციის 3-მდე შემცირებას სხვას ვერაფერს დავარქმევთ. გათავისუფლებულთა შორის მოხვდნენ მაგალითად "ბეშიქთაშის" ერთ-ერთი ყოფილი მწვრთნელი და აღმასრულებელი დირექტორი. სულ აღნიშნულ საქმეზე დაკავებულთაგან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ამჟამად 85 ადამიანი რჩება. მათ შორის ყველაზე გავლენიანი ადამიანის, "ფენერბაჰჩეს" ყოფილი პრეზიდენტის **აზიზ ილდირიმის** პროცესი 2012 წლის 14 თებერვალს დაიწყება.

## ბლოხინი შანსებს აფასებს

უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** თავისი გუნდის საევროპოჩემპიონატო შანსებზე ილაპარაკა. აი, რას ამბობს ოლეგ ვოლოდიმიროვიჩი: *"მიუხედავად იმისა, რომ ლორან ბლანი ამჟამად ახალ გუნდს აყალიბებს, ნამდვილად არ ვაპირებ ფრანგების დაუფასებლობას. ის, რომ ახალი ფორმაციის გუნდი შენდება, ვფიქრობ, თვალში საცემია. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატზე "სამფეროვნები" ერთ-ერთი ფავორიტები იქნებიან. ინგლისის ნაკრები ყოველთვის იდგა მოწოდების სიმაღლეზე. სხვა საქმეა, რომ ისინი ამ ბოლო დროს თავს ვერაფრით გვამახსოვრებენ, მაგრამ შეხედეთ ინგლისურ კლუბებს! შვედეთი კარგად ორგანიზებული, შეკრული გუნდია. ისინი თავდადებით იბრძვიან, როგორც ეს საერთოდ სკანდინაველებს ახასიათებთ. მერე რა, რომ დიდი შედეგებით ვერ გამოირჩევიან, ფინალურ ეტაპებზე ხომ თითქმის ყოველთვის ხვდებიან".*

## პოლონეთმა დაგეგმა



ფრანტიშეკ სმუდა

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატამდე ნაკრების მიერ ჩასატარებელი ამხანაგური მატჩების განრიგი საბოლოოდ დაადგინა. ეროვნული გუნდის თავკაცმა **ფრანტიშეკ სმუდამ** ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისი გუნდი 4 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. 29 თებერვალს პოლონელები ვარშავაში პორტუგალიას შეხვდებიან. მაისში გუნდი შეკრებას ავსტრიაში გაივლის, სადაც სლოვაკეთსა და ბულგარეთს გაეჯიბრება. 2 ივნისს კი ისინი კიდევ ერთ მეტოქეს მიიღებენ შინ. უკანასკნელი საკონტროლო მატჩის სპარინგპარტნიორი მოგვიანებით გაირკვევა. აქვე გეტყვით, რომ პოლონეთის ეგრეთ წოდებული მეორე ნაკრები 16 დეკემბერს თურქეთში ბოსნიას ეთამაშება. ამ გუნდში იქნებიან როგორც ეროვნულის ნამყვანი მოთამაშეები, ისე კანდიდატები, რომელთაც აქამდე თავის გამოჩენის შანსი ნაკლებად ეძლეოდათ.

უშუალოდ ევროპის პირველობის მიმდინარეობისას კი სმუდას გუნდი ვარშავაში სასტუმრო „ჰაიატში" დაბინავდება. სასტუმროს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ეროვნულ ნაკრებს მეორე სართული მთლიანად დაეთმობა.

**ლევან ბიბილაშვილი**

### მეორე ბუნდესლიგა




# სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

## ფიურტის ფეხბურთელმა ცარიელ კარში შვიდი მეტრიდან ვერ გაიტანა

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ამ დარტყმას გოლი არ მოჰყვა...

ორშაბათს, მეორე ბუნდესლიგის მორიგი ტურის ცენტრალურ მატჩში (აინტრახტი-ფიურტი 0:0) წარმოუდგენელი და ძალიან სასაცილო ამბავი მოხდა: შეხვედრის მე-19 წუთზე „ფიურტის" 21 წლის ფეხბურთელი **ეგარ პრიბი** „აინტრახტის" მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა და ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი შვიდი მეტრიდან ცარიელ კარში შეეგორებინა, მაგრამ... ბურთი ძელს მოარტყა! არადა, მანამდე მან ფრანკფურტელთა კარის დარაჯ **ოკა ნიკოლოვს** ბურთი თავსზემოთ მოხდენილად გადაატარა, დარტყმის მომენტში კი ხელს არავინ უშლიდა.

*„არ ვიცი, ეს როგორ დამემართა. ათიათასჯერ რომ დამარტყმევინონ, ასეთ მომენტში გოლს ათიათასივე შემთხვევაში გავიტან. მოკლედ, ამ მომენტმა უკვე ლეგენდარულ ფეხბურთელად მაქცია,"* - თქვა პრიბმა მატჩის შემდეგ.

*„ზუსტად ვიცი, რომ ეს მომენტი წლის აბსოლუტურად ყველა სპორტულ შეჯამებაში მოხვდება და ნერვებს დამაწყვეტს. ამ მომენტის გამეორების ნახვა არ მინდა,"* - ეს კი „ფიურტის" მთავარი მწვრთნელის, **მაიკ ბიუსკენსის** სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**

სერია A. XV ტურის შეჯამება

# ვეტერან ფორვარდთა ფიესტა

XV ტურის მიმოხილვაში, ცენტრალურ პაექრობაზე არაფერი გვითქვამს, რადგან ეს უკანასკნელი ორშაბათს გაიმართა - ამიტომ, სანამ ტურის შეჯამებაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვა სწორედ „რომასა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირებაზე ვთქვათ...

თითქმის გადაჭედილ „ოლიმპიკოზე“ საინტერესო მატჩი შედგა, რომელიც ორივე გუნდისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები შედეგით დასრულდა. მართალია, რომაელებს ჰაერივით სჭირდებოდათ სამი ქულა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკულად განახევრებული შემადგენლობით უწევდათ ასპარეზობა, წესით, მოპოვებული ქულით მთლად უკმაყოფილონი არ უნდა დარჩენილიყვნენ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში **ფრანჩესკო ტოტიმ** თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. მოკლედ ვთქვათ, რომ ანგარიში სტარტზევე გაიხსნა და გოლი ცენტრალურ მცველად გამწესებულმა **დანიელე დე როსიმ** გაიტანა. ამის შემდეგ, ინიციატივას ტურინელები დაეუფლნენ და შეხვედრის ბოლომდე სურათი აღარც შეცვლილა. ეს იყო პირველი მატჩი მიმდინარე სეზონში, როდესაც „რომა“ ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლით მეტოქეს ჩამორჩა.

ტურინელთა იერიშებმა შედეგი 61-ე წუთზე გამოიღო, როდესაც მრავალსვლიანი კომბინაცია **ჯორჯო კიელინიმ** თავური დარტყმით დააგვირგვინა. ზუსტად ერთ წუთში **ერიკ ლამელა** მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და თერთმეტმეტრიანი მოინადირა, თუმცა... ფრანჩესკო ტოტის „გმირობის“ შესახებ თავშივე გითხარით. საყაიმო შედეგი საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ „იუვეს“ ლიდერობა დაებრუნებინა, „რომას“ კი ლიდერთა კოჰორტამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

მარჯვენა ფრთის მცველებს შორის **დუგლას მაიკონი** გამოირჩა, მარცხენა ფრთაზე კი სიცილიელი **მარკეზე**.

ნახევარდაცვაში **ისლას** ვხედავთ, რომელიც წინა ტურში სულაც გმირი გახლდათ, მის მხარდამხარ კი **როსის** „ჯენოადან“ და **კოუტინიოს** „ინტერიდან“ - ორივე მათგანმა დიდი წვლილი შეიტანა თავთავიანთი გუნდების გამარჯვებაში. თავდასხმაში ვეტერანები გვყავს: **ადრიან მუტუმ** „პალერმოს“ გაუტანა გამარჯვების გოლი, **მარკო დი ვაიომ** „ბოლონიას“ „მილანთან“ ქულა აალებინა, **მიროსლავ კლოზემ** კი ... მასზე ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

## ტურის გმირი

მიროსლავ კლოზეს უკვე ათი გოლი აქვს გატანილი „ლაციოს“ შემადგენლობაში და თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომაული გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა. ეს სერია A-ს გასულ ტურშიც ნათლად დადასტურდა - მირომ **სერხე კოსმის** განვრთნილ „ლეჩეს“ დუბლი შეუსრულა და „ბიანკოჩელესტეს“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მატჩის შემდეგ, გერმანელი ბედნიერი გახლდათ და პრესასთან შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„ძალიან მიხარია, რომ ორი გოლი გავიტანე და ამით, გუნდს უმნიშვნელოვანესი ქულების მოპოვებაში დავეხმარე. სატურნირო ცხრილში მაღალი პოზიცია გვიკავია, რაც ენთუზიაზმს გვიორმაგებს - ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრაა და მჯერა, რომ ამოცანას წარმატებით გადავჭრით“.*



მიროსლავ კლოზე

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ბუფონი** (იუვენტუსი) - **მაიკონი** (ინტერი), **დე როსი** (რომა), **ჰაინცე** (რომა), **მარკეზე** (კატანია) - **ისლა** (უდინეზე), **როსი** (ჯენოა), **კოუტინიო** (ინტერი) - **კლოზე** (ლაციო), **დი ვაიო** (ბოლონია), **მუტუ** (ჩეზენა).

სიმბოლური ნაკრები ტრადიციულად ძალიან შემტევია და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან გულშემატკივრებს გოლები ახარებთ, რომლებსაც, როგორც წესი, შემტევი ფეხბურთელები იტანენ. თუმცა, სანამ თავდასხმაზე გადავიდოდეთ, მცველებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა...

„რომას“ ყველაზე მეტად ნახევარდაცვაში უჭირდა და ამად იყო, რომ პირველად ამ სეზონში, **ლუის ენრიკეს** გუნდი ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლით მეტოქეს ჩამორჩა. „იუვენტუსმა“ უპირატესობით წარმართა შეხვედრა და ის, რომ საყაიმო შედეგი დაფიქსირდა, დიდწილად „რომას“ დაცვის ცენტრალური ტანდემის დამსახურება გახლავთ. **გაბრიელ ჰაინცემ** და **დანიელე დე როსიმ** თავისი საქმე ბრწყინვალედ გააკეთეს და დაიმსახურეს კიდეც ადგილი სიმბოლურ ნაკრებში.

### ტურის ფრაზა

**მასიმილიანო ალეგრი (მილანის მთავარი მწვრთნელი):** *„ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მართლაც გააფორმა ვარდნა და ისე მოინადირა თერთმეტმეტრიანი, მაგრამ ეს ყველაფერი ხშირად ინსტინქტების დონეზე ხდება - ამიტომ, შეგირდს ვერაფერში დავადანაშაულებ“.*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

■ ■ ■

**ყველაზე დაბალი დასწრება:** II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

■ ■ ■

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** მილანი-კატანია 4:0 (XI ტური), მილანი-კიევო 4:0 (XIII).

■ ■ ■

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).

■ ■ ■

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).

### სერიები

მოგება: უდინეზე - 3 თამაში
წაგება: ლეჩე - 4
წაუგებლად: იუვენტუსი - 14
მოუგებლად: სიენა - 5

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **31 გოლი - მილანი; 25 - იუვენტუსი; 22 - ლაციო, ნაპოლი.**

საუკეთესო დაცვა: **7 გაშვებული - უდინეზე; 11 - იუვენტუსი, ლაციო.**

**უარესი თავდასხმა: 7 გოლი - ჩეზენა; 11 - კიევო; 12 - კალიარი.**

უარესი დაცვა: **26 გაშვებული - ლეჩე; 25 - ნოვარა; 20 - პარმა, კატანია.**

ზუსტი გადაცემები: **7978 - მილანი; 7312 - იუვენტუსი; 7029 - რომა.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **242 - იუვენტუსი; 221 - მილანი; 215 - რომა.**

კარში დარტმები: **88 - იუვენტუსი; 81 - მილანი; 67 - კატანია.**

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 10 - დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); 9 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 8 - კლოზე (ლაციო); 7 - ედინსონ კავანი (ნაპოლი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

**ასისტენტები:** 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა); 5 - ჯიბრილ სისე (ლაციო); 4 - როდრიგო პალასიო (ჯენოა), გასტონ რამირესი (ბოლონია), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა).

### ზუსტი პასები

1003 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 964 - დანიელე დე როსი (რომა); 937 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 890 - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 850 - ტიაგო სილვა (მილანი); 822 - მიგელ ველოზო (ჯენოა).

### კარის მიმართულებით დარტყმები

65 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 56 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 54 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 46 - ერნანესი (ლაციო); 45 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).

### კარში დარტყმები

27 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 20 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 18 - ხერმან დენისი (ატალანტა), ადრიან მუტუ (ჩეზენა); 17 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 16 - ედინსონ კავანი (ნაპოლი).

### ჯარიმები

38 - ხერმან დენისი (ატალანტა); 37 - სტეფანო მორონე (პარმა), დანიელე კონტი (კალიარი); 36 - პანაიოტის კონე (ბოლონია), ხუან კუადრადო (ლეჩე); 35 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე), ლუკა ჩიგარინი (ატალანტა).

### ციფრები და ფაქტები

- ბოლო 2 სეზონის განმავლობაში, ფრანჩესკო ტოტიმ 11 პენალტი დაარტყა და იქიდან 3 გააფუჭა;

■ ■ ■

- „რომას“ „იუვენტუსთან“ გამართულ ბოლო 7 საშინაო შეხვედრაში მხოლოდ 2 ქულა აქვს აღებული;

■ ■ ■

- „ფიორენტინამ“ მიჯრით მე-11 შეხვედრა წააგო ჯუზეპე მეაცაზე, როგორც სერია A-ში, ისე სათასო ბატალიებში;

■ ■ ■

- მიმდინარე სეზონში, ჯამპაოლო პაცინიმ პირველი გოლი გაიტანა ჯუზეპე მეცაზე;

■ ■ ■

- „ბოლონიასთან“ პაექრობაში „მილანმა“ 372-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა;

■ ■ ■

- „ნაპოლის“ ნახევარმცველმა ბლარიმ ჯემაილმა მიჯრით მეორე შეხვედრაში შეძლო გოლის გატანა, აქამდე კი მის ანგარიშზე ერთადერთი შედეგიანი დარტყმა იყო 87 შეხვედრაში;

■ ■ ■

- „ნოვარას“ ფეხბურთელმა ივან რადოვანოვიჩმა პირველი გოლი გაიტანა კარიერაში;

■ ■ ■

- „ჩეზენას“ „რენცო ბარბერაზე“ 1994 წლის შემდეგ არ წაუგია, 3-ჯერ ფრედ დაასრულა შეხვედრა, 2-ჯერ კი მოიგო;

■ ■ ■

- „ლეჩე“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუგია საკუთარ მოედანზე;

■ ■ ■

- „ლეჩეს“ კაპიტანმა გილიერმო ჯაკომაციმ მე-200 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში;

■ ■ ■

- მიმდინარე სეზონში, „ლაციო“ გასვლაზე ჯერ არ დამარცხებულა;

■ ■ ■

- მიროსლავ კლოზემ მეათე გოლი გაიტანა „ლაციოს“ შემადგენლობაში, ლორიკ ცანამ პირველი;

■ ■ ■

- „უდინეზე“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ყველა საშინაო შეხვედრა მოიგო;

■ ■ ■

- „კიევოს“ თავდამსხმელმა ალბერტო პალოსკიმ მეათე გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

- „ჯენოამ“ 16 თებერვლის შემდეგ პირველად შეინახა კარი მშრალად გასვლით პაექრობაში;

### ჯენოა–ინტერი 0:1

**ჯენოა (3-5-1-1):** ფრეი – დაინელი, გრანკვისტი, **კალაძე** – მესტო, როსი, კონსტანტი (60. იანკოვიჩი), ველოზო, მორეტი – მერკელი (75. კარაჩოლო) - ზე ედუარდო (51. პრატო).

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – ძანეტი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – მოტა, კამბიასო, ფარაონი (46. ალვარესი), პოლი (68. ობი) – მილიტო (82. ფორლანი), პაცინი.

**გოლი:** 0:1 ნაგატომო (68).

**გაფრთხილება:** კალაძე, პრატო - ალვარესი.

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 7-5; **კარში დარტყმა:** 2(1)-11(7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 28 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 14 | 8 | 6 | 0 | 25-11 | 30 |
| 2. უდინეზე | 14 | 9 | 3 | 2 | 18-7 | 30 |
| 3. მილანი | 14 | 8 | 4 | 2 | 31-16 | 28 |
| 4. ლაციო | 14 | 8 | 4 | 2 | 22-11 | 28 |
| 5. ნაპოლი | 14 | 5 | 6 | 3 | 22-14 | 21 |
| 6. პალერმო | 14 | 6 | 2 | 6 | 16-16 | 20 |
| 7. ინტერი | 14 | 6 | 2 | 6 | 17-18 | 20 |
| 8. ჯენოა | 14 | 5 | 3 | 6 | 16-17 | 18 |
| 9. კალიარი | 14 | 4 | 6 | 4 | 12-13 | 18 |
| 10. რომა | 14 | 5 | 3 | 6 | 16-18 | 18 |
| 11. კატანია | 14 | 4 | 6 | 4 | 15-20 | 18 |
| 12. პარმა | 14 | 5 | 2 | 7 | 15-20 | 17 |
| 13. ატალანტა | 14 | 5 | 7 | 2 | 17-16 | 16 |
| 14. ფიორენტინა | 14 | 4 | 4 | 6 | 13-13 | 16 |
| 15. კიევო | 14 | 4 | 4 | 6 | 11-18 | 16 |
| 16. ბოლონია | 14 | 4 | 3 | 7 | 13-20 | 15 |
| 17. სიენა | 14 | 3 | 5 | 6 | 14-14 | 14 |
| 18. ჩეზენა | 14 | 3 | 3 | 8 | 7-15 | 12 |
| 19. ნოვარა | 14 | 2 | 5 | 7 | 15-25 | 11 |
| 20. ლეჩე | 14 | 2 | 2 | 10 | 13-26 | 8 |

*შენიშვნა: ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### მომდევნო ტური

17 დეკემბერი: კიევო-კალიარი, ფიორენტინა-ატალანტა, მილანი-სიენა;

18 დეკემბერი: კატანია-პალერმო, ჩეზენა-ინტერი, ჯენოა-ბოლონია, იუვენტუსი-ნოვარა, პარმა-ლეჩე, ლაციო-უდინეზე, ნაპოლი-რომა.

**ლაშა წიკლაური**

ამბები [illegible]

## ოლიჩი „ლაციოში“?

„ბაიერნის“ ხორვატ თავდამსხმელ **ივიცა ოლიჩს** მიუნხენიდან წასვლა რომ უნდა, ეს სიახლე არ არის. რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** 32 წლის ფორვარდს იშვიათად ათამაშებს, ოლიჩს კი ევროპის ჩემპიონატისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რის გამოც „ბაიერნიდან“ აბარგებაზე სერიოზულად ფიქრობს და ამას არც მალავს. უახლესი ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ იანვარში ივიცა იტალიაში გადავიდეს.

*„იტალიის ჩემპიონატი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო და ურთულესია, რის გამოც სერია A-ში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. ფაქტია, რომ ფორმაში ვიქნები და პროგრესსაც განვიცდი, რაც მეც გამომადგება და ხორვატიის ნაკრებსაც,“* - აცხადებს ოლიჩი „ტუტოსპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ხორვატი თავდამსხმელი იმასაც ამბობს, რომ ყველაზე მეტად რომის „ლაციოში“ თამაშის პერსპექტივა ხიბლავს, რადგან იქ მისი მეგობარი, ექსბაიერნელი **მიროსლავ კლოზე** გამოდის, რომელიც ოლიჩს თურმე ყოველდღე ურეკავს და „ლაციალეზე“ მხოლოდ კარგ ამბებს უყვება. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, ოლიჩზე რომაული კლუბის ხელმძღვანელებიც ფიქრობენ და „ბაიერნისთვის“ ოფიციალურ მიმართვასაც ამზადებენ.

ალსანიშნავია, რომ მიუნხენურ გრანდს ოლიჩის იანვარში გაშვება არ უნდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ახალი თავდამსხმელი დასჭირდება – თანაც ისეთი, რომელიც სათადარიგოთა სკამზე უნდა დაჯდეს. ოლიჩმა „ტუტოსპორტს“ ისიც უთხრა, დიდ ხელფასს არ მოვითხოვ, ფული ისედაც ბევრი მაქვს, ახლა კი ჩემთვის ყველაზე მთავარი სათამაშო პრაქტიკააო. ამ სეზონში ოლიჩმა ბუნდესლიგის მხოლოდ შვიდ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. რეკორდმაისტერში მას **მარიო გომესის** სახით ფაქტობრივად უძლეველი კონკურენტი ჰყავს.

## ოფიციალურად: ჰლები წავა

„ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ არ აპირებენ **ალიაკსანდრ ჰლების** საიჯარო ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტის გამოყენებას, რომლის თანახმადაც, გერმანულ კლუბს იანვარში ბელარუსი ნახევარმცველის ყიდვა შეეძლო. მათ ისიც თქვეს, რომ საიჯარო ხელშეკრულებაც არ გაგრძელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 30 წლის ჰლები „ვოლფსბურგს“ 31 დეკემბერს დატოვებს და ისევ „ბარსელონაში“ დაბრუნდება. „მგლებმა“ ბელარუსი სეზონის დასაწყისში ინათხოვრეს, მაგრამ მან იმედები ვერ გაამართლა.

## ჰაიფაში სტევენსის გარეშე?

### ისრაელში მეორე შემადგენლობით

დღეს „შალკეს“ ევროპა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩი აქვს – გელზენკირხენელები ჰაიფას „მაქაბის“ სტუმრობენ, მაგრამ ისრაელში მთავარი მწვრთნელის, **ჰუუბ სტევენსის** გარეშე გაემგზავრნენ. მიზეზი ისაა, რომ 58 წლის სტევენსს დედა ჰყავს ძალიან ცუდად. სტევენსს გუშინ, ჰაიფაში გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე დაურეკეს და უთხრეს, რომ დედამისს, რომელიც 85 წლისაა, გულის პრობლემები აქვს, რის შემდეგაც ჰოლანდიელი სპეციალისტი ჰაიფას ნაცვლად სიტარდში გაფრინდა.

„ბილდთან“ საუბრისას სტევენსმა განაცხადა, რომ თუ დღეს დედამისის მდგომარეობა გაუმჯობესდება, ისრაელში სასწრაფოდ გადაფრინდება და გუნდს შეუერთდება. თუ არა და, „მაქაბისთან“ „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს მისი ასისტენტი **ზეპო აიხკორნი** შეასრულებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ შეხვედრაში „შალკეს“ კარს 32 წლის **ტიმო ჰილდებრანდი** დაიცავს. ეს უკანასკნელი გელზენკირხენელებმა ცოტა ხნის წინ „შეიფარეს“ (უკლუბოდ იყო) და აქამდე მხოლოდ „შალკეს“ მოყვარულთა გუნდში თამაშობდა. შეგახსენებთ, რომ „შალკეს“ ჯგუფში პირველი ადგილი განაღდებული აქვს. ამიტომაცაა, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გელზენკირხენში რომ დარჩა: ისრაელში **ჰუნტელაარი, რაული, ჯონსი, ფუხსი, მატიპი, პაპადოპულოსი** და პირველი მეკარე **უნერშტალი** არ წავიდნენ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● დისკუსია

# გერმანია ბჭობს: რობენი მსახიობია?

## მოლინარო იტალიელია და სიმულანტებს კარგად იცნობს



არიენ რობენის და კრისტიან მოლინაროს ერთ-ერთი ორთაბრძოლა

კვირას, ბუნდესლიგის მე-16 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „ბაიერნმა" შტუტგარტში 2:1 მოიგო და ამ შეხვედრას დიდი დისკუსია მოჰყვა. მიზეზი მიუნხენელთა ჰოლანდიელი გარემარბის, **არიენ რობენისა** და „შტუტგარტის" იტალიელი მცველის, **კრისტიან მოლინაროს** ორთაბრძოლების კასკადია, რაც პირველივე ტაიმში მოლინაროს მოედნიდან გაძევებით დამთავრდა. შვაბები 27 წლის რობენს სიმულანტობაში ადანაშაულებენ და ამბობენ, ჰოლანდიელი იდეალურად მსახიობობდაო.

დისკუსია, რა თქმა უნდა, მოლინარომ წამოიწყო: *„რობენი სიმულანტობდა და მსაჯის პროვოცირებას ცდილობდა. მე ეს არ მიკვირს, რადგან იტალიაში ხშირად სიმულანტობენ, მაგრამ ფეხბურთელს გადაბმულად რამდენჯერმე ასე ესიმულანტოს, ეს პირველად ვნახე. რობენი კარგი მსახიობია და მიზანს მიაღწია კიდეც – მე გამაგდეს, „შტუტგარტი" კი კაცნაკლული დარჩა,"* - განაცხადა „იუვენტუსის" ყოფილმა მარცხენა მცველმა, რომელიც „შტუტგარტში" წელიწადნახევარია თამაშობს.

არის თუ არა არიენ რობენი მართლაც სიმულანტი? გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი და 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი **მათიას ზამერი** მოლინაროს ეთანხმება: *„გასაკვირი არაფერია, რობენი ხშირად ცდილობს ხოლმე მსაჯის პროვოცირებას. ჰოლანდიელი ძალიან სწრაფი და ტექნიკურია, რაც სიმულანტობის საშუალებას აძლევს. თუ მის თამაშს კარგად დავაკვირდებით და ძველი შეხვედრების ჩანაწერებსაც ვნახავთ, გამოჩნდება, რომ რობენი ხშირად ელის ისეთ მომენტს, როცა უმტკივნეულო ფოლს თეატრალურად გააფორმებს,"* - აცხადებს 44 წლის ზამერი, რომელიც აქტიური სპორტული კარიერის დროს მოლინაროს დარად მცველი იყო და სიმულანტებთან ორთაბრძოლები ხშირად უწევდა.

საინტერესო ის არის, რომ შტუტგარტელები აღიარებენ, მოლინარო გაძევებას იმსახურებდაო და ამას არც თავად იტალიელი უარყოფს, შვაბები იმის გამო ბრაზობენ, რომ 30-ე წუთზე, როცა „შტუტგარტი" კაცნაკლული დარჩა, რობენი ძალიან დიდხანს იწვა მოედანზე – თითქოს ფეხი სასტიკად ტკიოდა.

„ბაიერნის" სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** შტუტგარტელთა ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, ამ განცხადებებით გუნდის ფეხბურთელები და ხელმძღვანელები თავიანთ პრობლემებს გაურბიან და გულშემატკივრების ყურადღების სხვა რამეზე გადატანა სურთ. *„რობენი არც მსახიობია და არც პროვოკატორი. მოლინარო თამაშის წესებს არღვევდა. არიენს უბრალოდ ძალიან არ უნდა, რომ კიდევ ერთხელ დაშავდეს, ტრავმებისგან ხომ ისედაც უკიდურესად დატანჯულია,"* - აცხადებს ნერლინგერი. მართლაც: მორიგი, ვინ მოთვლის მერამდენე ტრავმის მოშუშების შემდეგ, რობენი ორთაბრძოლებისას აშკარად ფრთხილობს ხოლმე. როცა ფეხებში უვარდებიან, ყოველთვის ცდილობს, მალე დაეცეს, ან სწრაფად ახტეს – სავარაუდოდ იმიტომ, რომ ტრავმის მიღების ეშინია.

...ან იქნებ მართლა მსახიობ-პროვოკატორია?

*„ტრავმის მიღების ყველას გვეშინია, დაშავება არც ერთ ფეხბურთელს არ უნდა. რობენი რომ იოლად შავდება, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ფაქტი ისაა, რომ არიენი ძალიან იოლად ეცემა ხოლმე და ხშირად, კონტაქტამდეც კი მინდორზე იშხლართება,"* - ეს შტუტგარტელთა ავსტრიელი ნახევარმცველის, **მარტინ ჰარნიკის** სიტყვებია. სამაგიეროდ, „ლევერკუზენის" გარემარბი **სიდნი სემი** მიიჩნევს, რომ რობენი მსახიობი არ არის, რასაც „ნიურნბერგის" მცველი **დომინიკ მაროც** ეთანხმება, რომელიც ამბობს, ხანდახან სიმულანტობს ხოლმე, მაგრამ მსახიობი არაა, ბუნდესლიგაში მასზე გაცილებით უარესი სიმულანტები თამაშობენო...

● დორტმუნდის ბორუსია




მარიო გიოტცე კაიზერსლაუტერნთან მატჩში დაშავდა

# მარიო მეორე წრემდე ველარ ითამაშებს

„კაიზერსლაუტერნთან" მატჩში დორტმუნდის „ბორუსიამ" მარტო ორი ქულა კი არა, თავისი ლიდერი **მარიო გიოტცეც** დაკარგა. 19 წლის ვუნდერკინდმა, რომელიც ცოტა ხნის წინ იტალიურმა გამოცემა „ტუტოსპორტმა" 2011 წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელა, სერიოზული ტრავმა მიიღო და გერმანიის ჩემპიონს წელს ველარ დაეხმარება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარიოსთვის ეს წელი იდეალური იყო: გარდა პოპულარული იტალიური გამოცემის აღიარებისა, წელს „გიოტცინიო" „ბორუსიასთან" ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონთა ლიგაშიც ჰქონდა დებიუტი და გერმანიის ნაკრებსაც გაუშინაურდა. სამაგიეროდ, გიოტცესთვის წლის ბოლო თვე აღმოჩნდა უიღბლო: ჯერ იყო და დორტმუნდელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩარჩნენ (თანაც ბოლო ადგილი დაიკავეს), ახლა კი ტრავმაც მიიღო.

აღსანიშნავია, რომ კვირას „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** გიოტცე განგებ არ გაამწესა ძირითად შემადგენლობაში, რადგან მას ტრავმა აწუხებდა, თუმცა იმის გამო, რომ დორტმუნდელები ვერ იგებდნენ, ბოლო 25 წუთის განმავლობაში მოედანზე მაინც შეუშვა. ეს დრო კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გიოტცეს ტრავმა მიეღო. მარიო „ბორუსიას" პირველი წრის ბოლო ტურში (შაბათს BVB ფრაიბურგში ჩადის) და გერმანიის თასზე, მეორე ბუნდესლიგის ლიდერ დიუსელდორფის „ფორტუნასთან" შეხვედრაში დააკლდება. „დორტმუნდის" სამედიცინო შტაბის განცხადებით, გიოტცე მეორე წრის სტარტისთვის გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

## სისოხო დორტმუნდში?

თუ ფრანგულ პრესას დავუჯერებთ, დიდი შანსია, რომ გერმანიის ჩემპიონმა იანვარში „ლიონის" მარცხენა მცველი **ალი სისოხო** გადაიბიროს. „ეკიპის" ცნობით, დორტმუნდელები ფრანგულ გრანდს უკვე დაუკავშირდნენ და 24 წლის მცველზე სიტყვა ჩამოუგდეს. სისოხო „ლიონში" 2009 წელს „პორტუდან" გადავიდა და ფრანგულ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. სისოხოს საფრანგეთის ნაკრებში ერთი მატჩი აქვს ჩატარებული. თუ ტრანსფერი განხორციელდა, „ბორუსიაში" მას ორი სერიოზული კონკურენტი ელის: 23 წლის **მარსელ შმელცერი** და 22 წლის **კრის ლიოვე**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● ჰერტა

# მარკუს ბაბელი ბერლინიდან გარბის!

## ორი თამაშიც და მარკუსი კობიაშვილის მწვრთნელი აღარ იქნება



ბერლინში მარკუს ბაბელის გაშვება არ უნდათ, მაგრამ...

„ბილდი" წერს, რომ ბუნდესლიგის პირველი წრის დასრულებისთანავე ბერლინის „ჰერტასა" და მწვრთნელ **მარკუს ბაბელის** გზები გაიყოფა. ეს არის ინფორმაცია, რომელსაც **ლევან კობიაშვილის** კლუბის ხელმძღვანელები ჯერ არ ადასტურებენ, არადა, ბაბელის წასვლა გადაწყვეტილია. ბოსები და გულშემატკივრები მარკუსით, როგორც მწვრთნელით, ძალიან კმაყოფილები არიან და მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმებაც სურთ, პრობლემა კი თავად ბაბელშია. მას „ჰერტასთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება არ სურს, რადგან სავარაუდოდ უფრო სარფიანი შეთავაზება აქვს, „ჰერტას" ხელმძღვანელები კი ვერ გარისკავენ და 39 წლის ბაბელს სეზონის ბოლომდე (მოქმედ ხელშეკრულებას ვადა სწორედ სეზონის ბოლოს ეწურება) ვერ დატოვებენ, რადგან არსებობს იმის საშიშროება, რომ როცა ფეხბურთელებს წინასწარ ეცოდინებათ მწვრთნელის წასვლის შესახებ, ისე აღარ მოინდომებენ, როგორც საჭიროა.

ამ ამბის გასაიდუმლოების მიზეზი კი ისაა, რომ „ჰერტას" სეზონის პირველი ნახევრის დასრულებამდე ორი მეტად მნიშვნელოვანი თამაში აქვს დარჩენილი. კობიაშვილი და კომპანია 21 დეკემბერს გერმანიის თასის მერვედფინალში, თავიანთ „ოლიმპიაშტადიონზე" „კაიზერსლაუტერნს" მასპინძლობენ, მანამდე კი, 17 დეკემბერს ბერლინულ გუნდს ბუნდესლიგის მე-17 ტურის შეხვედრა აქვს „ჰოფენჰაიმთან". აღსანიშნავია, რომ ბერლინელთათვის სათასო მატჩი უფრო პრიორიტეტულია, რადგან გამარჯვებისა და თასის მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში „ჰერტა" გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან 1 125 000 ევროს მიიღებს. ამ თანხას კი ბერლინელები ახალი მწვრთნელის ხელფასის დაფინანსებისთვის გამოიყენებენ. ბაბელის სავარაუდო შემცვლელად გერმანიაში „ფიურტის" მწვრთნელი **მაიკ ბიუსკენსი** სახელდება. ასე რომ, „ჰერტა" ბაბელთან განშორებას ალბათ სწორედ 21 დეკემბერს, „კაიზერსლაუტერნთან" შეხვედრის შემდეგ დაადასტურებს.



# პასი ამერიკიდან

არგენტინა. აპერტურა. ბოლო ტურის მიმოხილვა

## ნაგების და რივერის გარეშე

## აპერტურა ფინიშზე გავიდა

**არხენტინოსი–ოლიმპო 1:0**

**გოლი:** 1:0 ნაგუელი (64)

**ბელგრანო–არსენალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფ. ვასკესი (13)

**ესტუდიანტესი–სანტა ფე 2:0**

**გოლები:** 1:0 ბოსელი (45), 2:0 სელაი (77)

**ბოკა–ოლ ბოისი 1:0**

**გოლი:** ცვიტანიჩი (78)
**გაძევება:** ხ. როდრიგესი (49. ოლ ბოისი)

**კოლონი–ბანფილდი 4:1**

**გოლები:** 1:0 იგუაინი (5), 2:0 ჩევანტონი (45), 3:0 გრასიანი (52), 4:0 ჩევანტონი (70), 4:1 ფ. ფერეირა (90)

**ლანუსი–ნიუელსი 2:2**

**გოლები:** 1:0 რომერო (20), 1:1 მატეო (40), 1:2 პ. პერესი (44), 2:2 რეგეირო (53)

**ატლეტიკო–გოდოი კრუსი 0:2**

**გოლები:** 0:1 როხასი (40), 0:2 რ. რამირესი (73)
**გაძევება:** დამონტე (74. გოდოი კრუსი)

**ველესი–რასინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 დ. რამირესი (55)

**ინდეპენდიენტე–ტიგრე 2:1**

**გოლები:** 0:1 მორალესი (13-პენ), 1:1 პარა (56-პენ), 2:1 ფრედესი (66)

**სან მარტინი–სან ლორენსო 1:0**

**გოლი:** 1:0 პენკო (2)
**გაძევება:** ორტიგოსა (88. სან ლორენსო)

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 19 | 12 | 7 | 0 | 25-6 | 43 |
| 2. რასინგი | 19 | 7 | 10 | 2 | 16-8 | 31 |
| 3. ველესი | 19 | 9 | 4 | 6 | 22-17 | 31 |
| 4. ბელგრანო | 19 | 8 | 7 | 4 | 21-16 | 31 |
| 5. კოლონი | 19 | 8 | 7 | 4 | 19-15 | 31 |
| 6. ლანუსი | 19 | 7 | 8 | 4 | 20-14 | 29 |
| 7. ტიგრე | 19 | 7 | 6 | 6 | 22-19 | 27 |
| 8. ინდეპენდიენტე | 19 | 7 | 6 | 6 | 18-17 | 27 |
| 9. სან მარტინი | 19 | 6 | 8 | 5 | 17-14 | 26 |
| 10. ატლეტიკო | 19 | 8 | 2 | 9 | 22-26 | 26 |
| 11. სანტა ფე | 19 | 6 | 7 | 6 | 14-18 | 25 |
| 12. გოდოი კრუსი | 19 | 6 | 6 | 7 | 28-24 | 24 |
| 13. არსენალი | 19 | 6 | 6 | 7 | 21-20 | 24 |
| 14. არხენტინოსი | 19 | 5 | 7 | 7 | 18-24 | 22 |
| 15. ოლ ბოისი | 19 | 4 | 9 | 6 | 15-23 | 21 |
| 16. ესტუდიანტესი | 18 | 5 | 5 | 8 | 22-23 | 20 |
| 17. სან ლორენსო | 19 | 5 | 4 | 10 | 13-19 | 19 |
| 18. ნიუელსი | 19 | 1 | 13 | 5 | 13-18 | 16 |
| 19. ოლიმპო | 19 | 2 | 10 | 7 | 15-25 | 16 |
| 20. ბანფილდი | 18 | 3 | 2 | 13 | 12-27 | 11 |

*შენიშვნა: ესტუდიანტესი-ბანფილდი ჩაიშალა და აღარ გაიმართება.*

აპერტურა-2011 უკვე წარსულია! არგენტინის რიგით მეორე ტიტულოვანი კლუბი, „ბოკა ხუნიორსი" ქვეყნის ჩემპიონი ისე გახდა, მატჩი არ წაუგია. მაგრამ არის ერთი „დეტალი", რის გამოც „ბოკას" ჩემპიონობაც და მთლიანად აპერტურაც გაფერმკრთალდა: პირველად მოხდა, რომ „ბოკას" ტიტულისთვის ბრძოლაში არგენტინის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის წინააღმდეგობის დაძლევამ არ მოუწია - „რივერ პლეიტი" გავარდნილია.

55 წლის **ხულიო სესარ ფალსიონის** გუნდმა ტურნირში 12 მოგება და 7 ფრე მიითვალა, „ბოკამ" ჩემპიონატში მხოლოდ 6 გოლი გაუშვა. ეს ნამდვილი ტრიუმფია მწვრთნელისთვის, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინათ ჩაიბარა ლურჯ-ოქროსფერი (ასულ ი ორო) გუნდი.

ბოლო ორი ტურის ერთადერთი სერიოზული ინტრიგა ლიბერტადორესის თასის ბოლო, მე-5 საგზურის ბედი იყო. „გოდოი კრუსი" ფავორიტად მიიჩნეოდა და ყველაფერი მის ხელთ იყო. ბოლო ტურში „რასინგს" და „ინდეპენდიენტეს" თავიანთი მოგებების გარდა, „გოდოი კრუსის" ფეხის დაცდენა ესაჭიროებოდათ. თუმცა „გოდოი კრუსმა" საგზური არავის დაუთმო და ამით დასრულდა ყოველგვარი ინტრიგა.

აპერტურას ბომბარდირი „გოდოი კრუსის" 29 წლის ფორვარდი **რუბენ რამირესი** გახდა. რამირესი შარშან „ბანფილდიდან" გადავიდა „გოდოი კრუსში" და 35 მატჩში 19 გოლი გაიტანა. აპერტურაში მისი მონაგარი 12 გოლია, უახლოეს მდევრებს რამირესმა 5-5 გოლით გაუსწრო. „კლარინმა" ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად „ბოკას" ლეგენდა **ხუან რიკელმე** დაასახელა.

### ვინ გავარდება

არგენტინული სისტემით გავარდნა-შემოსვლა კლაუსურას შემდეგაა გათვალისწინებული. მიმდინარე კოეფიციენტები კი ასეთია

**ვარდებიან**: 20. ოლიმპო - 1,123; 19. ტიგრე - 1,147

**გადათამაშებაში**: 18. სან ლორენსო - 1,242; 17. ოლ ბოისი - 1,263.

**საშიშ ზონაში**: 16. სანტა ფე - 1,316; 15. არსენალი - 1,337; 14. ნიუელსი - 1,337.

„ბოკა ხუნიორსი", „ველეს სარსფილდი", „ლანუსი" და „გოდოი კრუსი" 2012 წლის ლიბერტადორესის თასის მე-2 ეტაპიდან ჩაერთვებიან, ხოლო „არსენალი" - პირველი ეტაპიდან. 2012 წლის „კოპა სუდამერიკანაზე" „ინდეპენდიენტე", „რასინგი", „ტიგრე" და „არხენტინოს ხუნიორსი" ითამაშებენ.

**სტატისტიკა**

189 თამაშში გავიდა 373 გოლი. საშუალოდ, 1,97 გოლი მატჩში, რაც ძალიან დაბალი შედეგია. აპერტურაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო „გოდოი კრუსმა", როცა „ოლ ბოისი" 6:1 დაამარცხა. ყველაზე მეტი გოლი (7) გავიდა „ესტუდიანტესისა" და „არხენტინოს ხუნიორსის" მატჩში - 4:3. ყველაზე გრძელი მოგებათა სერია „ბოკას" ჰქონდა - 4-მატჩიანი, წაუგებელი სერიაც მისია - 19 ანუ მთელი ჩემპიონატი.

**მეგოლეები**: 12 - რუბენ რამირესი (გოდოი კრუსი); 7 - სანტიაგო სალსედო (არხენტინოსი), მაურო მატოსი (ოლ ბოისი), სესარ პერეირა (ბელგრანო); 6 - ნიკოლას კასტრო (ატლეტიკო), ტეოფილო გუტიერესი (რასინგი), მარტინ როლე (ოლიმპო), ფაკუნდო ფერეირა (ბანფილდი), დარიო განდინი (ატლეტიკო).

**ჩემპიონები**

**მეკარე:** ორიონი (19 თამაში)

**მცველები:** რონკალია (19), სკიავი (19, 2 გოლი), კლემენტე (19, 1), ინსაურალდე (16), კარუსო (3).

**ნახევარმცველები:** ერვიტი (19, 3), სომოსა (17), რივერო (16, 1), კოლასო (12, 1), ჩავესი (10, 2), ერბესი (3).

**თავდამსხმელები:** ცვიტანიჩი (12, 5), მოუჩე (12, 1), ვიატრი (11, 3), რიკელმე (10, 1), ბლანდი (3, 4), არაუხო (1).





ლიბერტადორესის თასი 2012

## უმეტესობა გაირკვა

COPA SANTANDER LIBERTADORES

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების პირველობების დასრულების შემდეგ გაირკვა კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის თითქმის ყველა მონაწილის ვინაობაც. ლაპარაკია, ლიბერტადორესის თასზე, გათამაშება, რომელიც 1960 წელს დაარსდა და რომლის ჩემპიონიც ბრაზილიური „სანტოსია". ლიბერტადორესის თასის ახალი, რიგით 53-ე გათამაშება 5 იანვარს დაიწყება და 4 ივლისს დასრულდება.

**ბრაზილია - 6 გუნდი:** „სანტოსი", „კორინთიანსი", „ვასკუ", „ფლუმინენსე", „ფლამენგო", „ინტერნასიონალი".

**არგენტინა (5):** „ველესი", „ბოკა", „ლანუსი", „გოდოი კრუსი" და „არსენალი".

**ბოლივია (3):** „ბოლივარი", „რეალ პოტოსი", აპერტურას მომავალი ჩემპიონი.

**ჩილე (3):** „უნივერსიდად დე ჩილე", 2 უცნობია.

**კოლუმბია (3):** „ატლეტიკო ნასიონალი", 2 უცნობია.

**ეკვადორი (3):** 3 უცნობია.

**პარაგვაი (3):** 3 უცნობია.

**პერუ (3):** „სპორტ უანკაიო", 2 უცნობია.

**ურუგვაი (3):** „ნასიონალი", „დეფენსორი", პენიაროლი".

**ვენესუელა (3):** „დეპორტივო ტაჩირა", „სამორა", „კარაკასი".

**მექსიკა (3):** უანლ, „კრუს ასული", „გვადალახარა".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპა ლიგა. ჯგუფური ეტაპი ბოლო ტურის წინ



**D ჯგუფი**

ციურიხი-ვასლუი 22:00
ლაციო-სპორტინგი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-2 | 12 |
| 2. ვასლუი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 3. ლაციო | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 6 |
| 4. ციურიხი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |

**E ჯგუფი**

დინამო კ-მაქაბი თ. 22:00
ბეშიქთაში-სტოკი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტოკი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 11 |
| 2. ბეშიქთაში | 5 | 3 | 0 | 2 | 10-6 | 9 |
| 3. დინამო | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 4. მაქაბი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-14 | 1 |

**F ჯგუფი**

სლოვანი-ზალცბურგი 22:00
პსჟ-ბილბაო 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბილბაო | 5 | 4 | 1 | 0 | 9-4 | 13 |
| 2. ზალცბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 3. პსჟ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 4. სლოვანი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 0 |

**J ჯგუფი**

მაქაბი ჰ-შალკე 00:05
სტიაუა-აეკ (ლ) 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 5 | 3 | 2 | 0 | 10-2 | 11 |
| 2. მაქაბი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-8 | 6 |
| 3. სტიაუა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-10 | 5 |
| 4. აეკ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 | 5 |

**K ჯგუფი**

ვისლა-ტვენტე 00:05
ფულჰემი-ოდენსე 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 5 | 4 | 1 | 0 | 13-5 | 13 |
| 2. ფულჰემი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-4 | 7 |
| 3. ვისლა | 5 | 2 | 0 | 3 | 6-12 | 6 |
| 4. ოდენსე | 5 | 1 | 0 | 4 | 6-13 | 3 |

**L ჯგუფი**

შტურმი-აეკ 00:05
ანდერლეხტი-ლოკომოტივი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-2 | 15 |
| 2. ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 3. შტურმი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 4. აეკ | 5 | 0 | 0 | 5 | 5-14 | 0 |

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ნახევარფინალი**

**კაშივა (იაპონია)-სანტოსი (ბრაზილია) 14:30**





ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?
გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: პეკინის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კრივი

# კონკურენცია ნაკრების სასარგებლოდ

**ამას წინათ ზუგდიდში საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრების მიზანი იყო იმ მოკრივეთა გამოვლენა, რომლებიც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში გაისად ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოსაპოვებლად იბრძოლებენ. გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, მსოფლიოს და სამგზის ევროპის ჩემპიონი რამაზ ფალიანი:**

- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ზუგდიდში უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, რაშიც უდიდესი წვლილი საქართველოს კრივის ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაციის თავკაც როლანდ ახალაიას მიუძღვის. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მაქსიმალურ ყურადღებას გვაქცევდნენ, მოასპარეზენი ანაკლიის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრობდნენ. ყველაფერმა ამან დადებითად იმოქმედა სპორტსმენებზე და მათ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება მიეცათ. მედლებისთვის ბრძოლაში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა უძლიერესი ჩაება. წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ზაალ კვაჭატაძემ ხელის ტრავმის გამო რინგზე გამოსვლა ვერ შეძლო, ხოლო მეორე მედალოსანი ჯაბა ხოსიტაშვილი (75) პროფესიონალ მოკრივეთა (ვსბ) ტურნირში მონაწილეობს თურქული კლუბის სახელით და უკვე ორი შეხვედრაც გამართა, საიდანაც თითო მოიგო და წააგო. გულედანმაც საპატიო მიზეზით ვერ შეძლო ჩემპიონატში ჩაბმა. 69 კილოში ერთი ძლიერი მოკრივე გვყავს - კახა ჟვანია, მაგრამ, ეტყობა, მან აქტიურ სპორტს თავი დაანება, რადგან ოდესაში მწვრთნელობა დაუწყია.

ზუგდიდში გამართულმა შეჯიბრებამ დაგვარწმუნა, რომ კარგი თაობა მოდის და თითქმის ყველა წონაში კონკურენცია იქნება. კარგად იყო მომზადებული 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კობა ფხაკაძე, მაგრამ ფინალში მას სერიოზული მეტოქეობა გაუწია რუსთაველმა დავით ლეკიშვილმა. ასე რომ, კობას მშვიდი ძილის საშუალება არ ექნება, ისევე, როგორც კვაჭატაძეს. 69 კილოში შესანიშნავად იასპარეზა გიორგი ზარქუამ. კარგა ხანს იგი რუსეთში ემზადებოდა, საკმაო გამოცდილებაც გააჩნია, რაც ნათლად ფინალში გამოჩნდა, სადაც ბექა ხარძიანი დაამარცხა. ზარქუასა და კვაჭატაძეს საერთაშორისო ტურნირებში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მივცემთ და ნაკრებში საბოლოოდ ადგილის დასამკვიდრებლად საკონტროლო შეხვედრებსაც გავმართავთ. 64 კილოში თემურ ოჩიგავას შეგირდმა კოტუამ დაიმსახურა სპეციალისტთა ყურადღება. რადიკალურად სახეშეცვლილი მეჩვენა ქუთაისელი მერაბ თურქაძე (56 კგ), რომელიც კარგა ხანს ჩრდილში იდგა. ზუგდიდის რინგზე გაიბრწყინა მერაბის თანაგუნდელმა რომან თავაძემ 75 კილოში.

**- ჯაბა ხოსიტაშვილს კონკურენტი გამოუჩნდა?**

- ჯაბას წონის პრობლემა აქვს და, ალბათ, 81 კილოში გადაინაცვლებს, თუმცა იქ ძლიერი კონკურენტები დახვდება. ამჟამად წონის ლიდერია იაგო კიზირია, რომელიც კარგ ფორმაშია. არ უნდა დაგვავიწყდეს გულედანიც, რომელიც 81 კილოში გამოდის. 91 კილოსა და მძიმე წონაში ყველას რევაზ ქარელიშვილმა და ევროპის მესამე პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ აჯობეს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი, ფაქტობრივად, უკონკურენციოდ არიან.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ რომელიმე მოკრივეს ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს. აპრილში თურქეთი სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს და იმ შეჯიბრებისთვის ყველა სპორტსმენი საფუძვლიანად უნდა მოემზადოს. 15 იანვრიდან ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას ბაკურიანში გავივლით, შემდეგ პლოვდივში ბულგარელებთან გვექნება ერთობლივი საწვრთნელი შეკრება, იქვე საერთაშორისო ტურნირშიც გამოვალთ. ბულგარეთში ზოგიერთ წონაში, სავარაუდოდ, ორ-ორ მოკრივეს წავიყვანთ, რომ კონკურენტები იქაც გამოვცადოთ. სალიცენზიო შეჯიბრებამდე კრივის ეროვნული ფედერაციის, სპორტის სამინისტროს და სეოკ-ის ერთობლივი ძალისხმევითა და თანადგომით სამ შეკრებას გავივლით და ამდენივე საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზებთ. მათი შედეგების მიხედვით საბოლოოდ დადგინდება ნაკრების ის შემადგენლობა, რომელიც თურქეთში ლონდონის საგზურებისთვის იბრძოლებს. ლიცენზიის მოპოვება რთული იქნება, რადგან ჩვენსავით ბევრი ქვეყანა დარჩა საერთოდ უსაგზუროდ. უშელავათო კონკურენცია იქნება. ყველაფერს ვილონებთ საიმისოდ, რომ 2012 წლის ოლიმპიურმა თამაშებმა ქართველი მოკრივეების გარეშე არ ჩაიაროს...

გუშინ კრივის ეროვნულ ფედერაციაში რამაზ ფალიანთან ინტერვიუსთვის რომ მივედი, იქ დამხვდა თურქი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **იუქსელ დემირ თიქინი:**

- საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს და ძალიან მიყვარს აქაურობა, - მითხრა სტუმარმა.- ეს, ალბათ, იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩემს დიდ წინაპრებს თბილისში უცხოვრიათ და აქედან გადასახლებულან ანკარაში. რამდენიმე წელიწადია, ქართველ კოლეგებთან ინტენსიური კონტაქტები მაკავშირებს. შარშან საქართველოს ჩემპიონატშიც ვიმსაჯე. ოთხი წლის წინათ მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ, ჩვენს შვილებს უმაღლესი განათლება საქართველოში მიეღოთ. უფროსი ვაჟი იაჰია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მესამეკურსელია, ხოლო უმცროსი ჯენქი სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ კურსზე სწავლობს. უზომოდ კმაყოფილი ვართ. მერწმუნეთ, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში ქართველ მოკრივეებს ვქომაგობ. თურქეთის სალიცენზიო ტურნირზე ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვილონებ მაქსიმალურად ობიექტური მსაჯობისთვის, რათა ქართველმა მოკრივეებმა ლონდონის ოლიმპიადის რამდენიმე საგზური მოიპოვონ. ისინი ამას იმსახურებენ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო


რამაზ ფალიანი (მარჯვნივ) და იუქსელ დემირ თიქინი

ინტერვიუ რევაზ ქარელიშვილთან



# თუ მენდობიან, თავს არ დავზოგავ

**27 წლის ვარიანელი მოკრივე რევაზ ქარელიშვილი ცოტა ხნის წინათ ზუგდიდში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მეხუთედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი დიდებს შორის. რევაზი 2006 წლის მერე საქართველოში პირველობას არ თმობს. მხოლოდ შარშანდელ ჩემპიონატში ვერ მიიღო მონაწილეობა, რადგან მთელი სეზონი გაუცდა ტრავმის გამო. დაბრუნება კი ჩემპიონობით აღნიშნა.**

**- რევაზ, მთელი სეზონის გაცდენის მერე ალბათ ძნელი იყო ისევ დაბრუნება საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, თანაც განსხვავებულ წონაში.**

- დიდებში ჩემპიონობა 2006 და 2007 წლებში 75 კილოში მოვიპოვე, 2008 და 2009 წლებში კი 81-ში. შარშან ერევნის საერთაშორისო ტურნირზე თითი მოვიტეხე და მთელი წელი გამიცდა. ქვეყნის ჩემპიონატზეც ამიტომ ვერ გამოვედი. წლეულს რეაბილიტაციის კურსი კარგად გავიარე, მონდომებით ვივარჯიშე რინგზე დასაბრუნებლად და, მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდში 91 კგ-ში ვიასპარეზე, მაინც გავიმარჯვე - ფინალში მძიმე წონის შარშანდელ ფინალისტს ალექსანდრე კარტოზიას ვაჯობე. სხვათა შორის, ვერ ვიტყვი, რომ ეს გამარჯვება უფრო რთულად მოვიდა, ვიდრე განვლილ წლებში. გამოცდილებაც არცთუ მცირე როლს თამაშობს მიზნის მიღწევაში.

**- ტრავმამდე სეზონი, საერთოდ, შენთვის კარგად მიდიოდა.**

- დიახ, შიდა ასპარეზობების გარდა, ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე, ერევანში, ვიდრე ტრავმას მივიღებდი, პირველი ორთაბრძოლა ყაზახ სპორტსმენთან მოგებული მქონდა. იმედი მაქვს, არც საერთაშორისო არენას დავუბრუნდები ურიგო შედეგებით.

**- თუმცა, როგორც ნაკრების მწვრთნელმა რამაზ ფალიანმა თქვა, 91 და მძიმე წონაში ჯერ კიდევ მსოფლიო დონის ისეთ გრანდებს აქვთ ოლიმპიადის ლიცენზია მოსაპოვებელი, რომ შესაძლოა შენი და მძიმე წონაში ბახტიძის სალიცენზიო შეჯიბრებებზე წაყვანა არ მიიჩნიონ საჭიროდ.**

- ფალიანის პოზიცია ჩემთვისაც ცნობილია და ასეთ შემთხვევაში მწვრთნელს ვთხოვ, ჩემს ძველ წონაში, 81 კგ-ში მომცეს ფავორიტებთან საკონტროლო შეხვედრის უფლება. მე მჯერა საკუთარი შესაძლებლობების და თავს არ დავზოგავ ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად.

**- გამოდის, რომ ხელახლა მოგიწევს რამდენიმე კილოგრამის დაკლება, რამაც შეიძლება არასახარბიელო გავლენა იქონიოს სპორტსმენის ჯანმრთელობასა და შედეგზეც...**

- გაცდენილი სეზონის შემდეგ წონის შენარჩუნება 81 კგ-ში უწინდელივით აღარ მეადვილდება, მაგრამ უარყოფითი გალენის თავიდან აცილება მიზანმიმართული და სწორი სავარჯიშო პროცესით შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს ამ წონაში ორჯერ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

არჩევნები

## ნდობის მანდატი გაუგრძელეს

სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. დელეგატებმა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა შეაჯამეს. აღინიშნა, რომ 2007 წლიდან, რაც ფედერაციას სათავეში **ნიკა ამაშუკელი** უდგას, უამრავი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, ქართველმა სტუდენტმა სპორტსმენებმა საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ყრილობის მონაწილეებმა ნიკა ამაშუკელს კვლავაც გამოუცხადეს ნდობა - იგი კიდევ ოთხი წლით უხელმძღვანელებს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციას, რომლის ვიცე-პრეზიდენტებად **გიორგი ანდრიაძე** და **გიორგი ვარძელაშვილი**, გენერალურ მდივნად კი **თემურ დოლიძე** აირჩიეს.

ყრილობას სპორტის მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** ესწრებოდნენ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა

პეკინში მსოფლიო ინტელექტუალური თამაშების პროგრამით გუშინ მოჭადრაკეთა ბლიცტურნირი (პარტიისთვის 3 წუთს + 2 წამი თითოეული სვლისთვის) დამთავრდა. პირველი დღის რვატურიანი მარათონის შემდეგ ქართველი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძე** 4,5 ქულით მეექვსე ადგილზე იყო. დარჩენილ შვიდ ტურში ჩვენებურმა სამი პარტია მოიგო (დაამარცხა ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები - უკრაინელი კატერინა ლახნო და შვედი პია კრამლინგი, ასევე ამერიკელი ანა ზატონსკიხი), ამდენივე შეხვედრა ყაიმით დაამთავრა (ჩინელ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანთან, სლოვენიელ ანა მუზიჩუკთან და ინდოელ ჰარიკა დრონავალისთან) და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა დათმო, საბოლოოდ 9 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო. 15 შესაძლებლიდან (შეჯიბრებაში 15 ქვეყნის 16 დიდოსტატი ქალბატონი მონაწილეობს) 11,5 ქულით პირველი ადგილი ჰოუ იფანმა დაიკავა. 9,5-9,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები მსოფლიოს ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) და ანა მუზიჩუკმა (სლოვენია) გაინაწილეს.

ვაჟებში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 1. მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 12), 2. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 10,5), 3. შაჰრიარ მამიმედიაროვი (აზერბაიჯანი, 10 ქულა).

შეჯიბრების მონაწილეები დღეიდან დაფაზე დაუხედავად (20 წუთი + 20 წამი) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. სულ შვეიცარიული სისტემით 7 ტური გათამაშდება.

**ვაჟა დანელია**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ტრავმები

# ცირეკიძე – ჩინეთში, პაპინაშვილი – თბილისში

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში **ირაკლი ცირეკიძე** (100) ჩინეთში მიდის. მას გუშინაც დაუკავშირდნენ ძიუდოს ფედერაციიდან და სპორტსმენმაც განაცხადა, რომ ტრავმა ისევ აწუხებს, ტკივილებიც აქვს, თუმცა მაინც წავა ჩინეთში. ის ადგილზე გააგრძელებს მკურნალობას ამჯერად ჩვენი ოლიმპიური გუნდის ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილის** მეთვალყურეობით, რომელიც ჩინეთში გუშინ გაფრინდა **ლომერ ჟორჟოლიანთან** ერთად. შეგახსენებთ, რომ 16-18 დეკემბერს ქინგდაოში სეზონის ბოლო სალიცენზიო ტურნირი, „დიდი პრიზი" ტარდება, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ ცირეკიძე და ჟორჟოლიანი მიიღებენ მონაწილეობას. ამჯერად იქ სხვების გაგზავნა უფულობის გამო ვერ ხერხდება, ამათი გაშვება კი აქტუალური დაძაბული შიდა კონკურენციის და სხვა ტაქტიკური მიზეზების



გამო გახდა აუცილებელი (თუმცა ცირეკიძე ჩინეთში საკუთარი ხარჯით გადადის იაპონიიდან, სადაც მასპინძლებმა პერსონალურად მიიწვიეს ძიგორო კანოს მემორიალზე, როგორც მსოფლიოს წლევანდელი მედალოსანი). მაგალითად, ცირეკიძისთვის მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო რეიტინგის 16 საუკეთესოში შესვლა, რითაც 14-15 იანვარს ალმათიში გასამართ მასტერსზე გამოსვლის უფლებას მიიღებდა; ორივეს ამოცანაა, ოლიმპიური რეიტინგის რვა მეწინავეს შორის დამკვიდრდეს, რაც ოლიმპიადაზე განთესვის წინა პირობაა... ცირეკიძის ტრავმამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა - ტოკიოში მესამე ადგილზეც გავიდა, 120 სარეიტინგო ქულაც მიიღო და ტოპ-16-შიც მოხვდა, ახლა კი ვნახოთ, საერთოდ შეძლებს თუ არა იქ ჭიდაობას. დავიტოვოთ იმედი, რომ დარჩენილ დღეებში ექიმი შეძლებს მის გამოჯანმრთელებას იმ დონემდე მაინც, რომ თუნდაც გამაყუჩებლებით იასპარეზოს.

შეგახსენებთ, რომ კანოს ტურნირზე ცირეკიძე მეორე წრეში დაშავდა იაპონელ **ტაცუკი მასუბუშისთან** შეხვედრაში - ნეკნი იტკინა, თუმცა ფეხიც აწუხებს. ამის შემდეგ უზბეკ **რამზიდინ საიდოვს** გამაყუჩებლებით მოუგო, თუმცა ნახევარფინალში რუს **სერგეი სამოილოვიჩთან** საჭიდაოდ გასვლა ვერ შეძლო და მომავალ ჩემპიონს უბრძოლველად დაუთმო ფინალის საგზური. არადა, წლეულს ჩვენებურმა ორჯერ მოუგო მას - ევროპასა და მსოფლიოზე. ცირეკიძეს ფედერაციიდან გუშინწინაც დაუკავშირდნენ და უთქვამს, ხვალ (ანუ სამშაბათი იგულისხმება. ავტ) გამართულად სიარულს მაინც თუ შევძლებ, ჩინეთში ვიჭიდავებო. ეტყობა, მის გამოჯანმრთელებაში პროგრესი მართლაც არის და ამიტომ გადაწყვიტა ქინგდაოში წასვლა.

აქაც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩინეთში გამოსვლა ძალზე პრინციპულია როგორც ცირეკიძის, ისე - ჟორჟოლიანისთვის - ამით მათ დაძაბულ შიდასანაკრებო კონკურენციაში ბევრი რამეც შეიძლება გაირკვეს. სადღეისოდ საერთაშორისო რეიტინგში ჟორჟოლიანი 620 ქულით XIII ადგილზეა, ოლიმპიურში კი გამოხშირვის წესით (რაც ქვეყნიდან მხოლოდ ერთ მონაწილეს ითვალისწინებს) ერთი საფეხურით წინაა - XII. ცირეკიძის მდგომარეობა ასეთია: 598 ქულა და XV ადგილი საერთაშორისო რეიტინგში, ოლიმპიურში - XIII. თუმცა ხვალიდან ჟორჟოლიანს 2009 წლის კანოს ტურნირის შედეგი გაუნულდება და ცოტათი უკან დაიწევს, ცირეკიძე გადაუსწრებს, ოღონდ ევროპის ვიცე-ჩემპიონ ჟორჟოლიანს დანაკლისის ანაზღაურება ჩინეთშივე შეუძლია.

ცირეკიძესთან დაკავშირებული ოპტიმისტური ინფორმაციის მიუხედავად, საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებს პრობლემები არ ელევა - იაპონურ შეკრებაზე საუკეთესო რეიტინგის მქონე **ამირან პაპინაშვილი** (60) დაუშავდა. ის ტოკიოში ამსტერდამის ტურნირიდან გადაფრინდა, სადაც ვერცხლი მოიპოვა. იაპონიაში მასთან ერთად შეკრებაზე კიდევ ოთხი ძიუდოისტი იმყოფებოდა, თუმცა იმათგან ერთი - მძიმეწონოსანი **ლაშა გუჯეჯიანი** ტრავმის გამო ნაადრევად დაბრუნდა თბილისში, ახლა კი მის გზას პაპინაშვილიც დაადგა. მას წელიც აწუხებს, თუმცა მთავარი პრობლემა მენისკია, რომელიც იაპონელმა ექიმებმა დაუდგინეს. პაპინაშვილს გუშინ თბილისშიც გამოიკვლევდნენ, თუმცა ტრავმის სიმძიმეზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

პაპინაშვილს ქართველთაგან საუკეთესო რეიტინგი აქვს - მსოფლიოში მეექვსეა 788 ქულით, ოლიმპიურში კი სულაც მეხუთე, რადგან ორი იაპონელი უსწრებს, ანუ ერთი მათგანი სიიდან ვარდება. მას მასტერსზე გამოსვლა რეიტინგით განაღდებული აქვს. იმედია, ამაში ტრავმა არ შეუშლის ხელს. ხვალიდან კანოს 2009 წლის შედეგი პაპინაშვილსაც აკლდება, თუმცა ამით რეიტინგში მისთვის ოდნავადაც არაფერი იცვლება. საქმე ის არის, რომ იმ შეჯიბრებაზე მან 36 ქულა მიიღო, რაც შარშანვე გაუნახევრდა, ანუ 18 დარჩა. ახლა ეს შედეგი კი უნულდება, ოღონდ საუკეთესო ხუთეულში (შეგახსენებთ, რომ 100 და 50%-იანი ტურნირებიდან სარეიტინგო ჩათვლაში 5-5 საუკეთესო მაჩვენებელი შედის) სიაში კვლავაც 36-ქულიანი შეჯიბრების მაჩვენებელი ეთვლება, ანუ მისი განახევრებით ისევ 18 ქულა დაერიცხება. ამდენად, „თხა ვიყიდე, თხა გავყიდე" გამოუდის - ამ მათემატიკური აბრაკადაბრით მისთვის არაფერი იცვლება, 18 ქულის ნაცვლად კვლავაც იმდენივე დაეწერება.

ჩინეთში ჩვენები (იმედია, ცირეკიძეც შეძლებს ასპარეზობას) კვირას, 18 დეკემბერს იჭიდავებენ, ტურნირი კი 16-ში დაიწყება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# მხოლოდ ანთალიაში

საჩოგბურთო სეზონი დასრულებულია, ამ კვირაში ქალთა შორის სულ 4 მცირე საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, ისიც ნაკლებად საჩოგბურთო ქვეყნებში: ჩილეში, ინდოეთში, ჯიბუტიში და თურქეთში. ჩვენ თურქულ ანთალიაში მიმდინარე მორიგი შეჯიბრება გვაინტერესებს, რომლის საპრიზო ფონდი პროფესიული ჩოგბურთისთვის მინიმალური, 10 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში თამაშობდა 16 წლის **თამარ ჭალაგანიძე**, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს პროფესიულ ჩოგბურთში. მან მე-2 საკვალიფიკაციო წრეში რუსეთის სახელით მოასპარეზე **ეკატერინე ნიკლაური** დაამარცხა - 6:2, 7:6 (5). ფინალურ წრეში ჭალაგანიძე შვეიცარიელ **ლუიზ ბოინაის** ვერ გაუმკლავდა - 3:6, 1:6 და ტურნირს დაეთხოვა.



ამ ტურნირის ძირითად ბადეში 20 წლის (ახლახან შესრულდა) **ეკა გორგოძე** (397) ითამაშებს, რომელიც მე-5 ნომრადაა განთესილი. გორგოძის მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული თურქი **ფატმანურ ათილგანია**. ჩვენებური ოქტომბრიდან მოყოლებული ანთალიაშია, სადაც ზედიზედ 8 მცირე ტურნირში ითამაშა, თუმცა დიდი წარმატების გარეშე. ვაჟთა ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-7 ნომრად იყო განთესილი **გიორგი ცივაძე** (1238), რომელმაც მე-2 წრეში ამერიკელ **ადჰამ ელ-ეფენდის** მოუგო - 7:5, 6:3. ფინალურ ეტაპზე ცივაძე რუს **ანდრეი პლოტნისთან** დამარცხდა - 4:6, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ფალავნობა



# ფალავანი ანუ მეხრიკე

**როგორც შარშანწინ, წლეულსაც საქართველოს ფალავნობა ბარბარობის დღესასწაულზე ჩატარდება. ოდითგან ქართული ჭიდაობა ტრადიციულად აღდგომის, კვირაცხოვლობის, ამაღლების, გიორგობის, ბზობის, მარიამობის, ღვთისმშობლობის, ბარბარობის დღესასწაულებზე იმართებოდა.**

მოკვლეული მონაცემებით, „ფალავნობა 2011" სამოცდამესამეა. 82 წელიწადში 38-მა მოჭიდავემ მოიპოვა ფალავნის სახელი (ზოგიერთმა რამდენჯერმე). ახმეტელმა **ალექსი დავითაშვილმა** სულაც რეკორდი დაამყარა - რვაგზის ფალავანია. ოთხჯერ - XX, ამდენჯერვე - XXI საუკუნეში ფლობდა პირველობას.

მოქმედი ფალავანი **ადამ ოქრუაშვილი** (დუშეთი) კი გასულ ორ სეზონში ზედიზედ დაესაკუთრა პირველ ადგილს. ის ამჯერადაც შეეცდება ტიტულის დაცვას.

ფალავნობას ჩვენს ქვეყანაში დიდი ისტორია აქვს. მეფეებსაც კი ჰყავდათ თავიანთი ფალავნები. მას შემდეგ, რაც მეფე ერეკლეს რჩეულმა ნადირშაჰის ფალავანი დაამარცხა, უფლება მიეცა მეფისაგან, სადაც მოისურვებდა, „პური ეჭამა".

თითოეულ სოფელს თავისი ფალავანი ჰყავდა, რომელსაც ხალხი შეხაროდა. ტაბახმელაში გრიგოლ ორბელიანი თავის მამულში მართავდა ფალავნობას.

საგურამოში დიდ ილიას თავისი „საჭიდაო" და ფალავანი ჰყავდა. ის ჭიდაობის წესებშიც კარგად ერკვეოდა.

საქართველოს ფალავნობის რიგითობა და მწყობრი სისტემა გასული საუკუნის 20-იან წლებში დააწესეს, თუმცა ყოველ წელიწადს ეს ვერ ხერხდებოდა. სახალხო ფალავნები კი არასდროს დაჰკლებია საქართველოს.

**დათა ხიზამბარელი, გიორგი მჭედელი** (გორელი), **ვასილ ლოლაძე, კულა გლდანელი, იაკობ ეგნატაშვილი, თედო ლილოელი, ვანო აბულაძე, ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე, ვანო წამალაშვილი, შაშო ვერელი, ვანო მიდელაური, კოლია ქვარიანი, მიხა ქურხული, იოსებ ცერაძე, მიშიკო მაჩაბელი, სანდრო კანდელაკი...**

ძველ ქვეყნებს აქვთ თავიანთი ტრადიციული ჭიდაობები: ისლანდიელებს - „გლიმა", ესპანელებს - „ლუჩა კანარია", მონღოლებს - „იბუხ ბარილდა", ირანელებს - „ჩუხა" და „ზურხანი", ლატვიელებს - „რისტინე", კორეელებს - „სირიმი", თურქებს - „იალლიშგულეში" და „აბადა სალვარი", მოლდოველებს - „ტრინტა დრიაპტე, შვეიცარიელებს „სიუის ლიბრი" და „შვეიცერ შვიგენი", კამბოჯელებს - „ქმერი", ყირგიზელებს - „ოოდარიშზე" და ა.შ.

ჩვენში ცალკეულ კუთხეს თავისი ჭიდაობის სახეობა ჰქონდა: მაჯურა, ცალხელა, ილლილორა, ჭედობა, ტეკობა, რკინება, საბეჭურიდან ჭიდაობა, მომდამოშ, მუქასრისა, ლოჯური, გიმრაობა, ხელჩაკიდებით ჭიდაობა, ლიბრგიელი, ლიბურძგალი, ლიჯირთიელი, მკერდაობა, ქამარ-ქამარ, ხაცური, თვალახვეული...

მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრის - „ვეფხისტყაოსნის" გენიალური ავტორის შოთა რუსთაველის პაპის სახელი „მიხრიკი" რიგ მეცნიერთა აზრით, წარმომდგარია სიტყვისაგან „მეხრიკე" (მორკინალი, მოჭიდავე, ფალავანი), რაც გამოხატავადა მეხრიკეობით (ფალავანდობით) განთქმული წინაპრის ნიშანთვისებას. ელია მიხრიკის ძე უნდა იყოს შოთას მამა. მეხრიკე და მეხრიკეობა საბას ლექსიკონით არის ხრიკის ცოდნა, ხოლო ხრიკი საბასვე სიტყვით არის მორკინალთ (ე.ი. მოჭიდავეთ) ხელოვნება. შოთას უფროს ძმას პაპის, მიხრიკის სახელი ერქვა.

პოპულარული სახელი ფალავანი, ქართული მეხრიკის სპარსული (ფეჰლევენდ) შესატყვისია და შუა საუკუნეებში ხშირად გვხვდებოდა თავად ფალავანდიშვილების გვარში - ფალავნად ფალავანდიშვილი (კარგი ფალავნობა ფეოდალურ ხანაში ხომ სასახელო საქმედ ითვლებოდა).

ფალავნიდან (მეხრიკიდან) წარმომდგარ ფეოდალურ გვარს ფალავანდიშვილს სწორედ თამარ მეფის დროს მიეცა დასაწყისი სამცხიდან შიდა ქართლში გადასვლით. ხოლო ძველ საფალავანდიშვილოში ახლაც არის სოფელი რუსთავი. ამ გვარის დამწყები არის მესხი და ის შოთა რუსთაველის ახლობელი უნდა ყოფილიყო.

ფალავანდიშვილებს, ანუ შოთას ნათესავებს, პირველ ჟამსვე ჭიდაობით, მეხრიკეობით და ფალავნობით გაუვარდათ სახელი. ფალავანდიშვილები მიხრიკისძეების ჩამომავალნი არიან. ეს ტოპონიმიკითაც დასტურდება ჩახრახის - წყლის სათავესთან ახლოს, მთა ზიარეთის დასავლეთითი, ალზიყარასთან არის ადგილი ფალევანვირდი, ე.ი. თურქულად ფელივანვერდი - ფალავანმა მოგვცა, ფალავნის მოცემული. სიტყვა ფალავანი სპარსულიდან შესულია თურქულში და უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი სახელის წინანდელ სპარსულ თარგმანს. ამით მტკიცდება, რომ ჩახრახელები მართლაც მიხრიკისძეები, ე.ი. ამ სახელის სპარსული თარგმანით ფალავანდის (ფალავანის) შვილნი არიან.

ასეა თუ ისე, ქართველთა საფიცარი პოეტის - შოთა რუსთაველის და დიდებული გვარის - ფალავანდიშვილების წარმომავლობა მეცნიერთა ვარაუდით ქართული ჭიდაობიდან მოდის...

**გაბრიელ ბარჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. ევროჩელენჯი

13 დეკემბერი

# ლეიდენი-არმია 76:59

27:9, 11:15, 16:16, 22:19

მაყურებელი: 1250

*მსაჯები: კრის დოდსი (ჰოლანდია), სიგმუნდურ ჰერბერტსონი (ისლანდია), იოაკიმ ფორსბერგი (შვედეთი).*

| ლეიდენი | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საქ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. სლაგთერი | 33 | 2/12 | 16.7 | 0/6 | 0.0 | 2/6 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0 | 7 | 7 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 3 | 24 | 6 |
| *5. ჯექსონი | 32 | 4/8 | 50.0 | 2/5 | 40.0 | 2/3 | 66.7 | 1/4 | 25.0 | 1 | 2 | 3 | 5 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 23 | 11 |
| *6. დე იონგი | 21 | 6/11 | 54.5 | 6/9 | 66.7 | 0/2 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 4 | 1 | 5 | 0 | 4 | 1 | 0 | 2 | 2 | 21 | 14 |
| 7. კენედი | 9 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | -13 | 0 |
| 9. სასი | 10 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | -2 | 6 |
| *10. ბოქსლი | 33 | 6/10 | 60.0 | 6/9 | 66.7 | 0/1 | 0.0 | 5/5 | 100.0 | 1 | 9 | 10 | 2 | 1 | 2 | 0 | 3 | 4 | 22 | 17 |
| 11. კერაზი | 15 | 2/3 | 66.7 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 4 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 1 | -2 | 4 |
| *13. ჰილიმანი | 27 | 7/11 | 63.6 | 7/11 | 63.6 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 5 | 4 | 9 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 4 | 26 | 16 |
| 14. კანინგემი | 11 | 0/3 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | -13 | 2 |
| 15. შეპარდი | 10 | 0/3 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 1 | -1 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 3 | 4 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 29/ 66 | 43.9 | 23/ 48 | 47.9 | 6/ 18 | 33.3 | 12/15 | 80.0 | 13 | 33 | 46 | 18 | 17 | 9 | 3 | 19 | 19 | | 76 |

| არმია | წთ | თამ.სრ. | თამ.სრ.% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ.შეტ. | მ.საქ. | მ.სულ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ.მეტ | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. რიჩარდსონი | 38 | 7/18 | 38.9 | 6/12 | 50.0 | 1/6 | 16.7 | 2/3 | 66.7 | 0 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 2 | 3 | -22 | 17 |
| 6. ბოისა | 24 | 1/3 | 33.3 | 1/1 | 100.0 | 0/2 | 0.0 | 2/3 | 66.7 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 0 | 4 | 3 | -10 | 4 |
| *10. ტომასი | 38 | 5/15 | 33.3 | 4/10 | 40.0 | 1/5 | 20.0 | 0/1 | 0.0 | 3 | 9 | 12 | 1 | 3 | 4 | 1 | 2 | 4 | -19 | 11 |
| 11. ჰოუკინსი | 20 | 2/7 | 28.6 | 2/6 | 33.3 | 0/1 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 4 | 2 | 7 | 7 |
| *14. შელგომი | 21 | 2/2 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 2 | 2 | 4 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 | 3 | -13 | 4 |
| *20. ვუდსაიდი | 33 | 5/12 | 41.7 | 3/9 | 33.3 | 2/3 | 66.7 | 4/4 | 100.0 | 3 | 4 | 7 | 4 | 4 | 3 | 0 | 3 | 3 | -13 | 16 |
| *21. საყვარელიძე | 18 | 0/3 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | -11 | 0 |
| 35. ფრეიე | 6 | 0/3 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | -4 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 3 | 3 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 22/ 63 | 34.9 | 18/ 43 | 41.9 | 4/ 20 | 20.0 | 11/17 | 64.7 | 11 | 22 | 33 | 12 | 14 | 14 | 2 | 19 | 18 | | 59 |

## ლეიდენი-არმია

### I პერიოდი

| | |
|---|---|
| 08:52 | ჰილიმანი 2ქ (2:0) |
| 08:09 | ბოქსლი 2ქ (4:0) |
| 07:27 | ჯექსონი 2ქ (6:0) |
| **07:11** | **შელგომი 2ქ (6:2)** |
| 06:48 | ჰილიმანი 2ქ (8:2) |
| 06:27 | ბოქსლი 2ქ (10:2) |
| 06:14 | სლაგთერი 3ქ (13:2) |
| 05:22 | დე იონგი 2ქ (15:2) |
| 04:57 | ბოქსლი 2/2 (17:2) |
| 04:16 | ჯექსონი 2ქ (19:2) |
| **03:01** | **ბოისა 2/2 (19:4)** |
| 02:52 | ბოქსლი 2ქ (21:4) |
| 02:15 | ჯექსონი 3ქ (24:4) |
| **01:46** | **რიჩარდსონი 2ქ (24:6)** |
| **01:29** | **ჰოუკინსი 2/1 (24:7)** |
| 01:13 | სასი 3ქ (27:7) |
| **00:36** | **ჰოუკინსი 2/2 (27:9)** |

### II პერიოდი

| | |
|---|---|
| **09:21** | **ტომასი 3ქ (27:12)** |
| **08:55** | **ჰოუკინსი 2ქ (27:14)** |
| 06:04 | კერაზი 2ქ (29:14) |
| **05:43** | **ვუდსაიდი 3ქ (29:17)** |
| **04:25** | **რიჩარდსონი 2ქ (29:19)** |
| 02:51 | ჯექსონი 3ქ (32:19) |
| 01:51 | დე იონგი 2ქ (34:19) |
| **01:39** | **რიჩარდსონი 2/1 (34:20)** |
| **01:34** | **ვუდსაიდი 2ქ (34:22)** |
| 00:14 | დე იონგი 2ქ (36:22) |
| **00:11** | **ვუდსაიდი 2/2 (36:24)** |
| 00:00 | ჰილიმანი 2ქ (38:24) |

### III პერიოდი

| | |
|---|---|
| 09:41 | ჰილიმანი 2ქ (40:24) |
| **08:51** | **ტომასი 2ქ (40:26)** |
| 08:23 | ჰილიმანი 2ქ (42:26) |
| 07:42 | ჰილიმანი 2/2 (44:26) |
| 06:56 | დე იონგი 2ქ (46:26) |
| **06:36** | **ტომასი 2ქ (46:28)** |
| 05:35 | სლაგთერი 3ქ (49:28) |
| **05:05** | **შელგომი 2ქ (49:30)** |
| 03:50 | ჰილიმანი 2ქ (51:30) |
| **03:36** | **ტომასი 2ქ (51:32)** |
| **01:52** | **რიჩარდსონი 2ქ (51:34)** |
| 01:31 | სასი 3ქ (54:34) |
| **01:03** | **რიჩარდსონი 2+1ქ (54:37)** |
| **00:19** | **ვუდსაიდი 3ქ (54:40)** |

### IV პერიოდი

| | |
|---|---|
| **09:43** | **რიჩარდსონი 3ქ (54:43)** |
| 07:50 | ბოქსლი 2/2 (56:43) |
| 07:02 | ბოქსლი 2ქ (58:43) |
| **05:43** | **ვუდსაიდი 2ქ (58:45)** |
| **05:30** | **ჰოუკინსი 2ქ (58:47)** |
| 05:15 | კერაზი 2ქ (60:47) |
| 04:52 | ჯექსონი 2/1 (61:47) |
| 03:50 | ბოქსლი 2+1ქ (63:47) |
| **03:36** | **რიჩარდსონი 2ქ (64:49)** |
| 03:19 | ბოქსლი 2ქ (66:49) |
| **02:43** | **ვუდსაიდი 2/2 (66:51)** |
| 02:09 | დე იონგი 2ქ (68:51) |
| **01:51** | **ბოისა 2ქ (68:53)** |
| 01:23 | დე იონგი 2/2 (70:53) |
| **01:04** | **ტომასი 2ქ (70:55)** |
| 00:38 | დე იონგი 2ქ (72:55) |
| 00:14 | ჰილიმანი 2ქ (74:55) |
| **00:08** | **რიჩარდსონი 2ქ (74:57)** |
| 00:05 | კანინგემი 2/2 (76:57) |
| **00:00** | **ვუდსაიდი 2ქ (76:59)** |



# ეჰ...

მორჩა და გათავდა - ქართული გუნდებისთვის ევროპა დასრულდა. „არმიამ" ჰოლანდიაში „ლეიდენთან" 59:76 წააგო და მომდევნო ეტაპის საგზური მეტოქეს დაუთმო. არადა, როგორი იმედით ველოდით მეექვსე შეხვედრას, გვეგონა, ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულდებოდა და „არმიას" მონაწილეობით ევროჩელენჯზე კიდევ ექვს მატჩს ვიხილავდით.

თამაში ტელევიზიით არ გადაცემულა, ამიტომ წაგების კონკრეტულ მიზეზებს გუნდის საქართველოში დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ. დღეს კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ „ლეიდენმა" ყველა კომპონენტში გვაჯობა: მოხსნებში - 46:33, რეალიზებულ ორქულიანებში - 23:18, სამქულიანებში - 6:4...

მასპინძლებმა მატჩი საოცრად დაიწყეს - 24:4 დაწინაურდნენ, რის შემდეგაც, დიდი მცდელობის მიუხედავად, „არმიამ" თამაშის შემოტრიალება ველარ შეძლო. დღეს უკვე დანანებით შეიძლება ითქვას: გუნდისთვის დიდი დანაკლისი აღმოჩნდა გამთამაშებელი **სანდიატა გეინსის** არყოფნა, რომელიც ლოკაუტის დასრულებისთანავე ამერიკაში გაემგზავრა. თბილისელებს კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი აკლდათ - **გილერმო დიასი.** მან „გოტინგენთან" მატჩში მუხლი იტკინა. „არმიას" გეინსის წასვლის შემდეგ სამი კალათბურთელი კი შეემატა, მაგრამ ნებისმიერი გუნდის შესათამაშებლად ერთი კვირა საკმარისი რომ არ არის, ყველას კარგად მოეხსენება. საპირისპიროდ, გასული სეზონის შემდეგ ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა „ლეიდენმა", ერთი-ორი კარგი ამერიკელიც დაიმატა და სწორედ სათანადო შეთამაშების წყალობით მიაღწია ევროჩელენჯის მეორე რაუნდს.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეშიქთაში | 6 | 6 | 0 | 543/437 | 12 |
| 2. ლეიდენი | 6 | 3 | 3 | 434/437 | 9 |
| 3. არმია | 6 | 3 | 3 | 441/464 | 9 |
| 4. გოტინგენი | 6 | 0 | 6 | 432/512 | 6 |

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# იგორ კოკოშკოვზე ბევრისგან განსხვავებულს ვიტყვი...



ევრობასკეტი 2011: გიორგი ცინცაძე მაკედონიელი ვლადო ილიევსკის წინააღმდეგ

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** გუშინ საკალათბურთო აკადემიას სტუმრობდა. იგი ნორჩ სპორტსმენებს შეხვდა, საკუთარი გამოცდილება გაუზიარა, ავტოგრაფები დაურიგა და სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

მოზარდი კალათბურთელები ნაკრების მოთამაშის სტუმრობამ მეტად გაახარა. თავის მხრივ, გიორგიც დადებითად დაიმუხტა.

- ჩემს ბავშვობაში ასეთი შეხვედრები არ გვქონია, არადა, ნებისმიერი პატარისთვის საინტერესოა ნაკრების წევრთან შეხვედრა და მასთან ერთად ვარჯიში. არ მეგონა, ამდენი ბავშვი თუ დამხვდებოდა, ჩემთვისაც ძალიან საინტერესო იყო მათთან ურთიერთობა. იმედი მაქვს, დღევანდელი შეხვედრა პატარებისთვის დამატებითი სტიმული იქნება. მათ ჩემ შესახებ ვუამბე: ვუთხარი, რომ მეც „აკადემიაში" ვვარჯიშობდი და სწორედ აქ ჩამოვყალიბდი პროფესიონალ კალათბურთელად. სათანადო შრომის შედეგად ბევრის მიღწევა შეიძლება-მეთქი. მსგავსი შეხვედრები მხოლოდ საკალათბურთო აკადემიებში როდი უნდა ტარდებოდეს. კალათბურთი ჩვენს ქვეყანაში სპორტის ერთ-ერთი წარმატებული სახეობაა და მისი პოპულარიზაცია აუცილებელია. მის შესახებ მეტი უნდა გაიგოს ხალხმა.

**- მაკედონიასთან მატჩში ტრავმირებულ მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- ოპერაცია კაუნასში გავიკეთე. აღდგენითი პროცესით კმაყოფილი ვარ. იმედი მაქვს, შემდეგშიც ყველაფერი კარგად წარიმართება. იანვრის ბოლოს ისევ ლიტვაში ჩავალ, გამოკვლევას ჩავიტარებ და მაშინ მეტყვიან, ზუსტად როდის შემეძლება ვარჯიშის დაწყება.

**- ლიტვაში ჩვენი ნაკრების გამოსვლას როგორ აფასებდნენ?**

- ინტერესი დიდი იყო. მაგალითად, ლიტვაში ოპერაციის შემდეგ ადგილობრივი ჟურნალისტები მოვიდნენ, საქართველოს ნაკრებსა და ჯანმრთელობაზე მკითხეს. ესტონეთიდანაც დამირეკეს. საქართველოდან კი ერთი ჟურნალისტიც არ შემხმიანებია...

**- გასულ კვირას იგორ კოკოშკოვს კონტრაქტი გაუგრძელეს. როგორ აფასებ ამ მოვლენას?**

- ბევრისგან განსხვავებულს ვიტყვი - იგორ კოკოშკოვი საქართველოს ნაკრებში უნდა დარჩენილიყო. ამას დიდი მსჯელობა და ლაპარაკი არ სჭირდებოდა. შესაძლოა, იგი მსოფლიოში საუკეთესო არ არის, მაგრამ საქართველოს ნაკრებში ნაყოფიერად იმუშავა, ყველა მიზანი შეასრულა. არ არსებობდა ლოგიკა, რომლის მიხედვითაც იგორ კოკოშკოვს ჩვენს ნაკრებში მუშაობა არ უნდა გაეგრძელებინა. რაც მთავარია, მისი ჩვენს გუნდში დარჩენა ნაკრების წევრებისთვისაც უკეთესია.

**- ნატურალიზებულ კალათბურთელზე რა აზრის ხარ?**

- ეს კითხვა გადაცემა „არენაშიც" დამისვეს. ჩემი პასუხი ასეთია: კლუბსა თუ ნაკრებში როცა უცხოელი მიდის, ადგილობრივებზე უკეთესი უნდა იყოს. უნდა იცოდე, რომ ახალწვეული მაღალი კლასისაა და ეს ნაკრებში მოსვლამდე, საერთაშორისო ასპარეზზე უნდა ჰქონდეს დამტკიცებული. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოელის ჩამოყვანას აზრი არა აქვს.

**- კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?**

- ჯერ ტრავმა სრულად არ მომშუშებია და ზუსტად ვერ ვიტყვი. სადღეისოდ ერთი შეთავაზება მაქვს იტალიიდან, მაგრამ ტრავმის გამო ვერ წავალ. როცა ფეხს საბოლოოდ მოვირჩენ, არა მგონია, ასეთი წინადადება მაშინაც მქონდეს, რადგან აპრილიდან ევროპის ქვეყნებში პლეიოფები იწყება და ახალმორჩენილ კალათბურთელს საპლეიოფოდ არავინ წაიყვანს. ამიტომ საქართველოში ვაპირებ თამაშს. ამჟამად „ოლიმპთან" ერთად მსუბუქად ვვარჯიშობ, გუნდთან კონტრაქტი არ გამიფორმებია, თუმცა ტრავმის მოშუშების შემდეგ, სავარაუდოდ „ოლიმპში" ვითამაშებ.



გუშინ საკალათბურთო აკადემიაში

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მწვრთნელები

# საქართველოს ნაკრებს ახალზელანდიელები გაწვრთნიან



## მილტონ ჰეიგი

**მოთამაშის კარიერა**

1982-1988 წლები - საუთლენდის პროვინციის ნაკრები

1980 წელი - ახალი ზელანდიის 17-წლამდელთა ნაკრები

1982 წელი - ახალი ზელანდიის 19-წლამდელთა ნაკრები

1985-1987 წელი - „იოჰანსებურგ პირატსი" (სამხრეთ აფრიკა)

1985 წელი - „ლონდონ სქოთიში"

1985-1986 წლები - „ორელი"

1987-1988 წლები - „რიჩმონდი" (ლონდონი)

1990-1996 წლები - „ბეი ოფ პლენტი", 48 მატჩი, ოთხჯერ კაპიტანი.

**სამწვრთნელო კარიერა**

2000-2002 წლები - „ბეი ოფ პლენტი" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2003-2007 წლები - „ვანგანუის" მთავარი მწვრთნელი.

2000 წელი - ახალი ზელანდიის 17-წლამდელთა და 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი.

2006-2007 წლებში - ახალი ზელანდიის ბავშვთა და მოზარდთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი.

2008 წელი - „მაორების" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, „წყნარი ოკეანის ერთა თასის" მფლობელი.

2009-2011 წლები - „მანუკაუ სტილერსის" მთავარი მწვრთნელი და რაგბის განვითარების ხელმძღვანელი. მას აქ ასისტენტობას უწევდა მსოფლიოს რაგბის ლეგენდა **ტანა უმაგა**.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს მომავალი წლიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. საქართველოს რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, „ბორჯღალოსნებს" ახალზელანდიელი **მილტონ ჰეიგი** უთავკაცებს. მას ასისტენტობას მისი თანამემამულე **კრის გიბსი** გაუწევს, რომელიც ჩვენი ეროვნული გუნდის შერკინებას გაწვრთნის. ახალზელანდიელებთან ერთად იმუშავებს ორი ქართველიც, **ილია მაისურაძე** და **ილია ზედგინიძე.**

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობაში ამ ცვლილებებთან დაკავშირებით რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** და კონსულტანტმა **რიჩი დიქსონმა,** „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკეს:

**გიორგი ნიჟარაძე:**

„საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელთან ბოლო დეტალები დღეს დილით შევათანხმეთ და უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „ბორჯღალოსნებს" ახალზელანდიელი მილტონ ჰეიგი გაწვრთნის, მას ასისტენტობას შერკინების მწვრთნელი კრის გიბსი გაუწევს.

სანამ ამ ორ ადამიანზე კონკრეტულად გიამბობდეთ, მინდა, ცოტა შორიდან დავიწყო. მაშინ, როცა ავსტრალიელი ტიმ ლეინი, რომელიც ძალიან კარგი სპეციალისტი იყო, გარკვეული მიზეზების გამო თანამდებობიდან გავათავისუფლეთ, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ოთხწლიანი ციკლის შუაწელი იყო და ყველა, ასე თუ ისე მაღალი დონის მწვრთნელი, გუნდებში უკვე მუშაობდნენ.

სწორედ ამ დროს ვთხოვეთ რიჩი დიქსონს დაგვხმარებოდა, რომელმაც თანხმობა მოგვცა და მწვრთნელთა შესანიშნავი გუნდი შეკრა. მსოფლიოს თასზე ჩვენი ნაკრების გამოსვლას აღარ შევეხები. ამაზე არაერთხელ საკმაოდ ვრცლად მილაპარაკია. ჩვენ მაშინვე შევთანხმდით, რომ რიჩი დიქსონი ნაკრებს ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშების ჩათვლით უხელმძღვანელებდა. მინდა, გაწეული საქმიანობისთვის მას მადლობა კიდევ ერთხელ ვუთხრა.

ახალი მწვრთნელის ძიება ახალზელანდიაში ჩვენი ყოფნისას დავიწყეთ. მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა. კანდიდატებს ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში ვეძებდით. ჩვენ გვჭირდებოდა კარგი სპეციალისტი, რომელიც საქართველოში მოიტანდა ცოდნას და დაგროვილ გამოცდილებას ქართული რაგბის განვითარებას მოახმარდა. სამომავლოდ სრულიად ახლებური სისტემით ამუშავდება ჩვენი სარაგბო აკადემია, სადაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელმაც უნდა იმუშაოს, როგორც ახალგაზრდულ ნაკრებებთან, ისე კლუბების მწვრთნელებთან.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ არ ვართ მდიდარი ქვეყნის მდიდარი რაგბის კავშირი. ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია. ამ ხნის განმავლობაში, რაც ახალ მწვრთნელს ვეძებდით, სამოცამდე კანდიდატის განაცხადი მივიღეთ. ამათგან საბოლოოდ დარჩა სამი - ფრანგული, ბრიტანული და ახალზელანდიური მიმართულება.

ძალიან კარგად მესმის იმ ქომაგების, რომლებსაც ეროვნული ნაკრების თავკაცად ისეთი სპეციალისტების ხილვა სურთ, სამხრეთაფრიკელი ნიკ მალეტი და ახალზელანდიელი გრემ ჰენრი რომ არიან. მალეტთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, მას ჯერ კიდევ 2007 წელს საფრანგეთში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ შევთავაზეთ ჩვენთან მუშაობა, მაგრამ გვითხრა, ფინანსურად ვერ შემწვდებითო. ასეც არის, ის იმდენად მაღალი დონის სპეციალისტია, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევა.

რაც შეეხება ჰენრის, მან „ოლ ბლექს" მსოფლიოს თასი მოაგებინა და სანაკრებო კარიერის გაგრძელება არ სურს. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ამ ადამიანებს მაინც ველაპარაკებოდით, მათ თავისი პოზიცია გამოხატეს და ამით შემოვიფარგლეთ.

ფრანგი სპეციალისტებიდან 7-8 სერიოზული კანდიდატურა განიხილებოდა. დახმარებისთვის საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტს და IRB-ს თავკაც ბერნარ ლაპასესაც მივმართეთ. საბოლოოდ ფურჟერონზე შევჩერდით, რომელსაც „მასიში" ქართველ მორაგბეებთან უმუშავია. ცხადია, ჩვენს ბიჭებს მის და სხვა კანდიდატების შესახებაც დავეკითხეთ.

განიხილებდა ასევე, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელების ნტამაკი-დუტიერის კანდიდატურაც. ჩვენი მორაგბეები საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეებს ესაუბრნენ მათ შესახებ და უნდა ითქვას, რომ დადებითი ვერაფერი გავიგეთ. ამასთან, ისე გამოვიდა, რომ ფრანგებმა ბოლო მომენტში თვითონ თქვეს უარი. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს ფრანგი სპეცილისტი, ვისაც უცხოეთში უმუშავია და რაიმე სერიოზული წარმატებისთვის მიუღწევია.

ბრიტანეთიდან კანდიდატი კლაივ ვუდვორდი იყო, უდავოდ ძლიერი სპეციალისტი. ის გენიალური მენეჯერია და დარწმუნებულნი ვართ, ნებისმიერი მიზნის მიღწევაში დიდად დაგვეხმარებოდა. მასთან ურთიერთობა ბოლო წუთამდე გვქონდა, ის აქტიურად გამოხატავდა თავის დაინტერესებას საქართველოს ნაკრებში ემუშავა. როცა ყველაფერზე შევთანხმდით და საქმე ანაზღაურებაზე მიდგა, მან თავის მენეჯერთან დაგვაკავშირა. თანხა, რაც ვუდვორდის მენეჯერმა დაგვისახელა რაგბის კავშირის წლიური ბიუჯეტის ნახევარია. ცხადია, რომ შეთანხმება არ შედგა.

დაგვრჩა ახალზელანდიელთა კანდიდატურა. ამ ქვეყანაში ყოფნისას რამდენჯერმე შევხვდი ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს, ვეძებდით გზას, თუ როგორ დაგვეწყო თანამშრომლობა. კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ქვეყანაში რაგბი რელიგიის დონემდეა აყვანილი. ახალი ზელანდია, ფაქტობრივად, რაგბის ერთი დიდი ქარხანაა.

მათ ვთხოვეთ, რომელიმე ახალზელანდიელი მწვრთნელისთვის რეკომენდაცია გაეწიათ. საქმეში ჩავრთეთ IRB-ც. იმ პირებს, ვისაც შესაფერისი კანდიდატურა უნდა მოეძებნა, მარკ იგანთან ერთად შევხვდით. მათ აღგვითქვეს, რომ საქმეს სერიოზულად მოეკიდებოდნენ და ორ კვირაში პასუხს გვაცნობებდნენ.

პირველივე შემოთავაზება სწორედ მილტონ ჰეიგი იყო. ჩვენ, ცხადია, მასზე არჩევანი უფრო გვიან შევაჩერეთ. ახალზელანდიელებს ვთხოვეთ კიდევ რამდენიმე კანდიდატი დაესახელებინათ. მათ დარწმუნებით გვითხრეს, რომ პასუხს აგებენ ამ ადამიანის კვალიფიკაციაზე, თუმცა სხვა კანდიდატები მაინც შემოგვთავაზეს.

ყოველივე ამის პარალელურად, ჩვენი საქმიანობისგან ავტონომიურად იგივე კანდიდატურა შემოგვთავაზა დავით ზირაქაშვილის „კლერმონის" მთავარმა მწვრთნელმა ვერნ კოტერმაც. ის, რომ მაღალი დონის სპეციალისტია, დასტურად ისიც გამოდგება, რომ ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია. კოტერმა იცოდა მწვრთნელს რომ ვეძებდით და დათოს საშუალებით დაგვიკავშირდა. გვითხრა, რომ ჰეიგს ძალიან კარგად იცნობს, მასთან უმუშავია კიდეც და საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტიაო.

ერთი სიტყვით, ყოველმხრივი დაკვირვების, რეკომენდაციების შეგროვებისა და მასთან კონტაქტის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა, რომ ნაკრები მილტონ ჰეიგისთვის ჩაგვებარებინა. ის მორაგბეობისას ცხრა ნომერი იყო და როგორც უკანა ხაზის, ისე შერკინების თამაშშიც კარგად ერკვევა. მილტონი დღემდე ITM-ის თასის გათამაშებაში მოასპარეზე „მანუკაუ სტილერსის" მთავარი მწვრთნელი იყო.

მანვე შემოგვთავაზა ასისტენტის ITM-ის თასის გათამაშების ფინალისტის, „ვაიკატოს" მთავარი მწვრთნელის კრის გიბსის კანდიდატურა, რომელიც ჩვენს ნაკრებში შერკინებას გაწვრთნის. ამასთან ერთად, უკანა ხაზის გასაწვრთნელად ჰეიგი ჩამოიყვანს ტანა უმაგას, მაშინ, როცა ამას საჭიროდ ჩათვლის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი რანგის მწვრთნელის დანიშვნა არის ლატარეა. ან გაამართლებს, ან არა. ამიტომ კონტრაქტი, რომელსაც 20 იანვარს, მათი საქართველოში ჩამოსვლისას გაფორმდება, 2+2 ან 2+1+1 სისტემით იქნება გაფორმებული. თვეში ნაკრების მწვრთნელს 9 ათას ევროს გადავუხდით. თანაც, კონტრაქტში ჩადებულია, რომ ერთი წლის თავზე უნდა შევიკრიბოთ და განვიხილოთ, დამაკმაყოფილებელია თუ არა მათი მუშაობა, გადავწყვიტავთ, ეს ის ადამიანები არიან თუ არა, ვინც ნამდვილად გვჭირდება. თუ იმედი არ გაგვიმართლდა, ცხადია, კონტრაქტს გავწყვიტავთ და ამ შემთხვევისთვის სათადარიგო ვარიანტად ირლანდიელი მაიკლ ბრედლი გვყავს, რომელიც საქართველოს ნაკრებში უკვე მუშაობდა. მას კარგად ვიცნობთ, ძალიან კარგი მწვრთნელია და ამჟამად შოტლანდიურ „ედინბურგს" წვრთნის. კლუბთან კონტრაქტი სწორედ ამ დროისთვის უმთავრდება. ასე რომ, ყველანაირად დაზღვეულები ვართ.

თუმცა იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა. ჰეიგი საკმაოდ სერიოზულადაა განწყობილი, იმდენად, რომ საქართველოში ყოფნას წელიწადში შვიდი თვის ნაცვლად, ცხრა თვის განმავლობაში აპირებს. შემოდგომამდე კი ოჯახსაც საქართველოში ჩამოიყვანს. თბილისში საცხოვრებლად გადმობარგებას აპირებს ცოლ-შვილთან ერთად კრის გიბსიც.

ერთი სიტყვით, ისინი თავიანთთვის პერსპექტივას აქ, ჩვენთან ხედავენ და როცა საქართველოში ჩამოვლენ, ორი კვირის ვადას მივცემთ, რათა თავიანთი ხედვა, ოთხწლიანი პროგრამა წარმოგვიდგინონ."



ტანა უმაგა და მილტონ ჰეიგი



## კრის გიბსი

**სამწვრთნელო კარიერა**

2002 წელი - წმინდა პეტრეს სკოლა, კემბრიჯი.

2003 წელი - ავამუტუ კოლეჯი, U-14

2004 წელი - ავამუტუ კოლეჯი, U-15

2007 წელი - პირონგია, შერკინების მწვრთნელი

2007 წელი - იაპონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, შერკინების მწვრთნელი. გუნდს ახლდა საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებასა და „წყნარი ოკეანის ერთა თასზე"

2008 წელი - „ვაიკატოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

2009-2011 წლები - „ვაიკატოს" მთავარი მწვრთნელი. ზედიზედ ორჯერ ითამაშა ITM-ის თასის (ახალი ზელანდიის ჩემპიონატი) ფინალში.

**რიჩი დიქსონი,** საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტანტი:

„არაერთხელ მითქვამს, რომ რაგბის ეროვნული ნაკრები ფანჯარაა საქართველოსთვის საერთაშორისო ასპარეზზე. გვინდა, რომ ქართული რაგბი იყოს სწრაფად პროგრესირებადი.

ის, რომ საქართველოს ნაკრებთან მუშაობით ასეთი დიდი კალიბრის მწვრთნელები დაინტერესდნენ, თვალნათელი დასტურია, თუ რა მაღალ დონეზე ავიდა ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ნაჩვენები თამაშის შედეგად ჩვენი ეროვნული ნაკრები.

იმათთვის, ვინც პირველად იყო წლეულს ახალ ზელანდიაში ნახა, თუ რას წარმოადგენს რაგბი ამ ქვეყანაში. აქაურები ბავშვობიდან სიკვდილამდე რაგბით ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ახალზელანდიელი მწვრთნელები ქართულ რაგბის სარგებლობას მოუტანენ.

ცხადია, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ნაკრებში მუშაობა სპეციფიური საქმიანობაა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოერგებიან ისინი აქაურობას. ჩვენ, ქართველებმა ხელი უნდა შევუწყოთ მათ, რომ აქ მუშაობა გაუადვილდეთ. იმედი მაქვს, რომ მილტონ ჰეიგი და კრის გიბსი წარმატებას მოუტანენ ქართულ რაგბის."

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. ტრანსფერები

# ოფიციალურად: ვინსი დალასელია

საბოლოოდ დადასტურდა, რომ 34 წლის ვეტერანი **ვინს კარტერი** NBA-ის მოქმედი ჩემპიონის, „დალას მავერიქსის" შემადგენლობაში გააგრძელებს კარიერას. ეს მცველი „ფინიქსმა" დაითხოვა და ვინსმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო. „მავერიქსის" რიგებში ის „ნიუ ჯერსიში" თავის ყოფილ პარტნიორს, პლეიმეიკერ **ჯეისონ კიდს** შეუერთდება.



დელონტე უესტი

ვარაუდობენ, რომ კარტერმა საშუალო დონის კონტრაქტი გააფორმა და ახალ სეზონში 3 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

კარტერის გარდა, „დალასმა" ვეტერანის მინიმალური ერთწლიანი კონტრაქტი დაუდო ფორვარდ **ბრაიან კარდინას**, რომელიც 1.3 მილიონ დოლარს მიიღებს. გარდა ამისა, ასევე ერთი წლით გაიფორმა **დელონტე უესტი**, რომლის მიმართ დაინტერესებას „ბოსტონი" და „ლეიკერსი" გამოთქვამდნენ. შარშან უესტმა „სელტიქსის" შემადგენლობაში 24 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.6 ქულა და 2.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

და კიდევ, „დალასი" აპირებს გამოისყიდოს ორი მცველის - **რუდი ფერნანდესისა** და **კორი ბრიუერის** კონტრაქტები. შეგახსენებთ, რომ ესპანელი „მავერიქსში" 2011 წლის ივნისში გადავიდა „პორტლენდიდან", ბრიუერმა კი მოქმედი ჩემპიონის რიგები მარტში შეავსო და საშუალოდ 5.3 ქულა დააგროვა.

ფერნანდესის კონტრაქტის გამოსყიდვა იმას ნიშნავს, რომ ესპანეთის ნაკრების მცველი, სავარაუდოდ, მადრიდის „რეალში" დაასრულებს წლევანდელ სეზონს.

# მემფისმა გასოლი შეინარჩუნა და მაიო გაუშვა

არ შედგა ესპანელი **მარკ გასოლის** ტრანსფერი „ჰიუსტონში". როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, „როკეტსმა" შეზღუდული უფლებების თავისუფალ აგენტს მაქსიმალური კონტრაქტი შესთავაზა. მაგრამ თუ 26 წლის ცენტრს თავისი ამჟამინდელი კლუბი - „მემფისი" იმავე წინადადებით მიმართავდა, უმცროსი გასოლი სწორედ მას დარჩებოდა.

საბოლოოდ, მარკმა და „გრიზლისმა" ახალი კონტრაქტის დეტალებზე მოილაპარაკეს: ოთხწლიანი ხელშეკრულების თანახმად ესპანელი 58 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

*„ამჟამად შემიძლია გამცნოთ, რომ „მემფისთან" შეთანხმებას მივაღწიე. მოუთმენლად ველი მოედანზე გასვლას ჩემს ძველ პარტნიორებთან ერთად"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" გასოლმა.

ეს არ იყო ერთადერთი გარიგება, რომელიც იმ დღეს „მემფისმა" გააფორმა. მან „ინდიანაში" ტრეიდით გაუშვა მცველი **ო ჯეი მაიო**, სანაცვლოდ კი ფორვარდი **ჯოშ მაკრობერტსი** და მცველი **ბრენდონ რაში** მიიღო. „გრიზლისი" და „პეისერსი" ამგვარ გაცვლას ზაფხულშიც გეგმავდნენ, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მოლაპარაკება ვერ შეძლეს.

გასულ სეზონში მაიო საშუალოდ 11.3 ქულას აგროვებდა, მაკრობერტსისა და რაშის საშუალო შედეგიანობა, შესაბამისად, 7.4 და 9.1 ქულას უდრიდა.

## ამბები

### პოლის ტრეიდი ისევ ჩაიშალა

„ნიუ ორლეანისა" და „კლიპერსის" ხელმძღვანელებმა ვერ მოილაპარაკეს ტრედის თაობაზე, რომლის მიხედვითაც კალიფორნიულ კლუბში უნდა გადასულიყო გამთამაშებელი **კრის პოლი**. შეგახსენებთ, რომ ამ კალათბურთელის სანაცვლოდ „კლიპერსი" „ჰორნეტს" **კრის კამანს, ერის ბლედსოუსა** და **ალ-ფარუქ ამინს** სთავაზობდა.

როგორც ამერიკული პრესა წერს, „კლიპერსი" დანებებას არ აპირებს და უახლოეს ხანში შესთავაზებს „ჰორნეტს" ტრეიდის ახალ ვარიანტს.

### ბარეა მინესოტაში წავიდა

„მინესოტას" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა თავისუფალ აგენტთან, „დალასის" ყოფილ მცველ **ხოსე-ხუან ბარეასთან**. 27 წლის პუერტორიკოელი კალათბურთელის ჯამური ხელფასი 19 მილიონი დოლარი იქნება.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ბარეა „მავერიქსის" შემადგენლობაში NBA-ის ჩემპიონი გახდა. ის საშუალოდ მატჩში 9.5 ქულასა და 3.9 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

### როუზის ახალი კონტრაქტი

„ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობამ ახალ ხუთწლიან კონტრაქტზე მიაღწია შეთანხმებას თავის ლიდერთან, გასული სეზონის საუკეთესო კალათბურთელ **დერიკ როუზთან**. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს „ხარების" გენერალურმა მენეჯერმა **გერი ფორმანმა** აცნობა. ამ ხუთი წლის განმავლობაში 23 წლის როუზი 94 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

გასულ სეზონში 2008 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა საშუალოდ მატჩში 25.0 ქულა და 7.7 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

### ჰოვარდი ორლანდოში რჩება

საინტერესო განცხადება გააკეთა მიმდინარე სატრანსფერო ბაზრის ერთ-ერთმა მთავარმა სამიზნემ, „ორლანდოს" ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა**. როგორც იცით, „მეჯიქის" ხელმძღვანელობა არ გეგმავს თავისი ერთ-ერთი ლიდერის სხვა კლუბში გაშვებას და თავად „სუპერმენმაც" აღიარა, რომ მზად არის „ორლანდოში" კარიერის გასაგრძელებლად.

*„მიყვარს ეს ქალაქი და აქ დარჩენა მინდა. უბრალოდ მინდა ვთხოვო გუნდს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლოთ. მზად ვარ თავადაც შევიცვალო ამისთვის"*, - ამბობს ჰოვარდი ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთთან კომენტარში.

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი



# მეფეები უმწვრთნელოდ დარჩნენ

გუშინ, თითქმის დასვენების დღე ჰქონდათ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც „ტამპა ბეიმ" „ნიუ ჯერსის" უმასპინძლა.

ჯერჯერობით ეს გუნდები ვერ ბრწყინავენ ამ სეზონში და ორივენი აღმოსავლეთ კონფერენციაში პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფებიან. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში „ტამპა ბეია", რომელსაც ამ შეხვედრამდე შვიდ მატჩში ექვსი წაგება ჰქონდა.

„ლაითნინგს" არც ამჯერად გაუმართლა. მართალია, ამ გუნდმა შეძლო 0:2-დან ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მთლიანად ჩააგდო მეორე პერიოდი, როცა 20 წუთში სამი უპასუხო შაიბა მიიღო საკუთარ კარში..

მეორე პერიოდის გმირი „ნიუ ჯერსის" ერთ-ერთი ლიდერი **ზაკ პარიზე** გახდა, რომელმაც ერთი გოლი თავად შეაგდო და ორჯერ ასისტენტობა გაუწია **კოვალჩუკსა** და **ენრიკეს**.

ერთადერთი, ვინც „ტამპას" რიგებში თავის დონეზე გამოიყურება, გუნდის სნაიპერი **სტივენ სტემკოსია**. მესამე პერიოდში მან დუბლი შეასრულა და 2:5-დან ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მეორე გოლი სტემკოსმა მაშინ გაიტანა, როცა საფინალო სირენამდე ნახევარი წუთი რჩებოდა. „ეშმაკებმა" ეს დრო უპრობლემოდ გაიყვანეს და ამ მოგებით პლეი ოფის ზონას მიუახლოვდნენ.

■ ■ ■

როგორც კალიფორნიული პრესა ვარაუდობდა, "ლოს ანჯელეს კინგზის" ხელმძღვანელობამ ცუდი შედეგების გამო მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ტერი მიურეი**, რომელიც "მეფეებს" 2008 წლიდან ავარჯიშებდა.

"ლოს ანჯელესმა" ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო, პლეი ოფის ზონის მიღმა იმყოფება და მხოლოდ 65 გოლი გაიტანა - მასზე უარესი მაჩვენებელი მხოლოდ "ნიუ იორკ აილენდერსს" აქვს.

გუნდის დროებით მწვრთნელად მიურეის ასისტენტი **ჯონ სტივენსი** დაინიშნა, "კინგზის" გენერალური მენეჯერი **დინ ლომბარდი** კი უკვე ეძებს ახალ მწვრთნელს. არსებობს რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის ახლახან "ანაჰაიმიდან" დათხოვნილი **რენდი კარლაილი**, აგრეთვე **დერილ სატერი**, რომელიც 90-იან წლებში "ჩიკაგოსა" და "სან ხოსეში" მუშაობდა.

მიურეის ხელმძღვანელობით "ლოს ანჯელესი" ვერ გავიდა 2008-09 წლების სეზონის პლეი ოფში, მომდევნო ორ წელს კი პირველ რაუნდში ეთიშებოდა სტენლის თასის გათამაშებას. წლევანდელ რეგულარულში გუნდს 29 მატჩში 30 ქულა აქვს და მე-12 ადგილს იკავებს დასავლეთ კონფერენციაში.

მიურეი მეხუთე მწვრთნელია, რომელიც მიმდინარე სეზონის მსვლელობისას პოსტიდან გაათავისუფლეს. მანამდე მწვრთნელები შეიცვალეს "სენტ ლუისმა", "კაროლინამ", "ვაშინგტონმა" და "ანაჰაიმმა".

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველ ვარსკვლავად ლიგის ხელმძღვანელობამ "კალგარი ფლეიმზის" მარჯვენა ფრთა **ჯერომ იგინლა** დაასახელა, რომელმაც სამ მატჩში ექვსი ქულის დაგროვება შეძლო. ვეტერანი ფორვარდის ანგარიშზე ოთხი გოლი და ორი შედეგიანი პასი მოდის. "კალგარიმ" სამივე მატჩში გამარჯვებას მიაღწია.

მეორე ვარსკვლავი გახდა "მინესოტას" მესამე (!) მეკარე **მეტ ჰეკეტი**. ამ გოლკიპერმა თავის გუნდს ორიდან ორ მატჩში მოაგებინა, საშუალოდ 1.01 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 97.4 პროცენტს იგერიებდა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო "ვაშინგტონის" მცველ **ჯონ კარლსონს**, რომელმაც გასულ კვირას ჩატარებულ სამ შეხვედრაში ერთი გოლი გაიტანა და ექვსი საგოლე პასი შეასრულა.

| ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი | 4:5 |
|---|---|

2:2, 0:3, 2:0

გოლები: 0:1 სიკორა-6 (სალვადორი-3, ელიაში-15), 0:2 ზუბრუსი-9 (ტაორმინა-1, ენრიკე-15), 1:2 დაუნი-4 (გილროი-7, სტემკოსი-15), 2:2 ბ. ჯონსი-1 (ტირელი-3, გილროი-8), 2:3 პარიზე-9 (ენრიკე-16, ტალინდერი-3), 2:4 კოვალჩუკი-9 (პარიზე-12), 2:5 ენრიკე-7 (პარიზე-13, ფეინი-4), 3:5 სტემკოსი-17 (მური-7, ლეკავალიე-9), 4:5 სტემკოსი-18 (კუბინა-4, ლეკავალიე-10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 28 | 18 | 7 | 3 | 39 |
| 2. ბოსტონი* | 28 | 18 | 9 | 1 | 37 |
| 3. ფლორიდა* | 30 | 16 | 9 | 5 | 37 |
| 4. რეინჯერსი | 27 | 17 | 6 | 4 | 38 |
| 5. პიტსბურგი | 30 | 17 | 9 | 4 | 38 |
| 6. ტორონტო | 29 | 15 | 11 | 3 | 33 |
| 7. ბაფალო | 29 | 15 | 12 | 2 | 32 |
| 8. ვაშინგტონი | 28 | 15 | 12 | 1 | 31 |
| 9. ნიუ ჯერსი | 29 | 15 | 13 | 1 | 31 |
| 10. მონრეალი | 30 | 12 | 11 | 7 | 31 |
| 11. ვინიპეგი | 29 | 13 | 12 | 4 | 30 |
| 12. ოტავა | 30 | 13 | 13 | 4 | 30 |
| 13. ტამპა ბეი | 30 | 12 | 16 | 2 | 26 |
| 14. აილენდერსი | 27 | 9 | 12 | 6 | 24 |
| 15. კაროლინა | 31 | 9 | 18 | 4 | 22 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მინესოტა* | 30 | 20 | 7 | 3 | 43 |
| 2. ჩიკაგო* | 30 | 18 | 8 | 4 | 40 |
| 3. დალასი* | 28 | 16 | 11 | 1 | 33 |
| 4. დეტროიტი | 28 | 18 | 9 | 1 | 37 |
| 5. სტ. ლუისი | 29 | 17 | 9 | 3 | 37 |
| 6. ვანკუვერი | 29 | 18 | 10 | 1 | 37 |
| 7. ფინიქსი | 29 | 15 | 11 | 3 | 33 |
| 8. სან ხოსე | 27 | 15 | 10 | 2 | 32 |
| 9. ნეშვილი | 29 | 14 | 11 | 4 | 32 |
| 10. ედმონტონი | 30 | 14 | 13 | 3 | 31 |
| 11. კალგარი | 29 | 14 | 13 | 2 | 30 |
| 12. ლოს ანჯელესი | 29 | 13 | 12 | 4 | 30 |
| 13. კოლორადო | 30 | 13 | 16 | 1 | 27 |
| 14. ანაჰაიმი | 29 | 8 | 16 | 5 | 21 |
| 15. კოლამბუსი | 29 | 8 | 17 | 4 | 20 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 39 (16+23) |
| ფილ კესელი (ტორ) | 36 (18+18) |
| დანიელ სედინი (ვან) | 34 (12+22) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 33 (18+15) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 33 (13+20) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 33 (8+25) |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 32 (17+15) |
| რ. ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ედმ) | 32 (13+19) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| მილან მიხალეკი (ოტა) | 18 |
| ფილ კესელი (ტორ) | 18 |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 18 |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 17 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 17 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 16 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 16 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 15 |
| ევანდერ კეინი (ვინ) | 15 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 25 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 23 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 23 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 23 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 22 |
| დანიელ სედინი (ვან) | 22 |
| ჯეისონ პომინვილი (ბაფ) | 21 |

ოლიმპიზმი

# ტოკიო ბრძოლას იწყებს

იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს ტოკიოს განაცხადს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე. გუშინ, ამომავალი მზის ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა **ესიჰიკო ნოდამ** მოიწონა დედაქალაქის მთავრობის მიერ ოლიმპიადის ორგანიზებისთვის შემუშავებული გეგმა.

*„ქვეყნის მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია*, - ამბობს სააგენტო „როიტერთან" კომენტარში იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ცუნეკაზუ ტაკედა**. - *ეს იმის გარანტიაა, რომ ძლიერი ფინანსური მხარდაჭერა გვექნება სახელმწიფო კორპორაციებისგან და კერძო კომპანიებისგან"*.

ტოკიოს წინასაარჩევნო კამპანიის ლაიტმოტივად უნდა იქცეს ქვეყნის აღორძინება მარტში მომხდარი ცუნამისა და მიწისძვრის შემდეგ. საორგანიზაციო კომიტეტის ჩანაფიქრით, ოლიმპიადა ამ კუნძულოვანი ქვეყნის აღორძინების სიმბოლო გახდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კრივი


ვლადიმერ კლიჩკო-დევიდ ჰეი

# ჰეის ხმაურიანი გეგმები

31 წლის მძიმეწონოსანი ინგლისელი მოკრივე **დევიდ ჰეი** 40 წლის უკრაინელი **ვიტალი კლიჩკოს** დანოკაუტებას აპირებს. ის ამბობს, რომ ფანებს მხოლოდ ასე დაუმტკიცებს, რომ ცამდე მართალი იყო, როდესაც რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა.

საქმე ის არის, რომ ჰეიმ ივლისში ვიტალი კლიჩკოს უმცროს ძმასთან, 35 წლის **ვლადიმირთან** წააგო, რის შემდეგაც, ოქტომბერში განაცხადა, რომ სპორტიდან მიდის. თუმცა, ინგლისელს გუნება-განწყობილება მალე შეეცვალა და ახლა, 2012 წელს WBC-ის ჩემპიონის, კლიჩკო-უფროსის გამოწვევას და დაგდებას აპირებს.

ცნობისათვის: ვიტალი კლიჩკომ გუშინწინ დაადასტურა, რომ 18 თებერვალს ჰეიეს თანამემამულე **დერეკ ჩისორასთან** იბრძოლებს მიუნხენში. ამგვარად, სპორტიდან წასულ-დაბრუნებულ ინგლისელს მოცდა მოუწევს.

როგორც მოგახსენეთ, ჰეის კლიჩკოსთან ეფექტური გამარჯვება სწყურია, რადგან ხვდება, რომ სპორტიდან ჯერ წასვლისა და შემდეგ დაბრუნების შესახებ განცხადებით ფანები გაალიზიანა და მათი გულის მოგება თავიდან მოუწევს.

*„სპორტიდან წასვლის შესახებ გამოვაცხადე და ახლა, რინგზე რომ ვბრუნდები, ცუდად გამომდის. თითქოს ფანები მოვატყუე ან მერყევი პოზიცია მაქვს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს - ჩემს ერთგულ ფანებს ნამდვილად არ სურთ კრივი დამარცხებულმა დავტოვო. ზუსტად ვიცი, რასაც ითხოვენ ისინი. მათ სურთ ვლადიმირ ან ვიტალი კლიჩკო ნოკაუტით დავამარცხო და თუ სპორტიდან წასვლაა, ამაყად წავიდე. ამას ვაპირებ კიდეც. მინდა საბრძოლველად ვიტალი გამოვიწვიო და ნოკაუტით მოვუგო. იდეა სპორტიდან წასვლის შესახებ მოულოდნელად სულაც არ მომსვლია თავში. თუ ჩემს ძველ ინტერვიუებს წაიკითხავთ, ნახავთ, რომ წასვლაზე ადრეც ვლაპარაკობდი. ოქტომბრამდე ნახევარი წლით ადრეც ვიცოდი, რომ ასეთი განცხადება უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ისე დაემთხვა, რომ სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ვიტალი კლიჩკოსთან ბრძოლის რეალური შანსი“.*

ზემოთ, კლიჩკოსა და 27 წლის ჩისორას დაგეგმილ ჩხუბზე მოგახსენეთ. კრივის სამყაროში 40 წლის უკრაინელის გადაწყვეტილებამ ყველა გააკვირვა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩისორა ამ წელიწადს ძალიან ცუდად გამოდის და მასთან დაპირისპირებას, ერთი შეხედვით, დიდი აზრი არ აქვს. „დელ ბოიმ“ ჯერ იყო და ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ტიტულები წააგო **ტაისონ ფიურისთან**, შემდეგ კი მართალია, მსაჯების უსამართლობის გამო, მაგრამ **რობერტ ჰელენიუსთანაც** მარცხი ინვნია. სხვათა შორის, ჩისორას ორჯერ უწყობდნენ ბრძოლას ვლადიმირ კლიჩკოსთან, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - გეგმა ორივეჯერ WBA-ის, IBF-ისა და WBO-ის ქამრების მფლობელმა ჩაშალა. მიზეზი კი ორივე შემთხვევაში ვლადიმერის ჯანმრთელობა იყო.

და აი, ჩისორა როგორც იქნა კლიჩკოსთან ჩხუბს ეღირსა, ოღონდ, როგორც მოგახსენეთ, მისი მოწინააღმდეგე ვლადიმირი კი არა, ვიტალი იქნება. ინგლისელი ამბობს:

*„მე ვიტალი კლიჩკოს ვაჩვენებ, რომ მისი დრო წასულია. კრივიდან სამუდამოდ გავისტუმრებ“.*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს ბრძოლა ხელს შეუშლის ჰეისა და ვიტალი კლიჩკოს ჩხუბს, რომელიც თავდაპირველი გეგმის თანახმად მარტში უნდა გამართულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ივნისისთვის გადაიდება. თუმცა, ჰეი ამის გამო მოთმინებას არ დაკარგავს. ის ამბობს, რომ უკრაინელს რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დაელოდება.

*„როდის შევებრძოლებით მე და ვიტალი ერთმანეთს, უცნობია, მაგრამ ჩვენ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. თუ ბრძოლა ცოტა ხნით დაყოვნდება, არა უშავს. ამის გამო მე ფორმას არ დავკარგავ. მეტიც, რამდენი ხანიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დავიცდი. ის 40 წლისაა, მე - 31-ის. ხუთი წლის მერეც რომ აპირებდეს კრივისთვის თავის დანებებას, მზად ვარ დაველოდო“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

# აზერბაიჯანი გაამართლეს



სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (AIBA) სპეციალურმა კომიტეტმა უსაფუძვლო უწოდა აზერბაიჯანის მიმართ გამოთქმულ ბრალდებას იმის თაობაზე, თითქოს ამ ქვეყნის კრივის ფედერაცია ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე საკუთარი მოკრივეებისთვის ორი ოქროს მედლის „ყიდვას“ აპირებდა.

სპეციალური კომისია AIBA-მ მას შემდეგ შექმნა, რაც 2011 წლის სექტემბერში BBC-ის არხზე გავიდა პროგრამა News-night, სადაც მოთხრობილი იყო სპორტული ჩინოვნიკების მოსყიდვის მცდელობის შესახებ. BBC-ის რეპორტიორებმა მიიღეს ინფორმაცია, თითქოს აზერბაიჯანის საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს ხელმძღვანელმა **ქამალადინ ჰეიდაროვმა** 10 მილიონი დოლარი გადარიცხა მსოფლიოს საკრივო სერიის (WSB) ანგარიშზე. ამ ორგანიზაციების ტურნირები სწორედ AIBA-ს ეგიდით იმართება.

AIBA-ს კომიტეტმა ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდა და ისიც აღნიშნა, რომ ამ მოსაზრების დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. კომიტეტი იტყობინება, რომ აზერბაიჯანელმა მეწარმე **ჰამიდ ჰამიდოვმა** WSB-ის ანგარიშზე მართლაც გადარიცხა 9 მილიონი დოლარი, მაგრამ ეს კომერციული მიზნით გააკეთა. კომიტეტის ინფორმაციით, ინვესტორთან ოლიმპიური მედლების საკითხი არ განხილულა.

როგორც BBC Sport იუწყება, ტელეკომპანია კვლავინდებურად საკუთარ აზრზე რჩება AIBA-ში აზერბაიჯანულ ინვესტიციებთან დაკავშირებით. BBC-ის ჟურნალისტებს მუდმივი კონტაქტი აქვთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

**გია თვალაბეიშვილი**

# ათეულში ცვლილებაა

კრივის სამყაროში ყველაზე ავტორიტეტულმა ჟურნალმა - The Ring-მა განაახლა ტრადიციული რეიტინგი, რომელშიც ერთად არის თავშეყრილი ყველა წონის საუკეთესო მოკრივე.

პირველ ათეულში ერთი ცვლილება მოხდა. მეათე ადგილი დაკარგა უმჩატეს წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ჯოვანი სეგურამ**. მის ადგილზე პრეტენზიას რამდენიმე ძლიერი მოკრივე აცხადებდა, მაგრამ ყველას აჯობა სუპერმძიმე წონით კატეგორიაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ**.

დღეისთვის The Ring-ის რეიტინგის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. მენი პაკიაო (32 წლის)
2. ფლოიდ მეივეზერი (34)
3. სერხიო მარტინესი (36)
4. ნონიტო დონერი (29)
5. ხუან მანუელ მარკესი (38)
6. ვლადიმირ კლიჩკო (35)
7. პონგსაკლეკ ვონჯონგკამი (34)
8. ტიმოტი ბრედლი (28)
9. ანდრე უორდი (27)
10. ვიტალი კლიჩკო (40)

**გია თვალაბეიშვილი**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისის თასი** | |
| იეოვილი-ფლიტვუდი | 0:2 |
| გრიმსბი-სალისბერი | 1:1 დ.დ. 2:3 |
| ოლდჰემი-საუთენდი | 1:0 |
| უოლსოლი-დაგენჰემი | 0:0 პენ. 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **FA Trophy** | |
| სოლიჰალი-იორკი | 0:3 |
| კიდერმინსტერი-ვოქსჰოლი | 2:0 |
| სტალიბრიჯი-სტოკპორტი | 2:1 |
| მეიდენჰედი-სტეინსი | 1:2 |
| ფორესტ გრინი-ნიუპორტი | 0:2 |
| **იტალია** | |
| ჯენოა-ინტერი | 0:1 |
| **იტალიის თასი** | |
| პალერმო-სიენა | 3:3 პენ. 4:5 |
| **ესპანეთის თასი** | |
| კადისი-ვალენსია | 0:0 |
| პონფერადინა-რეალი | 0:2 |
| ალკორკონი-სარაგოსა | 1:1 |
| ალმერია-ოსასუნა | 1:3 |
| სელტა-ესპანიოლი | 0:0 |
| კორდობა-ბეტისი | 1:0 |
| დეპორტივო-ლევანტე | 3:1 |
| ხეტაფე-მალაგა | 0:1 |
| მალიორკა-სპორტინგი | 0:1 |
| მირანდესი-ვილიარეალი | 1:1 |
| რასინგი-რ. ვალეკანო | 3:2 |
| სოსიედადი-გრანადა | 4:1 |
| სან როკე-სევილია | 0:1 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-მაინცი | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| სტ. ჯონსტონი-აბერდინი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ფორფარი-სტირლინგი | გადაიდო |
| **III დივიზიონი** | |
| ქუინზ პარკი-კლაიდი | 3:0 |
| ელჯინი-პიტერჰედი | გადაიდო |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კლიფტონვ.ი-კოლრეინი | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ბალიმენა-კრუზეიდერსი | 0:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროთასი** | |
| ხიმკი-შოლე | 76:70 |
| ლოკომოტივი-გრან კანარია | 73:51 |
| აკადემიკი-ოსტენდე | 77:83 |
| ნიმბურკი-არისი | 78:72 |
| რუდუპისი-გრონინგენი | 97:70 |
| ცედევიტა-სპარტაკი | 68:73 |
| პაოკ-ვეფ რიგა | 76:81 |
| ჰაპოელი-დონეცკი | 68:74 |
| ტუროვი-ბუდუჩნოსტი | 73:78 |
| სკაილაინერსი-ბანვითი | 56:62 |
| ალბა-მონსი | 83:63 |
| გრაველენი-ციბონა | 81:77 |
| ვალენსია-ვილერბანი | 96:88 |
| ლე მანი-აზოვმაში | 75:67 |
| ბენეტონი-ბავარია | 92:66 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ნ. ნოვგოროდი-ვენტსპილსი | 77:63 |
| ხიმიკი-ატომერომუ | 83:58 |
| გოვერლა-პარდუბიცე | 76:77 |
| მოზიტელკო-ენისეი | 75:82 |
| ოლინი-ტრიუმფი | 89:82 |
| ტურკ ტელეკომი-მინსკი | 76:78 |
| კერავნოსი-შოლნოკი | 82:91 |
| გიოტინგენი-ბეშიქთაში | 59:96 |
| ტელეკომი-პინარი | 80:65 |
| ანტვერპენი-შალონი | 78:79 |
| ოლდენბურგი-ნორჩოპინგი | 106:61 |
| პო ორტეზი-ერტლანდი | 75:76 |
| როანი-პროსტეევი | 87:70 |
| ფუენლაბრადა-ნიტრა | 93:80 |
| აალსტი-ენკომი | 89:73 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| კიოლნი-იზერლონი | 3:2 (ბ) |
| ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 0:3 |

## TV პროგრამა

### 14 დეკემბერი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ვერდერი-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XV ტური. ბოლონია-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური. ლორიანი-ლიონი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XV ტური. არსენალი-ევერტონი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVI ტური. რეალი-ბარსელონა.
**00:00** სუპერმატჩი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის სეზონის ფინალური მატჩები. რაფაელ ნადალი-დავიდ ფერერი. მონტე კარლო.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რასინგი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სკარლეტსი-მანსტერი.
**18:50** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** სუპერკოლაჟი.
**20:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. ცსკა-პანათინაიკოსი (LIVE).
**22:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-კიევო.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი . ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. კონახტი-გლოსტერი.
**17:15** სუპერკოლაჟი.
**17:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-სევილია.
**19:30** ჩოგბურთი . ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.
**21:45** სუპერკოლაჟი.
**22:00** საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**23:00** ჩოგბურთი . ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი.

## ამბები

**ჩოგბურთი**

### აქაც ჯოკოვიჩი და კვიტოვა

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) 2011 წლის საუკეთესო ჩოგბურთელები დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, სეზონის ლაურეატები გახდნენ სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ჩეხი **პეტრა კვიტოვა**. იუნიორებს შორის ანალოგიური პრიზები მოიპოვეს: ვაჟებს შორის ჩეხმა **ირჟი ვესელიმ** და გოგონებში რუსმა **ირინა ხრომაჩოვამ**.

მამაკაცებს შორის წლის საუკეთესო წყვილი შეადგინეს ამერიკელებმა - **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა**, ქალებს შორის - ჩეხმა **კვეტა პეშკემ** და სლოვენიელმა **კატარინა სრებოტნიკმა**.

დაჯილდოების ცერემონია 2012 წლის 5 ივნისს პარიზში, როლან გაროსის მსვლელობისას გაიმართება.

**ჰოკეი**

### სამი ახალი დიადი

ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეის დიდების დარბაზს სამი ახალი წევრი შეემატა. ეს პატივი წილად ხვდათ ლეგენდარულ მოთამაშეებს: **კრის ჩელიოსს, გერი სატერსა** და **კეიტ ტკაჩუკს**.

ამათ გარდა, დიდების დარბაზში მოხვდნენ ტელეკომენტატორი **მაიკ ემრიკი** და „ფილადელფია ფლაიერზის“ მფლობელი **ედ სნაიდერი**.

**გია თვალაბეიშვილი**




# ბეკერი ზიდანის გუნდის შემადგენლობაში

ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელი **ბორის ბეკერი** მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ საფეხბურთო შეხვედრაში, რომლის სახელწოდებაა - „მატჩი სიღარიბის წინააღმდეგ". ჰამბურგის საფეხბურთო არენაზე „ზინედინ ზიდანის მეგობრების" ნაკრები „ჰამბურგის" საუკეთესო ფეხბურთელების ნაკრებს შეხვდება.

**ზინედინ ზიდანის** გუნდში ითამაშებენ ლეგენდარული ფეხბურთელები: **რონალდო, ლუიშ ფიგუ, დიდიე დროგბა, სტივ მაკმანამანი, პაველ ნედვედი, დიდა, მანიშე, კრისტიან კარამბე**. ბორის ბეკერი **ბორა მილუტინოვიჩთან** და **მარჩელო ლიპისთან** ერთად ამ გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი იქნება.

შემოსული თანხა საქველმოქმედო მიზნებისთვის იქნება განკუთვნილი.

# ფედერერი ფეისბუქში

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** Facebook-ის სოციალური ქსელის მეშვეობით უპასუხა თაყვანისმცემელთა შეკითხვებს. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ილაპარაკა თავის მუსიკალურ გატაცებაზე, კალათბურთელი **მაიკლ ჯორდანი** თავის საყვარელ სპორტსმენად დაასახელა, აგრეთვე აღიარა, რომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ მისი ქალიშვილები მამის კვალს გაჰყვებიან.

*„ბავშვობაში საცეკვაო მუსიკას ვუსმენდი, შემდეგ კი როკმა გამიტაცა. მომწონს AC/DC და ლენი კრავიტცი. ხანდახან პოპმუსიკასაც ვანიჭებ უპირატესობას. დღეისთვის ხშირად ვუსმენ ჯგუფ Bush-ის ლიდერისა და ჩემი მეგობრის - გევინ როსდეილის ალბომს.*

*ვინ არის ჩემი საყვარელი სპორტსმენი? ჩემს კერპად ყოველთვის მივიჩნევდი მაიკლ ჯორდანს. ასევე აღფრთოვანებული ვარ მოტომრბოლელი ვალენტინო როსით. ყოველთვის ვადევნებ თვალს მის გამოსვლებს და ვხარობ მისი წარმატებებით.*

*თუ ჩემი გოგონები ჩოგბურთში წასვლას გადაწყვეტენ, მე მათ წინ ვერ აღვუდგები. არ ვაპირებ მათი პროფესიის არჩევაში აქტიურ ჩარევას. რა არჩევანიც უნდა გააკეთონ, მე მათ ნებისმიერ შემთხვევაში მხარში დავუდგები"*, - დაწერა ფედერერმა.



# ფერნანდო არ მიდის

ცნობილმა ჩილელმა ჩოგბურთელმა **ფერნანდო გონსალესმა**, რომელიც აგრძელებს მუხლის ტრავმის შემდეგ აღდგენით პროცესს, უარყო რამდენიმე გაზეთში გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, თითქოს ოლიმპიური ჩემპიონი კარიერის დასრულებას აპირებდეს.

*„მინდა მივმართო ჟურნალისტებს: გთხოვთ, ნუ შეგყავთ ხალხი შეცდომაში, როცა ჩემი კარიერისა და პირადი ცხოვრების შესახებ მცდარ ინფორმაციებს ავრცელებთ. დღეს ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომ თურმე 2012 წელს ჩილეს ტურნირის შემდეგ ვაპირებ კარიერის დასრულებას. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. უდიდესი სურვილი მაქვს, ისევ დავბრუნდე უმაღლეს დონეზე და ლონდონის ოლიმპიადაზე გამოვიდე"*, - დაწერა გონსალესმა თავის ვებგვერდზე.

# სეზონი ციფრებში

**გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ მამაკაცთა საჩოგბურთო სეზონის ციფრული მიმოხილვა. ამჯერად, ქალების ჯერია...**

**1** - **კაროლინ ვოზნიაცკიმ** 2011 წელს მხოლოდ ერთი კვირით დათმო რეიტინგში ლიდერობა. თებერვალში პარიზის ტურნირის შემდეგ დანიელი **კიმ კლაისტერსმა** ჩამოაქვეითა.

**2** - ზედიზედ მეორე წელია ვოზნიაცკი პირველი ჩოგანის რანგში ასრულებს სეზონს.

**3** - სამმა ჩოგბურთელმა პირველად დაასრულა სეზონი ტოპათეულში: **პეტრა კვიტოვამ, ნა ლიმ** და **ანდრეა პეტკოვიჩმა**.

**3** - მესამედ ისტორიაში წლის შემაჯამებელ ტურნირზე ვერ მოხვდა ამერიკელი ჩოგბურთელი.

**3** - კვიტოვა მესამე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც პირველივე ცდიდან მოიგო წლის შემაჯამებელი ტურნირი. მანამდე იგივე შეძლეს **სერენა უილიამსმა** და **მარია შარაპოვამ**.

**3** - ანდრეა პეტკოვიჩი ერთადერთი ჩოგბურთელია, ვინც „დიდი სლემის" სამ ტურნირზე გავიდა მეოთხედფინალში. თუმცა გერმანელმა უფრო შორს გასვლა ვერ შეძლო.

**4:44** - ოთხი საათი და 44 წუთი გაგრძელდა ავსტრალიის ღია პირველობაზე **სვეტლანა კუზნეცოვასა** და **ფრანჩესკა სკიავონეს** მატჩი. ეს არის „დიდი სლემის" ტურნირებზე ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა.

**4** - ოთხმა სხვადასხვა ჩოგბურთელმა მოიგო „დიდი სლემის" ოთხი ტურნირი.

**5** - ჩინელი ნა ლი მეხუთე ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელია, ვინც „დიდი სლემის" ტურნირი მოიგო. როლან გაროსზე ტრიუმფის მომენტში ის 29 წლის, 3 თვისა და 5 დღის იყო. ლიდერობა ეკუთვნის ბრიტანელ **ენ ჯონსს**, რომელმაც 1969 წელს უიმბლდონი 30 წლის, 8 თვისა და 28 დღის ასაკში მოიგო.

**6** - 2011 წელს ექვსმა ჩოგბურთელმა მოიგო კარიერაში პირველი ტიტული. ესენი არიან: **ალბერტა ბრიანტი** (ფესი), **პოლონა ჰერცოგი** (ბაშტადი), **ქსენია პერვაკი** (ტაშკენტი), **ბარბორა ზახვალოვა** (კვებეკი), **შანელ სხეპერსი** (გუანგჯოუ) და **დომინიკა ციბულკოვა** (მოსკოვი).

**6** - სეზონში 6-6 ტიტულის მოგებით ლიდერები გახდნენ ვოზნიაცკი და კვიტოვა. თანაც ჩეხმა სამ სხვადასხვა საფარზე გაიმარჯვა.

**9** - პირველად წლის ბოლოს WTA-ის რეიტინგის ტოპათეულში ცხრა ქვეყნის წარმომადგენელი მოხვდა. ამასთან, მათ შორის არ იყო ამერიკელი ჩოგბურთელი, რაც პირველი შემთხვევაა 2006 წლის შემდეგ.

**10** - სეზონში ათჯერ **ვიქტორია აზარენკამ** ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან წააგო, კიდევ სამჯერ - ფინალისტთან. სულ ბელარუსს სეზონში 17 წაგება დაუგროვდა.

**12** - თორმეტმატჩიანი მოგებათა სერია ყველაზე გრძელი იყო 2011 წლის სეზონში. მისი ავტორები იყვნენ: კიმ კლაისტერსი (ამ სერიისას მან მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, ფედერაციის თასზე ბელგიის ნაკრებს დაეხმარა და პარიზში ფინალამდე მიაღწია), სერენა უილიამსი (მოიგო სტენფორდისა და ტორონტოს ტურნირები) და პეტრა კვიტოვა (ეს სერია გრძელდება).

**12** - ამ სეზონში 12-მა განუთესავმა ჩოგბურთელმა მოიგო ტურნირი. იგივე მაჩვენებელი აქვთ პირველ ნომრად განთესილებს.

**13** - **საბინ ლისიცკიმ** დალასში მოგებულ ტურნირზე ჯამში მხოლოდ 13 გეიმი მისცა მეტოქეებს. ერთ ტურნირზე ასეთი დომინირება ექვსი წელია არ ყოფილა - 2005 წელს **ვენუს უილიამსმა** და **ანა სმაშნოვამ** 12-12 გეიმი წააგეს სტამბოლისა და ბუდაპეშტის ტურნირებზე.

**17** - ნიუ ჰევენის ტურნირზე ზედიზედ 17 მატჩი აქვს მოგებული ვოზნიაცკის. დანიელს ამ ქალაქში არასოდეს წაუგია.

**19** - მეცხრამეტედ „დიდი სლემის" ტურნირებზე დები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეში **აგნიეშკა** და **ურსულა რადვანსკები** იდგნენ კორტის სხვადასხვა მხარეს.

**21** - გასულ სეზონში დარბაზის ტურნირებში ბადალი არ ჰყავდა კვიტოვას. მან 21 მატჩი მოიგო და არც ერთხელ არ დამარცხებულა. მან მოიგო ტურნირები პარიზში, ლინცში, სტამბოლში, აგრეთვე ექვსი შეხვედრა ფედერაციის თასზე.

**23** - ვიქტორია აზარენკამ 23-ე ცდაზე შეძლო „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში გასვლა - ეს უიმბლდონზე მოხდა.

**29** - ტოპოცეულის წევრთაგან ყველაზე მეტ ტურნირში მონაწილეობდა **მარიონ ბარტოლი** (29). ექვსი ტურნირით ჩამორჩა მას **შუაი პენგი**.

**31** - ამდენი წელი ვერ იმარჯვებდნენ „დიდი სლემის" ტურნირებზე ავსტრალიელი ჩოგბურთელები. ეს სერია აშშ-ის ღია პირველობაზე **სამანტა სტოსურმა** შეწყვიტა.

**32** - ამდენი ქულა გათამაშდა ამერიკის ღიას მეოთხე წრეში სტოსურსა და **მარია კირილენკოს** მატჩში მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე. რუსმა ხუთი მატჩბოლი მოიგერია, ავსტრალიელმა - ამდენივე სეტბოლი. კირილენკომ ეს გეიმი 17:15 მოიგო. ეს არის ყველაზე ხანგრძლივი ტაი-ბრეიკი „დიდი სლემის" ტურნირების ისტორიაში.

**34** - 2011 წელს მარია შარაპოვამ 34-დან 34 მატჩი მოიგო მაშინ, როცა სასტარტო პარტია მოიგო.

**37** - ბრიტანელმა ჩოგბურთელმა **ნაომი ბროედიმ** ბირმინგემის ტურნირზე ორი მატჩის განმავლობაში 37 ეისი ჩააწოდა (აქედან ერთ-ერთში 20 ეისი დააგროვა, რაც საუკეთესო მაჩვენებელია 2011 წელს). აშშ-ის ღიას კვალიფიკაციის ფინალში ბროედიმ 16 ეისი მიითვალა, მაგრამ მაინც ვერ მოხვდა ძირითად ბადეში. საერთოდ, ასეთი კარგი მოწოდების მიუხედავად, ბრიტანელი რეიტინგის მეორე ასეულში იმყოფება.

**40** - 21 წლის რუმინელ ჩოგბურთელ **ირინა-კამელია ბეგუს** დიდი პროგრესი ჰქონდა. რეიტინგის მესამე ასეულიდან მან 40-ე ადგილზე გადაინაცვლა და სეზონის ბოლოს WTA-ისგან „წლის აღმოჩენის" პრიზი მიიღო.

**164** - 2010 წელს ჩაგდებული სეზონის შემდეგ, საბინ ლისიცკი რეიტინგში 179-ე ადგილზე იყო, წელს 164 პოზიცია მოიგო და პირველად მოხვდა ტოპოცეულში.

**169** - სერენა უილიამსმა სტენფორდის ტურნირი 169-ე ჩოგანის რანგში მოიგო. ის წელს ტურნირის ყველაზე დაბალრეიტინგიანი გამარჯვებული გახდა.

**202.8** - საათში 202.8 კილომეტრი სიჩქარით ჩააწოდა ბურთი ვენუს უილიამსმა აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეში. ეს წელს დაფიქსირებული უსწრაფესი მოწოდება იყო.

**500** - 2011 წელს ორმა ჩოგბურთელმა გადააბიჯა 500-მოგებიან ზღვარს (ITF-ის ტურნირების ჩათვლით) - კიმ კლაისტერსმა (503) და **ტამარინე ტანასუგარნმა** (511). შემდეგი იქნება სერენა უილიამსი, რომელსაც ამ მომენტისთვის 496 მატჩი აქვს მოგებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



